

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
პოლიტიკისმცოდნეობის მულტი და ინტერდისციპლინური
სასწავლო-სამეცნიერო პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“

პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები

პოლიტიკის იმიტირებული სამსჯავროს მასალები

ტომი I

ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის პოლიტიკა იყო თუ არა
შესაბამისობაში ეროვნულ ინტერესებთან (საქმე №01ქ/001)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2020

მსოფლიოში პირველად იმიტირებული სასამართლო პროცესი გამოყენებულია არა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განსახილველად, არამედ პოლიტიკისათვის განაჩენის გორծატინად და, ამავე დროს, ამაში სტუდენტების (უფროს სკოლას სელების) ჩადებული შრომის ხარისხის შესაფასებლად. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე (დეკანი, პროფ. ირაკლი გაბისონია) მოიძებნა და დაინერგა სტუდენტების სასწავლო-სამეცნიერო პროცესში ინტერესითა და ხალისით ჩაბმის, მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადმოცემისა და შეფასების საინტერესო, თვალსაჩინო და ეფექტური საშუალება, ეს გამოიხატა სასწავლო-სამეცნიერო პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ (ავტორი პროფ. ჭერი კუპრაშვილი) განხორციელებით სხვადასხვა, საფაკულტეტო, უნივერსიტეტობრივი, უცხოენოვან და სასკოლო ფორმატში. სტუდენტები (უფროს სკოლას სელები) სწავლობენ და იკვლევენ ცნობილი პოლიტიკური პირების (პოლიტიკური პარტიების) მიერ გატარებული პოლიტიკის შესაბამისობას ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან და შედეგები სამსჯავროზე განსასჯელად გამოიქვთ ბრალდებისა და კვის გუნდებს. მათ უყალიბდებათ პოლიტიკის პრობლემების მეცნიერული შესწავლის, კვლევისა და ანალიზის, წყაროების მოიძების, კრიტიკული აზროვნების, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკის, გუნდური მუშაობის, საჯარო გამოსვლისა და დებატების მონაცილეობის უნარ-ჩვევები. ამასთან, სხვადასხვა სპეციალობების ჰარმონიული ურთიერთეკვთოს, თეორიულ-პრატიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგები ხელს უწყობს მრავალმხრივად განვითარებული, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებას. პროექტი, მისა მიზნება და ამოცანება სრულიად აპოლიტიკურია და გამორიცხავს მიმდინარე პოლიტიკურ-პარტიულ პროცესებთან პიროვნული ოურგანიზაციული სახით რაიტ შეხებას. სტუდენტებამ (უფროს სკოლას სელებმა) მოიძეს მრავალი საინტერესო მასალა, რის საფუძველზეც, ხშირ შემთხვევაში, მოხდა საქართველოს პოლიტიკის ისტორიიდან მნიშვნელოვანა პერიოდების ახლებური პოლიტიკური გაზრება და დამტკიცებული ქველი სტერეოტიპების შსხვრევა, ეროვნული ინტერესების, სტრატეგიის, სისტემური მართვის, პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების ურთიერთეკვშირის სიღრმისეული გაცნობიერება. ამ ეტაპზე „უკვე დაგროვდა განვლილი 2 სეზონის 21 ტომის მასალა და იწყება მათი გამოცემა, რომელთაც ეტაპობრივად დაემტება შემდგომ სეზონებში ჩატარებული სამსჯავროების მასალები.

რედაქტორები:

პროფ. ირაკლი გაბისონია
სამართლის დოქტორი.

პროფ. ჭერი კუპრაშვილი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

შემდგენელი

ნინო ოდიშელიძე

© გამომცემლობა „მერიდიან“

© საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

© სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

© პოლიტიკისმცოდნების მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“

შინაარსი

| | |
|--|--------|
| შესავალი | გვ. 5 |
| 1. პროცესის თანმიმდევრობა..... | გვ. 9 |
| 2. იმიტირებული სამსჯავროს თავმჯდომარის სიტყვა და ნაფიც მსა- ჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) შემადგენლობა | გვ. 10 |
| 3. მომხსენებლის სიტყვა | |
| 4. სხდომის მდივნის მიერ მხარეთა წარდგინება | |
| 5. ბრალდების მხარის, გუნდ „თემიდას ხევისბერის“ შესავალი სიტყვა | |
| 6. დაცვის მხარის, გუნდ „თემიდას შვიდეულის“ შესავალი სიტყვა..... | |
| 7. ბრალდების მხარის, გუნდ „თემიდას ხევისბერის“ შეკითხვები და დაცვის მხარის, გუნდ „თემიდას შვიდეულის“ პასუხები (პაექრო- ბა) | |
| 8. დაცვის მხარის, გუნდ „თემიდას შვიდეულის“ შეკითხვები და ბრალდების მხარის, გუნდ „თემიდას ხევისბერის“ პასუხები (პაექრო- ბა) | |
| 9. ბრალდების მხარის, გუნდ „თემიდას ხევისბერის“ დასკვნით სიტყვა | |
| 10. დაცვის მხარის, გუნდ „თემიდას შვიდეულის“ დასკვნითი სიტყვა | |
| 11. ბრალდების მხარის რეპლიკა..... | |
| 12. დაცვის მხარის რეპლიკა | |
| 13. მენტორების სიტყვა გუნდების დასახსიათებლად | |
| 14. ბრალდების მხარის, გუნდ „თემიდას ხევისბერის“ მტკიცებულე- ბები, შეკერილი საქმეები (ფოტოასლები) | |
| 15. დაცვის მხარის, გუნდ „თემიდას შვიდეულის“ მტკიცებულებები, შეკერილი საქმეები (ფოტოასლები) | |
| 16. ვერდიქტი | |
| 17. დანართი: | |
| 1) პირველი სამსჯავროს ვიდეოკოლაჟის ფოტოები | |
| 2) პროექტის შესახებ საუბრობენ მეცნიერები და პოლიტიკოსები (ამონარიდები) | |

- 3) პირველი სამსჯავრო მასმედიაში
 - 4) პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ დებულება.....
 - 5) შეფასების კრიტერიუმები
 - 6) ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია), მისი შემადგენლობა და მუშაობის წესი
 - 7) იმიტირებული სამსჯავროს სხდომის ოქმი
18. საკუთარ სახელთა საძიებელი

შესავალი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (დეკანი, პროექტის თანახელმძღვანელი, პროფ. ირაკლი გაბისონია) ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური, მრავალმხრივად განვითარებული სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც არა პარტიულ ან პირად, არამედ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე იქნებიან ორიენტირებული და საკუთარ წვლილს შეიტანენ ქვეყნის წინსვლა-განვითარებაში, ჩადგებიან ქვეყნის სამსახურში და მაღალ პროფესიულ დონეზე დაიცავნ ეროვნულ ინტერესებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. ამისათვის ჩვენს ფაკულტეტზე ბევრი ახალი პროექტი დაინირგა, მათ შორის, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტ „პოლიტიკა სამსჯავროს“ (ავტორი და ხელმძღვანელი პროფ. პენრი კუპრაშვილი) სახით მოიძებნა და დაინირგა სტუდენტების სასწავლო-სამეცნიერო პროცესში ინტერესითა და ხალისით ჩაბმის, ასევე, მათ მიერ პროექტში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადმოცემისა (გამოცდის ჩაბარების) და საგამოცდო კოლეგიის მიერ მათი შეფასების საანთერესო, თვალსაჩინო და ეფექტური საშუალება. ეს არის პოლიტიკისცოდნეობის ერთგვარი სკოლა. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში პირველად იმიტირებული სასამართლო პროცესი გამოყენებულია არა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განსახილველად, არამედ პოლიტიკისათვის განაჩენის გამოსატანად და, ამავე დროს, ამაში სტუდენტების (უფროსკლასელების) ჩადებული შრომის ხარისხის შესაფასებლად. პროექტში ჩართული არიან ის სტუდენტები და უფროსკლასელები, რომელთაც აწუხებთ საკუთარი სახელმწიფოს ბედი, ეძებენ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და პოლიტიკური მმართველობაში არსებული წარმატებებისა თუ წარუმატებლობების მიზეზებს. შესაბამისად აინტერესებთ არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ განვითარების ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ მონაკვეთში საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკა, რამდენად შეესაბამებოდა სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებს. სურთ

გაანალიზონ დადებითი და უარყოფითი პოლიტიკური სვლები, გაარკვიონ, რომელი სჭარბობდა მათ საქმიანობაში, სახელმწიფო ინტერესები თუ პირადი, სურთ გააცნობიერონ და შეეჩვიონ სახელმწიფოებრივ აზროვნებას, ისწავლონ სხვების შეცდომებზე, რათა ისინი თვითონ აღარ გაიმეორონ.

ამ პროექტში სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები (ასევე უფროსკლასელები) სწავლობენ და იკვლევენ თუ რამდენად შეესაბამებოდა ცნობილი პოლიტიკური პირების (პოლიტიკური პარტიების) მიერ გატარებული პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, შედეგების განსჯა კი ხდება იმიტირებულ სამსჯავროზე.

იმიტირებული სასამართლო პროცესი გამოყენებულია, მხოლოდ და მხოლოდ როგორც სტუდენტების მიერ შეძენილი მრავალმხრივი ცოდნისა და უნარების საინტერესოდ და სრულყოფილად გადმოცემის თვალსაჩინო და ეფექტური საშუალება, ასევე, უიურისათვისაც ამ გამოვლენილი ცოდნის უკეთ აღქმის და შეფასების საშუალება.

ხდება პოლიტიკის მეცნიერებების, სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიისა და სხვ. სპეციალობების ჰარმონიული ურთიერთკვეთა და ერთგვარი შერწყმა. ამ სამეცნიერო კვლევის სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგებმა ხელი უნდა შეუწყოს მრავალმხრივად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებას.

პროექტი გულისხმობს აგრეთვე, პერსპექტივაში მენტორებთან და სტუდენტთან ერთად პოლიტიკური მოვლენის მყარი რაოდენობრივი მახასიათებელის, თვისობრივ ცვლილებებზე რაოდენობრივ მახასიათებელთა კავშირის დადგენის, პოლიტიკური მოვლენის პარამეტრიზაციის, პარამეტრის მნიშვნელობის, პოლიტიკის ხარისხის, საქართველოს ეროვნული ინტერესების განსაზღვრის არგუმენტირებული კრიტერიუმების და პარამეტრების, მათი მნიშვნელობის, ზღვრულობის პროცენტული გამოსახულების, წონადობის დადგენის კვლევით პროცესებს.

ჩვენი უნივერსიტეტის გარდა პროექტში ერთ გუნდად შეკრულნი სწავლობენ პოლიტიკის გაკვეთილებს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელბის (თსუ-ს, სეუ-ს, გაუს-ს, საბაუნის, შავი ზღვის უნივერსიტეტის და სხვ.) სწავლების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი სტუდენტები. პროექტს წაგებულები არ ჰყავს. რომელიმე გუნდი, თუ ვერ გავიდა შემდგომ ეტაპზე, ეს არ ნიშნავს წაგებას, რადგან ამ პროექტის არსი არ იძლევა ამის საშუალებას. პროექტში მონაწილეობით სტუდენტები ხომ სასწავლო და სამეცნიერო თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგად ერთობლივად იღრმავებენ პროფესიული ცოდნას და იძენენ საჭირო უნარ-ჩვევებს.

პროექტი ხორციელდება სხვადასხვა ფორმატში: სტუდენტები-სათვის (საფაკულტეტო, უნივერსიტეტშორისი, ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი) და უფროსი კლასელებისათვის (სასკოლო). ეს უკანასკნელი ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ კრიტიკული აზროვნების უნარი, საჯარო გამოსვლისა და დებატებში მონაწილეობის უნარი, ასევე დააგროვონ ისტორიულ წყაროებთან და არქივში მუშაობის გამოცდილება.

სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) მიერ არ ფასდება პოლიტიკოსი (პოლიტიკური პარტია) და მისი პოლიტიკა. სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა მიერ ფასდება მხოლოდ ბრალდების და დაცვის მხარეთა გუნდების (სტუდენტების, უფროსკლასელების) ცოდნა და უნარ-ჩვევები: 1. გავლილი მასტერკლასების (ტრენინგების) ათვისების, კვლევითი მუშაობის, არქივებში, ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო კატალოგებში მოძიებული წყაროების (წერილობითი, ფოტო და ფონო დოკუმენტური...), სხვა მასალების, მტკიცებულებებისა და სანდო ინფორმაციის ანალიზისა და გამოყენების უნარი; 2. სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების, ასევე საკუთარი პოზიციის მყარადარგუმენტირების უნარი; 3. მხარეთა პაექრობის, სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა, ასევე, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება; ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა; გუნდურობა და სხვ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი, მისი მიზნები და ამოცანები სრულიად აპოლიტიკურია და გამორიცხავს მიმდინარე პოლიტიკურ-პარტიულ პროცესებთან პიროვნული თუ ორგანიზაციული სახით რაიმე შეხებას. იგი მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებათა პროცესს.

პროექტი 2018 წლის ოქტომბრიდან ხორციელდება დიდი წარმატებით (იხილეთ, მასალები იუთუბზე: პოლიტიკა სამსჯავროზე და ფეისბუკზე: პოლიტიკა სამსჯავროზე). სტუდენტებმა (უფროსსკლასელებმა) მოიძიეს მრავალი საინტერესო მასალა, რის საფუძველზეც, ხშირ შემთხვევაში, მოხდა საქართველოს პოლიტიკის ისტორიიდან მნიშვნელოვანი პერიოდების ახლებური პოლიტიკური გააზრება და დამკვიდრებული ძველი სტერეოტიპების მსხვრევა, ეროვნული ინტერესების, პოლიტიკის სტრატეგიის, სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების სილრმისეული გაცნობიერება. ამ ეტაპზე, უკვე დაგროვდა 2 სეზონის 21 ტომის მასალა და იწყება მათი გამოცემა, რომელთაც ეტაპობრივად დაემატება შემდგომ სეზონებში ჩატარებული სამსჯავროების მასალები.

1. პროცესის თანმიმდევრობა

1. თავმჯდომარე ხსნის სხდომას.
2. სიტყვას აძლევს ფაკულტეტის დეკანს, პროექტის თანახელმძღვანელს.
3. სიტყვას აძლევს პროექტის ავტორს.
4. თავმჯდომარე მიმართავს მხარეებს ხომ არ აქვთ აცილება ნაფიცი მსაჯულებისადმი.
5. სხდომის მდივანი წარადგენს მხარეებს.
6. თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს პროცესის წესებს.
7. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ბრალდების მხარეს.
8. ბრალდების შესავალი სიტყვა (10-15 წუთი).
9. დაცვის შესავალი სიტყვა (10-15 წუთი).
10. ექსპერტის გამოსვლა (2 წუთი).
11. მოწმეთა (არსებობის შემთხვევაში) ჩვენება (2 წუთი).
12. მხარეთა პაექრობა.
13. ბრალდების დასკვნითი სიტყვა (5-10 წუთი).
14. დაცვის დასკვნითი სიტყვა (5-10 წუთი).
15. ნაფიცი მსაჯულების შეკითხვები მხარეებს.
16. მხარეთა რეპლიკა (1 წუთი).
17. მენტორებს სიტყვა მხოლოდ გუნდების დასახასიათებლად (2 წუთი).
18. ნაფიცი მსაჯულები (საგამოცდო კოლეგია) ცალკე ოთახში თათბირობენ და გამოაქვთ ვერდიქტი.
19. თითოეული ნაფიცი მსაჯული ვერდიქტის გამოცხადებამდე მხარეებს განუმარტავს და ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას.
20. თავმჯდომარე აცხადებს გამოტანილ ვერდიქტს და სხდომას აცხადებს დახურულად.

2. იმიტირებული სამსჯავროს თავმჯდომარის სიტყვა და ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგის) შემადგენლობა

თავმჯდომარე: ირაკლი გაბისონია

მოგესალმებით, 2018 წლის 13 დეკემბერს, 13:00 საათზე სხდო-
მას გახსნილად ვაცხადებ. მოგახსენებთ, რომ იხილება „თემიდას
ხევისბერის“ სარჩელი „თემიდას შვიდეულის“ მიმართ. იმიტირე-
ბული სამსჯავრო განიხილავს ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის მიერ
გატარებული პოლიტიკა, რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს
სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებს.

საქმეს განიხილავს იმიტირებული სამსჯავროს ნაფიცი მსა-
ჯულები (საგამოცდო კოლეგია):

ირაკლი გაბისონია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე-
ტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტე-
ტის დეკანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, პროექტის
თანახელმძღვანელი;

გიორგი ბარამიძე - პოლიტიკური გაერთიანება, „ერთიანი ნა-
ციონალური მოძრაობა“, საქართველოს ვიცე-პრემიერი 2006-2012
წლებში; საქართველოს პარლამენტის ხუთგზის (1992, 1995, 1999,
2003, 2012) წევრი; საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ
და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
(2004-2012); შინაგან საქმეთა მინისტრი (2003-2004); თავდაცვის
მინისტრი (2004);

ჯემალ გახოვიძე - სტუ-ს სენატის თავმჯდომარე, პოლიტიკის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმ-
წიფო უშიშროების მინისტრი (1997-1998); ეროვნული უშიშროების
საბჭოს მდივნის მოადგილე (1999-2004);

იგორ კვესელავა - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის მეცნიერე-
ბათა დოქტორი, პროფესორი;

ირაკლი კიკნაველიძე - პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული

საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, პრესსპიკერი;

ჰერი კუპრაშვილი - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი;

კობა ნარჩემაშვილი - საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 2001 - 2003 წლებში;

სხდომის მდივანი: ნინო ოდიშელიძე - პროექტის მენეჯერ-კოორდინატორი

3. მომხსენებლის სიტყვა

მომხსენებელი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჰერი კუპრაშვილი:

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თითქმის სამი ათეული წელია ჩვენი სახელმწიფო წელში სათანადოდ ვერ გაიმართა, ხშირად პოლიტიკოსები სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა პირად და პარტიულ ინტერესებს აყენებენ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანა პარტიული ინტრიგების ტალახსა და ლაფშია ჩავარდნილი და ერთგვარად „ბუქსაობს“. ახალგაზრდები მიზეზების ძიებაში არიან. შესაბამისად მათ აინტერესებზე არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ განვითარების ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ მონაკვეთში საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკა. სურთ გაანალიზონ დადებითი და უარყოფითი სვლები, გაარკვიონ, რომელი სჭარბობდა სახელმწიფო ინტერესები თუ პირადი, უნდათ შეეჩინონ სახელმწიფოებრივ აზროვნებას, ისწავლონ შეცდომებზე, რათა თვითონ აღარ გაიმეორონ.

სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სპეციალობების სტუდენტები ერთობლივად გადიან კურსს, რომელიც მოიცავს პოლიტიკის, სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების და სხვა სპეციალობების სასწავლო-სამეცნიერო და თეორიულ-პრაქტიკული სინთეზის საფუძველზე, ცნობილი პოლიტიკური ფიგურებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოებული პოლიტიკის ეროვნულ

ინტერესებთან შესაბამისობის კვლევას და შედეგების იმიტირებულ სამსჯავროზე განხილვას.

პროექტი პერსპექტივაში გულისხმობს აგრეთვე, მენტორებთან და სტუდენტებთან ერთად პოლიტიკური მოვლენის მყარი რაოდენობრივი მახასიათებელის, თვისობრივ ცვლილებებზე რაოდენობრივ მახასიათებელთა კავშირის დადგენის, პოლიტიკური მოვლენის პარამეტრიზაციის, პარამეტრის მნიშვნელობის, პოლიტიკის ხარისხის, საქართველოს ეროვნული ინტერესების განსაზღვრის არგუმენტირებული კრიტერიუმების და პარამეტრების, მათი მნიშვნელობის, ზღვრულობის პროცენტული გამოსახულების, წონადობის დადგენის კვლევით პროცესებს.

დღეს, პირველად ეწყობა ცნობილი პოლიტიკური ფიგურების ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის მიერ წარმოებული პოლიტიკის იმიტირებული სასამართლო პროცესი, ანუ არ პიროვნება, არამედ პოლიტიკა გადის სამსჯავროზე. საქართველოში თემურლენგის შემოსევების პერიოდში მათ მიერ წარმოებული პოლიტიკა, რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და სხვადასხვა სპეციალობის (სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკური მეცნიერებების და სხვ.) სტუდენტებისა და მენტორი-პროფესორების მიერ შეიქმნა ბრალდებისა და დაცვის გუნდები, რომელთაც აქვთ თავთავიანთი დევიზი და ლოგო, თითოეულს ჰყავს პოლიტიკური მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობების და სამართლის დარგში მენტორი.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ რომელიმე გუნდი, თუ ვერ გავიდა შემდგომ ეტაპზე, ეს არ ნიშნავს წაგებას, რადგან ამ პროექტის არსი არ იძლევა ამის საშუალებას. პროექტს წაგებულები არ ჰყავს: პროექტში მონაწილეობით სტუდენტებმა ხომ სასწავლო და სამეცნიერო თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგად ერთობლივად გაიღრმავეს პროფესიული ცოდნა და ამასთან ერთად, განვითარეს კრეატიული და ანალიტიკური აზროვნება, ჩამოიყალიბეს თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის, საჯარო გამოსვლების, დებატების, სასამართლო პროცესე-

ბზე მონაწილეობის უნარ-ჩვევები, დაეუფლნენ მოლაპარაკებების ხელოვნებას და სხვ. ანუ მიიღეს მეტად საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები.

პროექტი, მისი მიზნები და ამოცანები სრულიად გამორიცხავს პოლიტიკურ-პარტიულ პროცესებთან პიროვნული თუ ორგანიზაციული სახით რაიმე შეხებას. პროექტი მოიცავს მხოლოდ წმინდა წყლის სასწავლო-სამეცნიერო კვლევით პროცესს, რომლის შედეგებიც ჯამდება იმიტირებულ სამსჯავროზე. ამასთან, ისიც უნდა აღინისანოს, რომ აქ არ ხდება გათვალისწინება პოლიტიკური ფიგურისადმი სტუდენტისა და მენტორის პირადი სიმპათია-ანტიპათიის. ვისი გატარებული პოლიტიკის დაცვა იქნება თუ ბრალდება ამას სტუდენტი (გუნდი) არ იჩევს, რაც კენჭისყრით მოუწევს იმ კუთხით უნდა იმუშაოს და წარმოაჩინოს თავი.

დარწმუნებული ვარ, რომ აქ წარმოდგენილი მაღალკვალიფიციური, პოლიტიკაში თეორიულ-პრაქტიკული დიდი გამოცდილების მქონე საგამოცდო კოლეგია, რომელიც დღეს ჩვენი მომავალი თაობის პროფესიულ სრულყოფაში იღებს აქტიურ მონაწილეობას, გადაწყვეტილებას მიიღებს ობიექტურად, მხოლოდ პროცესის მსვლელობის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და გუნდების მომზადების შესაბამისად. საგამოცდო კოლეგიის წევრის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენს კონკრეტული პოლიტიკური პირის მიმართ მათი წინასწარი დამოკიდებულება.

უნდა გამოვლინდეს, რომელი გუნდია უკეთ მომზადებული ანუ განვლილი სასწავლო პროცესის შედეგები უნდა შეაფასოს ნაფიცმა მსაჯულებმა.

თხოვნა მექნება გუნდების კაპიტნებისადმი, მკაცრად დავიცვათ რეგლამენტი, ვინც არ დაიცავს ეს გავლენას მოახდენს გუნდის ქულებზე შეფასების დროს.

ასევე თხოვნა მაქვს პატივცემული მენტორების მიმართაც. ვინაიდან გუნდების მოსამზადებლად მენტორები შერჩეულია მათი მაღალი პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით და საზოგადოებაც იცნობს მათ. პროცესზე მათი საუბრის მოსასმენად კი არა გუნდის მუშაობის შესაფასებალდ არის

მოწვეული საგამოცდო კოლეგია. მინდა ვთხოვო მათ, რომ თავი-ანთ 2 წუთიან გამოსვლაში ილაპარაკონ მხოლოდ გუნდის შესახებ, როგორ იმუშავეს, კვლევის რა მეთოდები გამოიყენეს და სხვ. შეუძლიათ პიროვნულადაც დაახასიათონ გუნდის წევრები, ერთი სიტყვით, „სარეკლამოდ შეფუთონ“. მაგრამ მენტორები არ უნდა შეეხონ განსახილველ თემას, თუ რამის თქმა უნდათ მათ ეს უნდა მოახერხონ გუნდის საშუალებით, სწორედ ამისათვის არიან ისინი მოწვეულნი, რომ საკუთარი კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება გუნდს გადასცენ.

გისურვებთ წარმატებას!

4. სხდომის მდივნის მიერ მხარეთა წარდგინება

სხდომის მდივანი: ნინო ოდიშელიძე

მოგესალმებით პატივცემულო საგამოცდო კოლეგიის წევრებო, მხარეებო, დამსწრე საზოგადოებავ!



წარმოგიდგენთ ბრალდების მხარეს, გუნდს „თემიდას ხევის-ბერი“:

1. ირინა მიქავა, კაპიტანი - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, IV კურსის სტუდენტი;
2. ნინო დემეტრაშვილი - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, III კურსის

სტუდენტი;

3. თამარ დვალიშვილი - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, საერთაშორისო ურთიერთოებების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთოებების სპეციალობის, III კურსის სტუდენტი;

4. გურამ კალანდია - სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთოების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთოების სპეციალობის, IV კურსის სტუდენტი;

5. ნაზან ნაბიევა - სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთოების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის საერთაშორისო ურთიერთოების სპეციალობის, II კურსის სტუდენტი;

6. თამარ ტაკაშვილი - სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთოების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, სამართლის სპეციალობის, II კურსის სტუდენტი;

7. მალხაზ ტარყაშვილი - სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, სამართლის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი.

მენტორები: პოლიტიკისა და საერთაშორი ურთიერთოებების მიმართულებით, პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი; სამართლის მიმართულებით, პროფესორი მარიამ ჯიქია.



თემისას მასალები

წარმოგიდგენთ დაცვის მხარეს, გუნდს „თემიდას შვიდეული“:

1. ანა ტაკაშვილი, ლიდერი - სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთოების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, სამართლის სპეციალობის, IV კურსის სტუდენტი;

2. ნათია ბლაგიძე - სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, IV კურსის სტუდენტი;

3. სოფიკო ედიშერაშვილი - სტუ-ს, სამართლისა და საერთა-შორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთა-შორისო ურთიერთობების სპეციალობის, II კურსის სტუდენტი;

4. დინა მურლულია - სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, I კურსის სტუდენტი;

5. გიორგი ნუსხელაძე - სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, სამართლის სპეციალობის, II კურსის სტუდენტი;

6. ანა სისაური - სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, III კურსის სტუდენტი;

7. ილია ჩოხელი - სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის II კურსის სტუდენტი.

მენტორები: პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, პროფესორი ზურაბ კვეტენაძე; სამართლის მიმართულებით, პროფესორი გიორგი გორაძე.

სხდომაზე წესრიგს უზრუნველყოფენ მანდატურები: თემურ მგალობლიშვილი, ოთარ მგალობლიშვილი.

5. ბრალდების მხარის შესავალი სიტყვა

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო ნაფიცი მსაჯულებო! მე გახლავართ ირინა მიქაელი და დღეს, ჩვენი გუნდის „თემიდას ხევისბერის“ სახელით გაგაცნობთ ბრალდების მხარის შესავალ სიტყვას.

ნებისმიერი პილიტიკა თუ პიოლიტიკოსის შეფასებისას ხალხია ყველაზე დიდი მსაჯული. დრო ყოვლის მამხილებელია.

შთამომავლობამ მრავალ გვირგვინოსანს განაჩენი გამოუტანა, რაც მათვის შერქმეული სახელით გამოხატა.

ჩვენ გვყავდა ავ-გიორგი, ბაგრატ II რეგვენი, მაგრამ ასევე გვყავდა დავით აღმაშენებელი, გიორგი V ბრნენვალე, დემეტრე თავდადებული, ალექსანდრე I დიდი, მაგრამ გვყავდა ისეთი პიროვნებები, რომელთა ეპოქაზეც ბევრი არაფერი დაწერილა.

როდესაც მსჯელობას ვიწყებთ პოლიტიკურ პროცესებზე, პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ რა გავლენა მოახდინა ამა თუ იმ პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებემა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებზე. რამდენად იქნა გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი ინტერესები, არსებული და მოსალოდნებლი საფრთხეები, ძალთა თანაფარდობა, საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია, გონივრულ პოლიტიკას შეუძლებელია დავუპირისისიროთ მუდმივი „მამაცური ომი“. ჩვენი განსასჯელი ეპოქის პოლიტიკოსთა მხრიდან.

საქართველოს არაერთი დამპყრობელი შემოსევია თემურლენგამდე და მას შემდეგ (რომაელები, სპარსელები, ბიზანტიელები, არაბები, ხაზარები, თურქები, ხვარაზმელები, მონღლოლები, შავბატკნიანი და თეთრბატკნიანი თურქები, ყიზილბაშები, ოსმალები და ა.შ.), რომლებიც არ განსხვავდებოდნენ მიზნებით, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მონღლოლთა 100 წლოვან ბატონობას ისეთი სასტიკი შედეგები არ მოჰყოლია როგორც თემურლენგის 17 წლის განმავლობაში 8-ჯერ შემოსევას. როდესაც ჩვენ გატარებულ პოლიტიკას და მის შედეგებს ვაფასებთ, უნდა ითქვას, რომ გიორგი V ბრნენვალე 17 წლის განმავლობაში უხდიდა მონღლოლებს ხარჯს და მხოლოდ მე-18 წელს შეწყიტა შეუწყვიტა დამპყრობლებს გადასახადი, რაც პოლიტიკური კონიუქტურით იყო ნაკარნახევი. დღევანდელი ჩვენი ბრალდება ეყრდნობა ქართულ, სომხურ, სპარსულ და ევროპულ წყაროებს. აღნიშნულის გათვალისწინებით დავასაბუთებთ იმდროინდელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების ბრალეულობა.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები კონკრეტულ ისტორიულ მომენტში ვერ აღმოჩნდნენ პოლიტიკურად სათა-

ნადოდ მომზადებულები; მათ საერთოდ გამორიცხეს დიპლომატიური ხერხები და მტერთან უკომპრომისო შეიარაღებული ბრძოლის გზა აირჩიეს, რაც საბოლოოდ საქართველოსთვის კატასტროფული შედეგებით დამთავრდა.

თემურლენგისთვის დაუძინებელი მტერი იყო თოხთამაში. მასთან ბრძოლა იყო პრიორიტეტული პრინციპული და ვინც მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდებოდა მას დაუსჯელს არ დატოვებდა. იმდროინდელ პოლიტიკურ ხელისუფალთ, რომ შეეფასებინათ რეალური პოლიტიკური ვითარება, უარი ეთქვათ თოხთამიშთან მოკავშირეობაზე, საქართველოსთვის მე-14 საუკუნე სხვა შედეგებით დასრულდებოდა. თემურლენგის პირველი გამოჩენა საქართველოში ეს იყო სუფთა სამხედრო-პოლიტიკური აქტის გატარება ოქროს ურდოსა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ, ხოლო დანარჩენი 7 კი-მარბიელი ლაშქრობა, არასწორი დიპლომატიური კურსის შედეგი, რასაც მოჰყვა შვიდასი დაბის განადგურება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში და ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი სამყოფელი განადგურდა აღმოსავლეთ საქართველოში. სულ ცოტა დიპლომატია იყოს საჭირო და არა უაზროდ „მამაცური პოლიტიკა“, რომელიც პირველ რიგში ხალხის სიცოცხლეს, ქვეყნის ბედს უქმნიდა საფრთხეს და ნაკლებად მეფისას.

თემურლენგი იყო მსოფლიო დამპყრობელი, რომელმაც 18 ომში დაიმორჩილა 27 სახელმწიფო, მათ შორის ირანი, ინდოეთი და საქართველოზე ბევრად ძლიერი სახელმწიფოები. და დღეს დროის ფუჭი ხარჯვა იქნება იმის მტკიცება, რომ საქართველოს ვერ დაიპყრობდა, დამპყრობელი, რომელსაც მიზნად აქვს ტერიტორიების ოკუპაცია, აუცილებლად ჩააყენებდა ჯარს დაპყრობილ ციხეებში, მაგრამ არა, ის არ ტოვებს ჯარს, რა გაუჭირდებოდა? არა, უბრალოდ სურს „მეამბოხე“ ქართველთა მეფე დაიმორჩილოს, ჯერ მამა, მერე შვილი. გასათვალისწინებელია, რომ ის სიტყვას ასრულებს, მეფეს ათავისუფლებს ცოლ-შვილთან ერთად ტყვეობიდან.

თემურლენგის ლაშქრობები იყო მარბიელი, დამსჯელი ლაშქრობები. მისმა 8 შემოსევამ ქვეყანას მოუტანა გაუგონარი ნგ-

რევა, ეკონომიკური სიდუხხირე და მოსახლეობის განადგურება. ხალხის გაუგონარმა ულეტამ მოიტანა ის მთელი რიგი პრობლემები რამაც განაპირობა მოსახლეობის მკვეთრი შემცირება, რაც მწვავედ იგრძნობოდა როგორც გიორგი VII-ის დროს, ისე კონსტანტინეს დროს, რომელსაც ჩალადანთან ომისას მხოლოდ 2000 კაცი ახლდა და შემდგომ ალექსანდრე I დიდის შემთხვევაში.

დაშვებულ იქნა კონკრეტული პოლიტიკური შეცდომები, კერძოდ:

- დარიალის კარის გახსნა;
- მფრის ტერიტორიაზე მართულ ლაშქრობაში მონაწილეობა;
- არასწორი საგარეო პოლიტიკური კურსი რაც გამოწვეული იყო საერთაშორისო პოლიტიკის გაუთვალისწინებლობით, ვინაიდან ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს საუკუნეების მანძილზე საგარეო პოლიტიკა და მისი კურსი წარმოადგენდა. სახელმწიფო მმართველები იღებდნენ ქვეყნისთვის კეთილდღეობის მომტან გადაწყვეტილებებს საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ჩვენთვის საინტერესო კითხვაა რამდენად გამართლებული იყო ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის პოლიტიკური ქცევა იმის გათვალისწინებით, როცა ისინი უშეალოდ ხედავდნენ როგორ ექცეოდა ურჩ, დაუმორჩილებელ ერებს თავრიზელებს, ოქროს ურდოსა და სხვანი) სასტიკი დამპყრობელი. უამრავი ტყვე წაუყვანია, უამრავი ქონება უგდია ხელთ და სამეფო ბიბლიოთეკაც გაუძარცვავს „ათასობით ქალი, კაცი და ბავშვი. კაცი და ჭაბუკი ენამებოდა, დაეხოცა და გაენადგურებინა და ამრიგად ყველაგან შეში და ძრნოლა დაემკვიდრებინა“ ნუთულირდა „მეფური სიჯიუტე“ სახელმწიფო ობრიერი ჩამოშლად, რა თქმა უნდა არა! ამ დროს საინტერესოა ქრისტიანული ევროპის პოზიცია თემურლენგთან მიმართებაში, რომელსაც ისინი არ აღიქვამდნენ ქრისტიანულ ევროპისთვის საფრთხედ, ამიტომაც ოსმალეთთან წინააღმდეგ თემურთან მოკავშირეობა არჩიეს.
- აჯანყების ორგანიზება მეზობელ მაჰმადიანურ სახანოებ-

ში, რომლის დაკავება თემურლენგის ინტერესებში იყო ჯერ კიდევ სამწლიანი და ხუთწლიანი ლაშქრობების დროს მაშინ, როდესაც შენს ტერიტორიაზე დამპყრობელი არ არის, გაქვს მშვიდობიანობის პერიოდი, არასტაბილური შიდასახელმწიფოებრივი მდგომარეობა და ამ დროს დამპყრობელი არ გაიძულებს „ცეცხლითა და მახვილით“ მოექცე მის რჯულზე; ასეთ შემთხვევაში ყოვლად გაუმართლებელია ამ სახის ქმედება და იყო აჯანყების ინიციატორი.

- დასავლეთ საქართველოში გადასვლა ერთ-ერთი ბრალდება განავთ, იმდროინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ, რადგან მეფეს არ ჰქონდა უფლება გაქცეულიყო, რადგან სწორედ მეფის დევნაში ააოხრა დასავლეთ საქართველო, მას სურდა დაეჩიქებინა „მეამბოხე ქართველთა მეფე და მეფესვე ეთხოვა ზავი“. საქართველოს ისტორიაში ხშირად გვაქვს შემთხვევები, როცა მეფეები საკუთარ ინტერესებს ქვეყნის ინტერესებს ამჯობინებენ, ხოლო საკუთარ სიცოცხლეს მოსახლეობის სიცოცხლეს. იმდროინდელ ხელისუფალთან საქმე სხვაგვარად გვაქვს, ვერც ერთ მნიშვნელოვან გენერალურ ბრძოლაში ვერ იმარჯვებს და გარბის, რასაც მოჰყვება იქ დარჩენილი მოსახლეობის ანიოკება, აოხრება და გაძარცვა. მეფე მიდის და თან მტრის ჯარებს მიიყოლებს, რომელიც გზადაგზა დაბებს არბევს, როცა საქმე თემურლენგთან შეხვედრაზე მიდგება იგი თავს მის თანასწორად თვის, ხოლო ბრძოლის უამს ხალხს უტოვებს გასანადგურებლად მტერს.
- შამქორის ზავის დარღვევა, რომელიც გულისხმობდა ხარჯის გადახდას, მორჩილებას.

მევობრებო, მინდა გიოხრათ, რომ მონალები რელიგიას იყენებდნენ საშუალებად პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად, რადგან არ მომხდარა საქართველოს ტერიტორიაზე მუსლიმური სამლოცველოს, მიზგითის მშენებლობა და თემურლენგს არც ერთი რელიგიური მსახური არ შემოუყვანია. მათი მიზანი არ ყოფილა არც ერთი შემოსევის დროს რელიგიური ფაქტორი, თუ

თვალს გადავავლებთ ომის ქრონოლოგიას, მივხვდებით, რომ აქ იკვეთება სამხედრო, პოლიტიკური, სტრატეგიული, იდეოლოგიური, ეკონომიკური მიზნები, რაც ხშირად განპირობებული იყო შურისძიების ასპექტებით. სწორედ ზემოთხსენებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობეს თემურლენგის შემოსევების შედეგად ქართულ ენაში ისეთი სიტყვების დამკვიდრება როგორიცაა „ნაქალაქარი“, „ნასახლარი“, „ნასოფლარი“, „ნავენახარი“ და „პარტახი“, რაც უკვე დასტურია იმისა, რომ პოლიტიკურ ხელისუფალს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება საკუთარი ხალხის წინაშე, ამიტომაც განსხვავდება იგი საზოგადოების სხვა წევრებისგან.

თუ გავიხსენებთ გიორგი II-ის პოლიტიკას, მან თავად შეს-თავაზა მალიქ შაჰს ხარკის გადახდა, ოლონდაც არ შემოსულიყო ქვეყანაში, იგი 6 წელი იხდიდა ხარკს, მერე მისი შვილი დავით IV - 9 წელი. როცა ხარკის გადახდაა საჭირო, უნდა გადაიხადო, როცა ზავია საჭირო, უნდა დაზიავდე და როცა ომია საჭირო უნდა იომო თუკი ეს სახელმწიფოებრივ ინტერესებშია.

საქართველოს გარკვეული პერიოდი ჰყავდა მაპმადიანი მეფებიც: სიმონი, როსტომ ხანი, ისინი იყვნენ მაპმადიანები, მაგრამ სახელმწიფოებრივ საქმეებს აკეთებდნენ და ასე ცდილობდნენ გადაერჩინათ სახელმწიფო ნგრევისგან და აბსოლუტური განადგურებისგან. გავიხსენოთ, რომ 1632-1745 წლებში ქართლის სამეფოს იძულებთ გამაპმადიანებული მეფეები მართავდნენ, მაგრამ ქართულ საქმეს აკეთებდნენ.

რამდენი საუკუნის განმავლობაში იყვნენ არაბები, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, რომ ქართული ისლამური კულტურა არ შექმნილა, არ მომხდარა საქართველოს ისლამიზაცია. ეკლესიაც კი უჭერდა მხარს მაპმადიანობის მიღებას მეფის მიერ, თუკი ეს სახელმწიფოს სჭირდებოდა. შეუძლებელია ხისტი პოლიტიკა, გამუდმებული ქიშპი, მაშინ როდესაც გაანალიზებ ვისთან გაქვს საქმე, როგორც ფარსადან გორგიჯანიძე ამბობს: „თაპერს გადავაყოლეთ მთელი ქვეყანა, უნდა გაგვეთვალისწინებინა ინდოეთის, თავრიზის, ირანის და სხვათა მაგალითები და სადმე მაინც უნდა გავჩერებულიყავით. მივიღეთ რა? დაქუცმაცებული და მინასთან გასწორებუ-

ლი ქვეყანა; მაგრამ ყველაზე მძიმე საქართველოსთვის თემურლენ-გისთვის შემოსევათა პოლიტიკური შედეგები იყო, მეზობლებისა და მოკავშირეების დასუსტება და ზოგიერთის გაქრობა, „მაგრამ მაინც მძიმე იყო მონათესავე ჩრდილოკავკასთა მთიელების, რომ-ლებიც დავით ალმაშენებლის დროიდან საქართველოს ყმადნაფი-ცი, სახელმწიფოებრივად საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებ-ულნი და კულტურულადაც და სარწმუნოებრივადაც მათი ქვეყანა უცილობლად ქართული გავლენის სფეროს ეკუთვნოდა, თანაც ამ ფაქტს ადასტურებს ალინჯის ციხის აღების ეპიზოდები, სადაც გიორგი VII-ის მხარდახარ „სრულიად კავკასიი“ იბრძოდნენ. მათი წყალობით საქართველოს ზურგი ჩრდილოეთიდანაც მაგარი ჰქონ-და და სამხრეთიდანაც, მომავალი მტრის წინააღმდეგ მოსაქველე-ბლად საკმაო მარაგსაც პოულობდა, თემურლენგმა კი ისინი გაა-მაჰმადიანა და მოკავშირედ აქცია.

სწორედ ამ სახის პოლიტიკურმა შეცდომებმა განაპირობა ის, რომ მივიღეთ დაუცველი საზღვრები. ამის შემდეგ აღმოსავლეთით დაკვარგეთ როგორც შამქორი, ასევე ხარიჩინიც. ეს გარემოება ქვეყნის თავდაცვას უფრო აძნელებდა და გარეშე მტრის შემოს-ევის საშიშროება მაღალი იყო, იმდენად დასუსტდა ქართული სახ-ელმწიფო, რომ ახალნარმოქმნილ, ჯერ კიდევ სუსტ შავბატკიან თურქებს ვერ უწევდა წინააღმდეგობას და ორივე მეფე მათთან ბრძოლას შეეწირა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებაზე.

ყოველივე ზემოთხსენებული არგუმენტებიდან გამომდინარე, ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ჩვენივე ხისტი პოლი-ტიკით გავანადგურეთ ჩვენი სახელმწიფო და ველარ შევძელით ფეხზე დადგომა მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაშიც კი. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მტერს უნდა დამორჩილდე, უნდა მიიღო სიტუაციის ადეკვატური გადაწყვეტილება. გამოუსწორებელი შეც-დომა იყო გონივრული პოლიტიკის ნაცვლად, ხისტი პოლიტიკის არჩევა. თემურლენგის მოკავშირეობა, თუნდაც ვასალობა-მოკავ-შირეობის სახით სრულად შესაძლებელი იყო და ძალიან ბევრ უბე-დურებას ავიცილებდით თავიდან. საქართველოს მეფე გიორგი VII

უმამაცესი პიროვნება და მტერთან უკომპრომისო ადამიანი იყო, მაგრამ მისმა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ სავალალო შედეგები მოუტანა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებას. ვაჟკაცობისა და სიმამაცის გამოვლინება კარგია, როდესაც პირადულ ბედს ეხება, მაგრამ ხელისუფალს, რომელსაც ხალხის, სახელმწიფოს ბედი აბარია მეტი გონიერება მართებს, გიორგი VII ანარმოებდა თემურლენგის მიმართ არარელევანტურ პოლიტიკას, ამან კიდევ მეტი საბაბი მისცა ამ სისიხლისმსმელს უამრავჯერ ელაშქრა ქვეყანაში და მანაც „საქართველოში ათეულობით ათასობით გაულიტა მოსახლეობა და ნაცარტუტად აქცია ყველაფერი სადაც ფეხი დაადგა“, როგორც თემურლენგის ისტორიკოსი ნეზამ-ად დინი შამი მოწმობს თემურლენგს მეფის გამომწვევი სიამაყე აცოფებდა, თორემ დადებული ზავი, რომ შეესრულებინა გიორგის, მოჩვენებითი მორჩილება გამოეხატა თემურლენგს შეიძლება ვერც მოეცალა საქართველოსთვის იმდენი პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი ძალით შეკონინებულ უზარმაზარ სამფლობელოში“.

თვით ბიბლიაშიც კი ვკითხულობთ: „არის დრო ქვების შეგროვების და ქვების სროლისა“. არის დრო როცა კომპრომისია საჭირო და არის დრო გაბედული ომისა“, „ის კი არ არის მნიშვნელოვანი რამდენ ომს გადაიხდი, არამედ რამდენს აიცილებ“.

6. დაცვის მხარის შესავალი სიტყვა

მოგესალმებით, ქალბატონებო, ბატონებო, ნაფიცო მსაჯულებო, ბრალდების მხარევ, დამსწრე საზოგადოებავ მე გახლავართ ანა ტაკაშვილი და დღევანდელ პროცესზე წარმოგიდგენთ დაცვის პოზიციის.

რა არის ისტორიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?! ის რაც მოხდა თუ ის რაც შეიძლებოდა მომხდარიყო? რა თქმა უნდა ფაქტები! მოვლენები, რომლებიც გარდამტეხია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნებისათვის. საქართველოს შემთხვევაში ერთ-ერთ ასეთ პერიოდად შეგვიძლია სწორედ მე-14 - მე-15 საუკუნე მივიჩნიოთ.

დიახ, დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ რათა ისტორიის უცნობი დე-ტალების გაერთიანებით, ბაგრატ მეხუთისა და გიორგი მეშვიდის პოლიტიკა გამოვიტანოთ სამსჯავროზე. პოლიტიკა, რომელმაც რეალურად ერს თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. მოწინააღმდეგე მხარე მხოლოდ ფაქტების ნაწილზე აპელირებს, თუმცა სრული სურათის მისაღებად დღეს წარმოგიდგენთ ისტორიულ წყაროთა ერთობლიობას, რომელიც ცხადყოფს, ყოველი ნაბიჯი იყო გააზ-რებული და ქვეყნის საკეთილდღეოდ გადადგუმული.

მაშ ასე, 1360 წელი, გაერთიანებული საქართველოს ტახტზე ადის ბაგრატ მე-5, მეფე, რომელსაც ხალხმა დიდი უნდა, ეს კი ისეთი ეპითეტი გახლავთ, რომლითაც ბევრი ისტორიული ფიგურა ვერ დაიტრაბახებს. როდესაც ბაგრატი ტახტზე ადის საქართველოში ძალზე რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ვი-თარებაა. •სამხრეთში, ჯერ კიდევ, გიორგი ბრნეყინვალის პერიოდი-დან მოყოლებული მასობრივად შემოდიოდნენ თურქული ტომები, რომლებთანაც ურთიერთობის მოწესრიგება ბაგრატს მიენდო, რთული იყო•ვითარება საქართველოს შავი ზღვის•საზღვართანაც. მეთოთხმეტე საუკუნის 40-50-იან წლებში•საქართველომ გავლენა დაკარგა ტრაპიზონზე, •სადაც პრობიზანტიური კლანი გაბატონდა. ყოველივე ამის გამოსასწორებლად, ბაგრატს მტკიცე ზომების მიღება მოუხდა, როდესაც ბაგრატი საქართველოს ტახტზე ავიდა, ქვეყნის მთიანეთში, კერძოდ, სვანეთში მოხდა დიდი აჯანყება. მეფემ ეს აჯანყება ჩაახშო, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ მან ამბოხებულები არ დასაჯა, როგორც ეს •ხშირ შემთხვევა-ში•ხდებოდა, არამედ მისცა გამგებლობა ტრაპიზონის მოსაზღვრე მხარეში კერძოდ გურია-აჭარაში. ბაგრატს ამგვარი მოქმედება დაუფასდა. შიდაპოლიტიკურ არეულობებს თავი კარგად გაართვა, რაც კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს თუ რაოდენ ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო იგი. თუმცა მოგეხსენებათ, მსოფლიოს დამპყრობლის წინაშე უზარმაზარი იმპერიების მმართველებიც კი უძლურნი ხდებიან, ეს კი პატარა ქვეყანაა და მიუხედავად, იმისა. რომ მას ჭკვიანი და გამოცდილი მეფე მართავდა, მისთვისაც რთული იყო ყველა მოქ-მედების წინასწარ განჭვრეტა.

1386 წელი, ქართულ საზღვრებს თემურლენგი მოადგა, დამპყრობელი, რომელიც ყველას შიშის ზარს სცემს. დიქტატორი, რომლის უმთავრესი მიზანი ჩინგიზ-ყაენის იმპერიის აღდგენა გახლავთ. რამ მოიყვანა იგი ჩვენ ქვეყანასთან? სურვილმა ერთპიროვნულად გაბატონებულიყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო გზებისა და საქარავნო მაგისტრალზე. როგორ გესახებათ ასეთი მიზნების მქონე ადამიანთან დიპლომატიური ურთიერთობებით საკითხის მოგვარება და მასთან პარტნიორობა შესაძლებელი იქნებოდა? რა თქმა უნდა არა! მის დევიზად შეგვიძლია მივიჩნიოთ „დამემორჩილე ან გაგანადგურებ“. ასე მოიქცა შირვანის მბრძანებელი შეიხ იბრაჰიმ დერბენდი შარვანშაჰი, რომელიც 9 ტომარა ოქროთი და 8 მონით თვდახრილი შეეგება მსოფლიო დამპყრობელს, მე-9 მონად კი თავად დაუდგა. მოდით მხოლოდ ერთი ჭრილით ნუ შევხედავთ საკითხს, ასეთმა ქმედებამ შეიძლება გადაარჩინა იმ მომენტში ქვეყანა აოხრებას, მაგრამ განა 1538 წელს ამ სახელმწიფომ თურქული ტომების დაპყრობების შედეგად არსებობა არ შეწყვიტა?! ჩვენ ერის თვითმყოფადობა და სიძლიერე სწორედ ისაა, რომ არასდროს დაგვიხრია თავი იქაც კი სადაც იმპერიის მთავარსარდლებს შიშის ზარი ეცემოდათ, არ შეგვშინებია დაცემის რამეთუ წამოდგომას ყოველთვის ვახერხებდით და სწორედ ასე მოვედით დღემდეც. ვერ ვიტყვით, რომ ბაგრატი ვერ გრძნობდა მოახლოებულ საფრთხეებს, ამისთვის გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯებიც გადადგა, კერძოდ, დიპლომატიური ურთიერთობა დამყარა ბიზანტიასთან, თურქენებთან, ჯალაირიანებთან, ეგვიპტესთან და განსაკუთრებით ოქროს ურდისთან. მაგრამ განა თავად თემურლენგი ვერ გრძნობდა, რომ საქმე სუსტ და გამოუცდელ მეფესთან არ ჰქონდა, ამიტომ შეტევა გვიან შემოდგომაზე დაიწყო, როდესაც კავკასიონის შემოსასვლელები ჩაკეტილი იყო და ბაგრატის მოკავშირეები ვერ დაეხმარებოდნენ. თომა მეწოდელის სიტყვებით, თემურმა აიღო თბილისი და დატყვევებული მეფე ყარაბაღში წაიყვანა, თუმცა მემატიანის ცნობით სწორედ აქ გამოჩენდა ბაგრატის წინდახედულება და ალლო. მან მოატყუა დიდი დამპყრობელი, დაპირდა, რომ შეიცვლ-

იდა რჯულს, სახლში დაბრუნდებოდა და მას დაეხმარებოდა იმპერიისთვის ახალი ტერიტორიების დაპყრობაში. თემური დაეთანხმა მეფეს და თან 12000 კაციანი ლაშქარიც გამოაყოლა. საყურადღებოა, რომ ბაგრატმა ასეთ შეთავაზებაზე თბილისში ყოფნისას უარი თქვა და მხოლოდ კარგად მოფიქრებული გეგმის შემდეგ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება. მოგეხსენებათ ქართული საზოგადოებისათვის რელიგია იყო სწორედ ის ფარი, რამაც ერი გადაარჩინა, თუ მეფე საკუთარ ქვეყანაში თუნდაც მოჩვენებით შეიცვლიდა სარწმუნოებას ამით საყრდენს გამოაცლიდა საკუთარ ხალხს. მეომრები ხომ სწორედ სამშობლოს მიწისა და რწმენის სიყვარულით თმობნენ სიცოცხლეს. აქ იკვეთება სწორედ შორსმჭვრეტელური გათვლაც იგი მაღულად დაუკავშირდა შვილებს და ახალი გეგმა შეადგინა თემურის მარწუხებისგან გასათავისუფლებლად. ბაგრატმა მიუვალი გზებით ატარა დამპყრობლის მიერ მასთან ერთად წარმოგზავნილი არმია. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია მისი წერილი, სადაც იგი გიორგის უმხელს შურიძიების გეგმას, რომელიც ბატონიშვილებთან ერთად განახორციელა კიდეც და მტრის 12000 კაციანი რაზმი მარტივად გაანადგურეს. მეფე უწყოდა, რომ ამ ქმედებას დამპყრობელი ასე არ დატოვებდა ამიტომ წინასწარ დაიჭირა თადარიგი და მოამზადა ყველაფერი, ჯარი საომრად, ხოლო მოსახლეობა გასახიზნად. თოხთამიშთან დიპლომატიურმა ურთიერთობების დამყარებამ კი 1387 წელს ქართლისკენ წამოსული თემური შეაკავა კიდეც. ამის შემდგომ კი თემურლენგმა გარკვეული დროით ველარ მოიცალა საქართველოსთვის, რამეთუ ჰულაგუიანთა ირანი ჯერ კიდევ დასაპყრობი ჰქონდა. თუმცა 1394 წლიდან იგი კვლავ ანახლებს შემოტევებს საინტერესოა, რომ ზუსტად სწორად შერჩეული მოკავშირის მეშვეობით, კვლავ გადაურჩა საქართველო დამპყრობლის ხელში აღმოჩენას.

1393 წელს გიორგი VII-ემ, მამისგან რთული და საპასუხისმგებლო მემკვიდრეობა მიიღო. მან დაკისრებულ მოვალეობას უნდა ითქვას, რომ ლირსეულად გაართვა თავი, ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ მეფის თავგანწირვა და ურიცხვი ადამიანის დაღუპვა იყო განპირობებული არასწორი პოლიტიკური ნაბიჯებით. მაგრამ

კვლავ კრიტიკული მიდგომით შევხედოთ საკითხს თემურს სურდა, ალედგინა ჩინგიზ-ხანის იმპერია, მაგრამ მისი გეგმები უფრო შორს მიდიოდა. დამპყრობლის ძირითად ამოცანას ქვეყნის თვითმყოფადობის, სიმტკიცის, რწმენის გატეხვა წარმოადგენდა, რადგან ასეთი ერი მარტივად სამართავია. როდესაც გიორგიმ შამქორის ზავით დიპლომატიური ნაბიჯის გადადგა, რა მიიღო ამის საპასუხოდ. იგი არ დასთანხმდა დამპყრობელს რწმენის, იდეოლოგის დათმობაზე. მან მხოლოდ მშვიდობისა და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. დიახ ქართველი ერი და მისი მმართველები ყოველთვის ინარჩუნებდნენ სიამაყეს, რომელმაც რეალურად გადაგვარჩინა. სწორედ ეს არ აპატია თემურმა მეფეს. გავრცელებელული აზრით, რომ არა გიორგი VII-ის არასწორი დიპლომატიური პოლიტიკა, ასეთ სიტუაციაში არ აღმოვჩნდებოდით. მაგრამ ფაქტი ჯიუტია. თემურს სულაც არ უნდოდა ჩვენთან ზავი. მას ალიზიანებდა სიმტკიცე, რომელიც 8 სისხლიანი შემოსევითაც ვერ წაართვა პატარა ერს, როცა პირველივე ჯერზე ბევრად დიდი სახელმწიფოები დაიპყრო.

რეალობა ასეთია, ჩვენ ისტორიას ვერ შევცვლით, თუმცა მიგვაჩინია, რომ ეს არცაა საჭირო, იცით რატომ? რადგან კარგად დავინახოთ. საქართველო არის ქვეყანა, რომლის გარშემო მეზობელმა იმპერიებმა დაშლა და გაქრობა განიცადეს, ხოლო ჩვენ ყველაფრის მიუხედავად, სწორედ შინაგანი სიმტკიცით, რწმენით, თავდადებით, მოვახერხეთ გადავრჩელიყავით, რათა დღესაც ამაყად გვეთქვა გვაქვს ისტორია, რომელმაც აწმყო გადაგვირჩინა!

დღეს, როდესაც მტრის მიერ ოკუპირებულია საქართველოს 20-22% ბაგრატ მე-5-ისა და გიორგი მე-7-ის პოლიტიკა მეტ აქტუალობას იძებს. რადგან ქართველ ერს ყოველთვის შეეძლო ბოლომდე დაეცვა საკუთარი პრინციპები, იდეოლოგია და რწმენა, რაც დღესაც ჩვენი სააყრდენია.

7. ბრალდების მხარის შეკითხვები და დაცვის პასუხები (პაექტობა)

კითხვების დასმა: ნაზან ნაბიევა, თამარ ტაკაშვილი, მახო ტარყაშვილი.

კითხვებებზე პასუხი: დინა მურლულია, გიორგი ნუსხელაძე, ანა ტაკაშვილი, ილია ჩიხელი.

1. კითხვა: როგორ ხასიათს ატარებდა თემურ-ლენგის ომები ამიერკავკასიის ქვეყნებში?

პასუხი: თემურლენგის შემოსევები ატარებდა პერნამენტულ ხასიათს და მას სურვილი ჰქონდა მთელი კავკასია მისი იმპერიის ფარგლებში მოქცეულიყო.

2. კითხვა: თემურლენგის 1386 წლის შემოსვლა საქართველოში ატარებდა თუ არა და სადამსჯელო ხასიათს?

პასუხი: სადამსჯელო ხასიათს ატარებუდა თუ არა ეს ნამდვილად შეფასებითი შეკითხვაა და გიპასუხებთ, რომ განსაკუთრებული საფუძველი არ იყო საჭირო თემურლენგისთვის შეტევის დასაგეგმად.

3. კითხვა: რითი იყო განპირობებული 1386 წლის შემოსვლა?

პასუხი: ალბათ გულისხმობთ 1385 წლის თოხთამიშის ლაშქრობის გავლენას თემურ ლენგის შემოსვლაზე და ნამდვილად არ ვეთანხმებით აღნიშნული ფაქტების ურთიერთკავშირს.

4. კითხვა: მიზანი (პირველი 3 შეკითხვა)

პასუხი: პატივცემულო ნაფიცო მსაჯულებო, კითხვა ბუნდოვანია და უშუამდგომლობთ მის აცილებას.

5. კითხვა: იყო თუ არა საქართველო თოხთამიშის მოკავშირე?

პასუხი: საქართველო ყოველთვის ცდილობდა პარტნიორი ეპოვნა, შესაბამისად, ისეთი მოკავშირე, რომელიც ქვეყნის მთლიანობის დაცვაში მხარს გაუმაგრებდა, ასე რომ, დია!

6. კითხვა: როგორ შეიქრა თოხთამიში 1382 წელს ჩრდილოეთიდან ირანში საქართველოსთან წინასწარი მოლაპარაკებებისა და კავშირის გარეშე?

პასუხი: საქართველოსთან წინასწარი მოლაპარაკებებისა და კავშირის გარეშე? თუ შეიძლება კითხვა დააკონკრეტიროს.

კითხვა: მაშინ ვინ გახსნა დარიალის კარი? (ეს კითხვა იმ შემთხ-

ვევაში თუ იტყვიან არას).

პასუხი:

7. კითხვა: არის თუ არა დაკავშირებული 1386 და 1394 წელს თოხომიშის აღმოსავლეთ კავკასიაში შექრა საქართველოში თემურ-ლეგის შემოსვლასთან?

პასუხი: ვერ დაგეთანხმებით.

8. კითხვა: თუ არ იყვნენ მოკავშირეები ბაგრატ მეხუთე და თოლ-თამიში, მაშინ, რატომ ცდილობდა დარიალის კარის ხელში ჩაგდებას თემურლენგი 1394 წელს?

პასუხი: ამ კითხვაზე გიპასუხეთ, რომ იყვნენ მოკავშირეები.

9. კითხვა: გამოიწვია თუ არა ბაგრატ მეხუთემ თოხომიშთან მო-კავშრეობით თემურლენგი?

პასუხი: აღნიშნული კითხვაც ცალსახად შეფასებითია და ვერ დაგეთანხმებით, ბაგრატი ცდილობდა ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯები გადაედგა.

10. კითხვა: მაშინ რატომ შემოვიდა თემურლენგი 1386 წელს საქართველოში, დაარბია და გაანადგურა გზად ყველაფერი, დახო-ცა ხალხი და დაატყვევა საქართველოს მეფე ბაგრატ მეხუთე, მისი ცოლი და მცირე წლოვანი შვილი? (იმ შემთხვევაში თუ იტყვიან არას).

პასუხი: შესაბამისად ამ კითხვაზე პასუხიც ცხადია.

11. კითხვა: მიადგებოდა თუ არა საქართველოს მეტი ზარალი თოხომიშთან მოკავშრეობაზე უარი, რომ ეთქვა?

პასუხი: ვშეუამდგომლობთ კითხვის აცილებაზე, ცალსახად სუბექტურ შეფასებას მოითხოვს.

12. კითხვა: რა მოუტანა საქართველოს თოხომიშთან მოკავშ-რეობამ?

პასუხი: შესაძლებლობა, რომ მისი სუვერენიტეტი მტკიცე ყო-ფილიყო.

13. კითხვა: რომელი უფრო ძლიერი მოკავშრე იქნებოდა საქართ-ველოსთვის თოხომიში თუ თემურლენგი?

პასუხი: თოხოთამიში, ვინაიდან მხოლოდ სიძლიერე არ არის მთავარი, ნდობაც მნიშვნელოვანი ფაქტორია.

14. კითხვა: გადაურჩა თუ არა თემურლენგის დარბევას ამიერკა-

ვკასიის ქვეყნებიდან მხოლოდ შირვანი?

პასუხი: დიახ გეთანხემებით.

15. კითხვა: რატომ გადაურჩა მხოლოდ შირვანი?

პასუხი: მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე.

16. კითხვა: რა გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა შირვანს თემურლენგისთვის?

პასუხი: იგი მისთვის ევროპაში ერთგვარ გასასვლელს წარმოადგინდა.

17. კითხვა: რა მსგავსება აქვთ საქართველოსა და შირვანს გეოპოლიტიკური მდებარეობის მხრივ?

პასუხი: ორივეს კარგი გეოპოლიტიკური მდგომარეობა აქვს და ერთგვარ დამაკავშირებელ გზას წარმოადგენს აზიასა და ევროპას შორის.

18. კითხვა: შეეძლო თუ არა ბაგრატ მეხუთეს იგივე პოლიტიკა გამოიყენებინა?

პასუხი: პატივცემული მოსამართლეთა კოლეგია, ისტორია განისაზღვრება ფაქტებით და არა დასაშვებობებით, ასე რომ მოვუწოდებთ ბრალდების მხარეს ფაქტებზე დაყრდნობით დაგვისვან კითხვა.

19. კითხვა: პირველი მარბიელი ლაშქრობის შემდეგ დატოვა თუ არა თემურლენგმა ჯარი საქართველოში?

პასუხი: დიახ.

20. კითხვა: გაიმარჯვა თუ არა ბაგრატ მეხუთემ თემურლენგთან მის მიერ გადახდილ, რომელიმე ბრძოლაში?

პასუხი: დიახ.

21. კითხვა: გაიმარჯვა თუ არა გიორგი მეშვიდემ მის მიერ ჩატარებულ რომელიმე ბრძოლაში?

პასუხი: დიახ, მაგალითად მამაისთან ერთად, როდესაც 1386 წელს ბაგრატი სახლში ბრუნდებოდა.

22. კითხვა: ჰქონდა თუ არა გიორგი მეშვიდეს შესაბამის სამხედრო ძალა, რომ გაემარჯვებინა თემურლენგის წინააღმდეგ რომელიმე ბრძოლაში?

პასუხი: გიორგი მეფე ნამდვილი პატრიოტი და თავდადებული

მებრძოლი იყო.

23. კითხვა: ზარალდებობოდა თუ არა მოსახლეობა თემურლენ-გის შემოსევებით?

პასუხი: ჩვენს ქვევანაში სამწუხაროდ ისტორიის ყველა პერი-ოდში ზარალდებოდა მოსახლეობა.

24. კითხვა: ზარალდებოდა თუ არა ეკონომიკა თემურლენგის შე-მოსევებით?

პასუხი: დიახ, თუმცა არა იმდენად, რომ აღდგენა შეუძლებელი გამხდარიყო.

25. კითხვა: რატომ არ შეცვალა გიორგი მეშვიდემ მამამისის, ბაგრატ მეხუთის საგარეო პოლიტიკა?

პასუხი: ვინაფიან ისინი სხვაგვარად დაკარგავდნენ ყველა შეს-აძლებლობას ქვეყანა ჩიხიდან გამოეყვანათ, სწორედ ამიტომ.

26. კითხვა: რატომ მოითხოვა გიორგი მეშვიდემ ზავი და მოგვი-ანებით ისევ დაარღვია?

პასუხი: ეს მისი გეგმის ნაწილი იყო.

8. დაცვის მხარის შეკითხვები:

კითხვების დასმა: ნათია ბლაგიძე, ანა სისოშვილი, ილია ჩოხ-ელი.

კითხვებები: პასუხი: ნინო დემეტრაშვილი, თამარ დვალიშვი-ლი, გურამ კალანდია, ირინა მიქევა, მახო ტარყაშვილი.

1. კითხვა: როგორ ფიქრობთ, უნდა მიებაძა თუ არა გიორგი VII-ს შირვანის მბრძანებელი შეიხი იბრაჰიმისთვის, რომელმაც 9 ტომარა ოქრო ვერცხლი და ბოლოს საკუთარი თავიც კი უძლვნა თემურლენგს და თავისუფლების სანაცვლოდ გადაარჩინა ქვეყანა აოხრებას?

პასუხი: გიორგი VII--ის ,ისევე როგორც სხვა მეფეებს უნდა ემოქმედათ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, როცა ბრძოლაა საჭირო უნდა იბრძოლო, როცა დათმობაა საჭირო უნდა დათმო, თუკი ეს ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გიორგი VII-ის შემთხვევაში კი ვერ დავინახეთ, ვერც კარგი მეომრის და ვერც

კარგი პოლიტიკოსის ნიშან-თვისებები, ვინაიდან ის კი არაა მნიშვნელოვანი რამდენ ომს გადაიხდი, არამედ რამდენს აიცილებ.

2. კითხვა: თუ შეიძლება განგვიმარტეთ რა არის დიპლომატია?

პასუხი: დიპლომატია არის ნიჭი, გადარჩენის საშუალება პატარა ქვეყნისთვის, რომელმაც უნდა გაანალიზოს მიმდინარე საგარეო საფრთხეები და ლავირების პოლიტიკის შესაბამისად მართოს საშინაო პოლიტიკა.

3. კითხვა: როგორ ფიქრობთ, შეეძლო თუ არა პირისისხლიან დამპყრობელს, რომელმაც ქალაქ ისპანაპის აღების შემდეგ 7000 კაცს სრულიად უმიზეზოდ თავი მოჰკვეთა და კოშკები ააგო, ქალაქ ისპანაპის მშენებლობისას 2000 კაცი ჩაატანა კედელში და დუღაბი დაასხა, ხოლო სივასის აღებისას 4000 მცხოვრები დამარხა, რამე მოლაპარაკებაზე წასულიყო ქვეყანასთან რომლის დაბყრობაც სურდა?

პასუხი: სახელმწიფოს მართვაში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკის გათვალისწინება. ვინ არის ამ დროს დამპყრობელი, რა ვითარებაა და გვაქვს თუ არა უშედეგო წინააღმდეგობის საშუალება. ამ შემთხვევაში ლიდერს მოეთხოვება რეალობის ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება და სწორი ანალიზი, ვისთან გვაქვს საქმე „ცივსისხლიან დამპყრობელთან, რომელსაც შეუძლია მიწასთან გაასწოროს ნებისმიერი ურჩი აქტიორი. ლირს კი აჯანყების დაგეგმა, დაეხმარო მეზობელ სახანოს, როდესაც გვაქვს რთული რეალობა, საფრთხეში ჩააგდო საკუთარი მოსახლეობა, ქვეყნის ბედი მაშინ, როდესაც ლიდერს მმართებს მათვის საფრთხის აცილება .

4. კითხვა: ვიდრე თემურლენგი უშუალოდ შემოვიდოდა საქართველოში როგორი შიდა პოლიტიკური ვითარება პქონდა სახელმწიფოს?

პასუხი:

5. კითხვა: თუ შეიძლება დაგვისახელეთ თავად თემურლენგის მთავრი მიზანი რა იყო?

პასუხი: თემურლენგის თავდაპირველი მიზანი არ ყოფილა ქართული მოსახლეობის გამუსლიმება, რასაც ადასტურებს ივანე

ჯავახიშვილის ისტორიული ცნობები და საქართველოს ისტორი-ის ნარკვევებში არსებული ცნობები, მას სურდა დაესაჯა ურჩი მეფე, რომელმაც გაბედა წინააღმდეგობის გაწევა. შემდგომ უკვე დომინოს ეფექტით მოჰყვა არასწორ გადაწყვეტილებებს მძიმე და რთული პროცესები.

6. კითხვა: თქვენ ფიქრობთ, რომ გიორგი VII-ს არ გაუკეთებია თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, ანუ რაც მის პოტენციურ შესაძლებლობებში იყო?

პასუხი: გიორგი VII უდაოდ არის თავის ქვეყანაზე უანგაროდ შეყვარებული მეფე, მაგრამ შედეგები არის მძიმე და მან ვერ მი-იღო სიტუაცის ადეკვატური გადაწყვეტილებები. პოლიტიკოსს მართებს არა სიფიცე, არამედ ემოციის მართვა. მას რომ გაე-ნალიზებინა არსებული საგარეო და საშინაო საფრთხეები და საერ-თაშორისო სისტემაში მიმდინარე მოვლენები ნარემართა ქვეყნის სასარგებლოდ ქვეყანა არ აღმოჩნდებოდა გაცამტვერების გზაზე.

7. კითხვა: რა არის ისტორიაში მნიშვნელოვანი, მომხდარი ფაქტების გაანალიზება, თუ იმაზე ფიქრი რა შეიძლებოდა მომხ-დარიყო?

პასუხი: ნებისმიერი ლიდერი, სახელმწიფო მმართველი ფასდე-ბა შედეგებიდან გამომდინარე. შედეგები კი ამბობს თავის სიტყვას, მივიღეთ აოხრებული და მიწასთან გასწორებული სახელმწიფო.

8. კითხვა: თქვენი აზრით, ზავი, რომელსაც თემურლენგთან მოლაპარაკებებით გავაფორმებდით, რამდენი ხნით დაუბრუნებდა საქართველოს სიმშვიდეს და შესაძლებელი იყო თუ არა პატივ-მოყვარე თემურლენგს შეეცვალა თავისი მიზნები, რაც ითვალ-ისწინებდა მთლიანად კავკასიის დამორჩილებას და საქართველოს დაპყრობას?

პასუხი: ისტორიული პროცესები არ განისაზღვრება იმით თუ რა მოხდებოდა, არამედ რა მოხდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ დროს, როდესაც თემურლენგი სისატიკით ახშობდა ამბოხებულ ქვეყნებს, არ გვქონდა უფლება გვეწარმოებინა ხისტი პოლიტიკა. შეგახ-სენებთ, რომ ქართული მხარე არღვევს ზავის პირობებს. რამდე-ნად გამართლებულია საფრთხეები ჩააგდო საკუთარი მოსახლეობა,

მაშინ როდესაც მრავალჯერ დაგვამარცხა და გასწორა მთელი დასავლეთ საქართველო მიწასთან, ვერ გავიმარჯვეთ დიდ შეტაკებებში. ამ შემთხვევაში მოლაპარაკებები მაგიდასთან დაჯდომა და დათმობითი პოლიტიკის წარმოება უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, ვიდრე «აგრძელული მტრის» გაღიზიანება, როცა ქვეყანას არ შეუძლია აქტიური პოლიტიკის წარმოება და არ გააჩნია ალტერნატიული საშუალება, უნდა იფიქროს ნაციონალური ინტერესიდან გამომდინარე და სწორად დაგეგმოს დიპლომატიური ხერხებით როგორ გაუმკლავდეს «დამპყრობელს».

9. კითხვა: როგორ ფიქრობთ, ისლამ ჰანიფიზმის მიღების შემთხვევაში, საქართველო დაიბრუნებდა სიმშვიდეს და გასწორდებოდა წელში?

პასუხი: რელიგია არის პოლიტიკური იარაღი, ჩვენ გვყავდა მაჰმადიანი მეფეები, მაგრამ ქართულ საქმეს აკეთებდნენ, ამ შემთხვევაში თუ გავითვალისწინებთ შამქორის ზავს, იქ ვერ დავინახავთ მძიმე პირობებს, რომელიც ისევე ქართულმა მხარემ დაარღვია. ასევე დამპყრობლის თავდაპირველი მიზანი არ ყოფილა მოსახლეობის გამუსლიმება, არამედ ურჩი მმართველის ქვეყნის აოხრება და სათანადო დასჯა.

10. კითხვა: თქვენი აზრით, შედეგის მომტანია ისეთ დამპყრობელთან მოლაპარაკების მაგიდაზე დაჯდომა, რომელმაც ინდოეთში სრულიად უმიზეზოდ, დახოცა 70 000 მშვიდობიანი მოსახლე?

პასუხი: დიახ, თუ ქვეყანას სჭირდება უნდა დაჯდე მოლაპარაკებების მაგიდასთან. მით უმეტეს გვაქვს მძიმე საერთაშორისო რეალობა. უშედეგო ომი მეფის მხრიდან დაუშვებელია, როდესაც ეს ზიანს აყენებს შენს ხალხს, რომელთა დაცვა არსებული და მოსალოდნელი საფრთხეებისგან არის ლიდერის ერთ-ერთ პასუხისმგებლობა და ვალდებულება.

11. კითხვა: იყო და არის თუ არა ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რწმენა, იდეოლოგია და პრინციპები?

პასუხი: დიახ, ნებისმიერ დროს წარსულში და ახლაც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის რწმენა, იდეოლოგია, მაგრამ არა უსაფუძვლო, საზიანო პრინციპები, რადგან ლიდერს მმართებს მეტი

გონიერება და წინდახედულება, მართებს მეტი პასუხისმგებლობა და დაფიქრება. თუ რა მოყვება მის პრინციპებს, სიფიცხესა და არასწორ გადაწყვეტილებებს. უშედეგო ბრძოლების სერია ვერ ჩაითვლება გამარჯვებად.

9. ბრალდების მხარის დასკვნით სიტყვა

ირინა მიქაელი - ალბათ წარმოუდგენელია და დანაშაულიც კი იქნება ეჭვი შეიტანო გიორგი მეფის პატრიოტიზმსა და ვაჟუაცობაში. არა, აქ ორი აზრიც კი არ უნდა არსებობდეს, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი და როგორც დიპლომატი, ის შეუმდგარია, არ ჰგავს თავის დიდ წინაპრებს (როგორებიც იყვნენ გიორგი V ბრწყინვალე, თამარი, დავით IV აღმაშენებელი და სხვა). არ ფლობს მმართველისათვის აუცილებელ ისეთ მახასიათებლებს როგორიცაა: სიტუაციის ადეკვატური შეფასების უნარი, მოქნილ დიპლომატიას, მისი ნებისმიერი ნაბიჯი შეიძლება შეფასდეს როგორც დღევანდელი დღეზე გათვლილი პოლიტიკა, რომელიც მომავლისკენ არ იხედება და რაც ყველაზე სამწუხაროა, ვერ სწავლობს წარსულ შეცდომებზე (მსგავსად ბევრი ქართველი პოლიტიკოსისა), მეფე ვერ იაზრებს კლასიკური დიპლომატიის ხელოვნებად შეფასებულ მომენტს, როცა შენზე ძლიერი მტერი დაზავება გთხოვს მას აუცილებლად უნდა დათანხმდე, ხოლო დაუთანხმებლობით შენ უარს ამბობ მშვიდობაზე. ყველას გვაინტერესებს მისი მემკვიდრეობა, ძალიან მარტივია: განადგურებული ეკონომიკა, განადგურებული ინფრასტრუქტურა, განახევრებული გენოფონდი, ჩრდილოეთ კავკასიის მოწყვეტა საქართველოს, რამაც შემდგომ მთელი სიმწვავით იჩინა თავი და ალბათ იმის მტკიცება, რომ მან სარწმუნოება შეგვინარჩუნა სრულიად უადგილოა, გამომდინარე იქიდან რომ, ლენგის შემოსევებამდე ჩვენ ქვეყანას ათასწლოვანი რელიგია გააჩნდა და მას იმდენად ლრმად ჰქონდა ფესვები ჩვენში გადგმული, რომ მისი ამოგდება, არც ისე მარტივი იყო, რაღაც ერთ ათწლეულში, რაც მშვენივრად ესმოდა ძალით შეკონინებული დროებითი იმპერიის დროებით მმართველს, რაც საუბედუროდ

არ ესმოდა ჩვენ მეფეს. მარტო იმას არ აქვს დიდი მნიშვნელობა, როცა იცი რისი გაკეთება გინდა, არანაკლებ მნიშვნელობა აქვს იმასაც, როცა იცი, თუ რისი გაკეთება არ შევიძლია. სულ მცირე დიპლომატია იყო იმ უბედურების ასაცილებლად საჭირო, რაც თემურლენგმა დაატეხა ჩვენს სამშობლოს.

10. დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა

სოფო ედიშერაშვილი - ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ რთულია, საუბრის დაწყება. დარწმუნებული ვარ თითოეული თქვენგანისთვის ისტორია გაცოცხლდა, თუმცა შევეცდები რეალობაში დაგაბრუნოთ და კიდევ ერთხელ გიჩვენოთ, რომ აწმყო რომელშიც ვართ, სწორედ ამ დიდებულმა წარსულმა განაპირობა.

კიდევ ერთხელ, მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო. მივესალმები ბრალდების მხარეს და მოსამართლეთა კოლეგიას. მე გახლავართ დაცვის მხარის წარმომადგენელი ანა ტაკაშვილი და დღეს თქვენთან ერთად შევაჯამებ როგორც ჩვენს, ასევე მოწინააღმდეგებ მხარის მიერ წარმოდგენილ ყველა ისტორიულ წყაროსა და მოსაზრებას, რის საფუძველზეც კიდევ ერთხელ გამოვკვეთ, რომ ბაგრატ მე-5-ისა და გიორგი მე-7-ის პოლიტიკის სამსჯავროზე გამოტანით, მხოლოდ იმაში შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რაოდენ დიდებული მეფები გვყავდა.

ბაგრატის, ისევე როგორც მისი შვილის, გიორგიVII-ის წარმოებულ პოლიტიკას აქვს თავისი ახსნა, რომელმაც ქართველი ერი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. როგორც წესი, ამ ღირსეულ მეფეებს, უმთავრესს ბრალდებად უყენებენ მიზანშეუწონელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას, რომ მათ შექმნილ საერთაშორისო ვითარების ფონზე ვერ მოახერხეს სწორი საგარეო პოლიტიკური ორინეტაციის არჩევა. თუმცა, რეალურად, ჩვენ ვმსჯელობთ წყაროებზე დაყრდნობით, კერძოდ:

პირველი შემოსევის მიზეზებს ივ. ჯავახიშვილი საქართველოს და ოქროს ურდოს შორის არსებულ კავშირ-ურთიერთობებით ხსნის. როგორც წესი, მიიჩნევა, რომ სწორედ თემურლენგზე უნდა

გაეკეთებინათ აქცენტი ქართველ მეფეებს, მით უფრო, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ მას ევროპა უჭერდა მხარს. მაგალითად, მოპყავთ შირვანის მბრძანებლის, შეის იბრაჰიმ დერბენდის მაგალითი, რომელიც მრისხანე აზიელ დამპყრობელს 9 ტომარა ოქროთი, 9 ტომარა ვერცხლითა, 8 მონით მიეგება და მორჩილება გამოუცხადა. 8 მონით, რადგან მეცხრე საკუთარი თავი გამოაცხადა.

სწორედ ამ პერიოდში, ბაგრატ V-მ, რომელიც ტყვედ იყო ჩავარდნილი, პირველი შემოსევის შემდეგ, მოჩვენებით მიიღო მაპ-მადიანობა. შეეძლო თუ არა მსგავსი დიპლომატიით ემოქმედათ ქრისტიანული საქართველოს მეფეებს? რა თქმა უნდა არა! მაპ-მადიან ხელისუფალთაგან განსხვავებით აშკარაა, რომ ქრისტიან მეფეებს მსგავსი ფორმებით მოქმედება არ შეეძლოთ. ასეთი პირობებით დაზავების შემთხვევაში დგებოდა სარწმუნოების საკითხი - მაპმადიანობის მიღებისა და ქრისტიანობის დათმობის შედეგად სამეფო ტახტი ქართველების იდეოლოგიური ფარის გაქრობას დაუშვებდა. ამას ქართული დიპლომატია, მიუხედავად თემურლენგთან უთანასწორო ბრძოლისა, მიუღებლად მიიჩნევს. გიორგი მე-7 რჯულის საკითხს შამქორის ზავის (1401 წ.) პირობების შემუშავებისას განსაკუთრებით უსვამს ხაზს, თავის რჯულზე დარჩენას მოითხოვს საერთოდ ქართველებისთვის - „თქვენ თქვენი რჯული გაქვთ და მე ჩემი“ - ამბობს მეფე. აშკარად ჩანს, ქართველი ხელისუფალნი სხვა ნაბიჯში ქართული სახელმწიფოებრიობის გადაშენება-გადაგვარების საშიშროებას ხედავენ. ქრისტიანობისთვის ბრძოლის ლოზუნგით მართალია დიდი დანაკარგის ფასად, მაგრამ ამ პერიოდის ქართული დიპლომატიის მთავარი საზრუნავი - ქართველობის გადარჩენა შესაძლებელი გახდა. ისიც ფაქტია, რომ საქართველოს მხრიდან აზის დიდი დამპყრობელი, ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ ისტორიულ წყაროებში პატარა საქართველოს კიდევ უფრო პატარა ერთ-ერთი კუთხის დაპყრობა თემურის მიერ უზარმაზარი ინდოეთის დაპყრობასა და იქ წარმოებულ ბრძოლებს არის შედარებული. ამდენად, ქართული დიპლომატიის მიერ არჩეულ პირობებში ერთ-ერთ ყველაზე უფრო შესაძლებელ გზად მოჩანს.

რატომ მოითხოვდა ლენგთემური საქართველოში ქრისტიანობის შეცვლას ქართველებისთვის ყველაზე უფრო „მისადაგებული“ ისლამის ფორმით - ჰანიფიზმით? განა თემური, ეს უდიდესი აზიელი დამპყრობელი ისეთი მიამიტია, რომ ტყუილუბრალოდ დაღვაროს სისხლი თუკი დაემორჩილები? თუკი ხელს არ შეუშლი მის პოლიტიკურ მიზანს - სრულად გააკონტროლოს ევრაზიის დერეფანი? დიახ, თემურლენგი საქართველოსგან მოითხვს მორჩილებას, ხარკს, კავკასიის გადმოსასავლელების ჩაკეტვას და ოქროს ურდოს ყაენ თოლთამიშისთვის ხელის შეშლას, ოლონდ ქართველთა იდეოლოგიური ფარის ქრისტიანობის დათმობით და ჰანიფიზმის აღიარებით, ქრისტიანობაზე ხელის აღებით ანუ მის უარყოფით და განადგურებით, რასაც ქართველობა ჰქვია.

ჰანიფიზმის რელიგიური მიმდინარეობა არაბეთშივე ჩაისახა და დიდი გავრცელება მოიპოვა უპირატესად მიწათმოქმედ ტომებში. იგი თავისი არსით ახლოს დგას ქრისტიანობასთან და ქადაგებს მონოთეიზმის იდეას. ლენგთემურის ვარაუდით, რომლესაც საკმაო რელიგიური განათლება ჰქონდა მიღებული, როგორც ჩანს მიაჩნდა, რომ ასეთი რელიგია ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოში ქრისტიანობის შესაცვლელად. ის რელიგიური ფანატიკოსი არასდროს ყოფილა. როგორც აკადემიკოსი ვასილ ბარტოლდი ფიქრობს: „იგი შიიტი იყო სადაც ამის საჭიროება მოითხოვდა, სხვაგან კი სუნიტების დამცველად გამოდიოდა და საერთოდ ისე იქცეოდა, სადაც როგორ დაჭირდებოდა“.

იგი ასე მოიქცა საქართველოშიც, სადაც ქრისტიანობის შეცვლა ისლამი-ჰანიფიზმით, იმიტომ კი არ უნდოდა, რომ ისლამი „უკეთესია“ ქრისტიანობაზე, რომ ისლამი „მშვენიერების სასწაულს უმზადებს ადამიანს“, ხოლო ქრისტიანობა „ცდომილების გზაა“, არამედ იმიტომ, რომ ქრისტიანობის ისლამით შეცვლა აქ დაკავშირებული იყო მის პოლიტიკურ მიზნებთან. მისთვის ქრისტიანული სამეფოს არსებობა ისეთ სტრატეგიულ უბანზე, როგორიც კავკასიაა, მიუღებული იყო. პროფესორი კარლო ტაბატაძე სავსებით სამართლიანად წერს, რომ „საქართველოს დაპყრობა-დამორჩილება და აქ ჩაღთაელთა ბატონობის გახანგრძლივება მით უფრო შეუძლე-

ბელი იქნებოდა, თუ თემური ადგილობრივ სამამულო სისტემას არ შეცვლიდა მუსლიმური აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის დამახა-სიათებელი ფეოდალური მიწის მფლობელობის წესით. ქართული სამამულო სისტემა კი პირდაპირ კავშირში იყო ქრისტიანულ რე-ლიგიასთან“.

თემურლენგს, როგორც ჩანს, ეგონა რომ ამ პრობლემას აქ ადვილად მოაგვარებდა, მაგრამ წააწყდა ქართველი ერის თავგან-წირულ წინააღმდეგობას და ამ ორგანიზებული სამამულო ომის მესაჭე გიორგი VII იყო.

- მოინ ად-დინ ნათანზის ცნობა გიორგი VII-ის შესახებ - „საქართველოს მეფეს დანებებისა და მორჩილების სრული მის-წრაფება ჰქონდა, მაგრამ იმის შიშით ვაი თუ მუსლიმი გამხდარი-ყო, შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდა“.

- აბდ არ-რაზაყი და ნეზამ ად-დინ შარმი - ისინი წერენ, რომ 1400 წელს შემოსევის დროს ქვემო ქართლში ყველას უმოწყალოდ ხოცავდნენ, ვინც უარს იტყოდა ისლამის მიღებაზე.

- შარაფ ად-დინი წერს, რომ: „ბევრი სისხლისგან, რომელიც შარიათის ნათელი გადაწყვეტილებით შურისძიების მიწაზე დაანთხ-იეს, მიწის ზედაპირი ლალისფერად შეიღება და გვამთა სიმრავლის-გან, რომელიც ერთმანეთზე ეყარა ლეშად, ველი კიდემდე მთად გადაიქცა, კალთებზე კი სისხლის ნაკადულები მოედინებოდა“.

- შარაფ ად-დინი აღნიშნავს: 1386 წელს თემურმა, მისი ის-ტორიკოსების მონმობით, „ურნმუნოთა გასანადგურებლად და დასამორჩილებლად ძლევამოსილი ლაშქრის რაზმები ოთხივე მხ-არეს დააგზავნა“- მისივე - „მრავალი ურნმუნო დახოცეს, მათი ციხეები და სიმაგრეები დაიმორჩილეს და დალენეს, უზარმაზარ დავლას დაეპატრონენ, დაეუფლენ და ყაბალში მთავარ ბანაკს შეუერთდნენ. საინტერესოა რომ აბდ ა-რაზაყ სამარყანდი ზემოთ დასახელებულ ურნმუნოებს ქართველებთან აიგივებს და ამბობს, რომ თემურის სარდლებმა „ელბორზის მთის კალთებზე მცხოვრე-ბი ქართველები ერთიანად მოკვეთეს“.

- შარაფ ად-დინი: ქვემო ქართლში პირნმინდათ ანადგურებდნენ სოფლებსა და დაბებს. ისინი განსაკუთრებული

გაბოროტებით არღვევდნენ ეკლესია-მონასტრებს.

გვსურს ასევე, საუკუნის ძირითადი გამოწვევები, შევაჯამოთ. კერძოდ, უდიდესი მსოფლიო იმპერიის ოსმალეთის საფრთხის წინაშე დგას და არ არსებობს ძალა, რომელიც მას შეაჩერებს. ევროპა ექებს ძლიერ საყრდენსა და მოკავშირეს, სწორედ ამ დროს, ასპარეზზე გამოდის ჩინგი-ხანის იმპერიის აღდგენის იდეით შეპყრობილი ახალი დიქტატორი თემურლენგი. მას მიზნად აქვს დასახული აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო გზებისა და საქარავნო მაგისტრალზე გაბატონდეს. ამისთვის ყველა ღონეს ხმარობს. დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს ევროპასთან, ბიზანტიასა და ტრაპიზონს მოკავშირეობას ჰპირდება ოსმალეთის წინააღმდეგ ხარჯის გადახდის შემთხვევაში. თემურმა კარგად იცის, რომ საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ცენტრია მისი პოლიტიკის გასატარებლად. თუმცა იმასაც აანალიზებს, ასე მარტივი არ იქნება ამ ქვეყანაში ახალი იდეოლოგიის დანერგვა, ვინაიდან ხედავს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველებისათვის რწმენას. ბაგრატ V-ის პოლიტიკა, რომელიც შემდგომ მისმა ვაუმაც გაატარა ცალსახაა. ისინი არ დასთანხმდნენ ერის თვითმყოფადობის და სარწმუნოების შებლალვას და მამაცი, ერთგული ჯარით თავდაუზოგავად შეეპრობოლნენ მტერს. დიახ, ამან მოიტანა დიდი მსხვერპლი, თუმცა რომ არა ასეთი ხისტი პოლიტიკა აღმოვჩნდებოდით რეალობაში, სადაც ჩვენი ფასეულობები გათელილი იქნებოდა, სწორედ ეს სურდა თემურლენგსაც.

დასკვნის სახით კი, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით გამოვკვეთოთ გარემოება, რომელშიც ჩვენი მეფეები იმყოფებოდნენ, მხოლოდ ასეთი პოლიტიკის განხორციელების საშუალებას იძლეოდა და მნიშვნელოვანია, რომ მათ შეძლეს ამ პასუხისმგებლობითვის თავი ღირსეულად გაერთმიათ.

11. ბრალდების მხარის რეპლიკა

გურამ კალანდია - ქალბატონებო და ბატონებო ახლა დროა რეპლიკის სახით შევაჯამოთ წარმოდგენილი ბრალდებები და ფაქტები, რომელიც კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ საქმე გვაქვს კონკრეტულ პოლიტიკურ შეცდომასთან, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის ბედზე და ხალხის სიცოცხლეზე, ბაგრატ მეხუთე და გიორგი მეშვიდე კონკრეტულ ისტორიულ მომენტში ვერ აღმოჩნდნენ სათანადოდ პოლიტიკურად მომზადებული და შესაბამისად მივიღეთ ის მწვავე შედეგები, რომელმაც დაანგრია და მიწასთან გაასწორა ჩვენი, როგორც ქვეყნის სახელმწიფობრიობა, რაც უმძიმესი დანაშაულია ხალხის წინაშე, ვინაიდან პოლიტიკურ მმართველს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყნის წინაშე, ხელისუფლების გადაწყვეტილებები უნდა ყოფილიყო სიტუაციის ადეკვატური და არა ემოციური ასპექტებით წაკარნახევი, პოლიტიკას არ სჭირდება ემოცია, არამედ მას სჭირდება ემოციის მართვა, ყველაფერს აქვს თავისი დრო, ადგილი და მნიშველობა, როცა ზავია საჭირო უნდა დაზავდე, როცა ხარკის გადახდაა საჭირო, უნდა გადაიხადო და როცა ომია საჭირო უნდა იომო!

12. დაცვის მხარის რეპლიკა

გიორგი ნუსხელაძე - ქალბატონებო და ბატონებო ახლა რეპლიკის დროა, შესაბამისად შეგვიძლია გადავიდეთ საბოლოო შეჯამებაზე და ვნახოთ რა ხდებოდა პროცესის განმავლობში. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ დღეს ბაგრატ დიდისა და გიორგი მეშვიდის პოლიტიკა გვქონდა სამსჯავროზე გამოტანილი. წარმოადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით ჩემი გუნდი თემიდას შვიდეული, შეეცადა ყველა ის ეჭვი გაეფანტა ბრალდების მხარისთვის, რაც დასაწყისში წამოაყენეს. ვაჩვენეთ თავგანწირული ბრძოლების მიზეზები და აუცილებელი მდგომარეობა, რის გამოც ჩვენს მეფეებს სხვა არჩევანი არ ჰქონდათ დარჩენილი. ეს კი ისევ გავმეორდები იყო ქართველი ხალხის გადარჩენა. ფიზიკური გა-

დარჩენა, რაც ქრისტიანობამ მოგვიტანა. იმ პერიოდში ხომ ქრისტიანობა და უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი იყო ქართველი კაცისთვის და სწორედაც რომ ჩვენი რელიგია ქართველობასთან იყო გაიგივებული. ამან გვიხსნა და გადაგვარჩინა იმ მზაკვრული ჩანაფიქრისგან, რაც ლანგ თემურს გააჩნდა: ქართველთა აოხრება, ქართველთა დამორჩილება და ქართველთა გაწყვეტა. მაგრამ აქ შეცდა უძლეველი მტერი. არ იცოდა ჩვენი ბუნება და საკმარისი პასუხიც მიიღო. ვიდექით და ვიბრძოდით მედგრად, შეუპოვრად და თავდაუზოგავად. რთულია იმით იამაყო რაც თავს დაგვატყდა მაგრამ ფაქტია, საქართველო გადარჩა და დღეს დამოუკიდებელია!!!

13. მენტორების სიტყვა გუნდების დასახასიათებლად.

ბრალდების მხარის (გუნდი „თემიდას ხევისბერი“) მენტორი, პროფესორი მარიამ ჯიქია:

პროექტის ფარგლებში პირველი გუნდი, ვისთანაც ბატონ ავთო სონღულაშვილთან ერთად მომიწია მუშაობა იყო გუნდი „თემიდას ხევისბერი“. იგი გამოირჩეოდა იმით, რომ თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი როგორც სამართლის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტები; ასევე დაკომპლექტებული იყო, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ასევე ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტებით.

გუნდი „თემიდას“ შვიდივე წევრი თანაბრად იყო ჩართული მუშაობის პროცესში, რასაც კარგად ასახავდა ყოველკვირეულ შეხვედრებზე მათ მიერ დამუშავებული წყაროების მოცულობა, მომზადებული შესავალი, კითხვები თუ დასკვნითი სიტყვა. გუნდის წევრებს შორის როლებიც მათი ძლიერი უნარ-ჩვევების მიხედვით იყო გადანაწილებული.

მიმარინა, რომ გუნდმა არა მხოლოდ კარგად დაამუშავა მასალა და გაითვალისწინა მენტორების მითითებები, არამედ პროცესის დროსაც საკმაოდ წარმატებით გაართვეს თავი.

ბრალდების მხარის (გუნდი „თემიდას ხევისბერი“) მენტორი, პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი:

გუნდთან, „თემიდას ხევისბერი“ მუშაობა მომინია პროფესორ მარიამ ჯიქიასთან ერთად. ჩვენი დუეტი მენტორების ამპლუაში ნაყოფიერი გამოდგა. ამას ხელი შეუწყო, როგორც სტუ-ს სამართალისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ასევე თბილისის სხვა უნივერსიტეტების სტუდენტების ერთგვარმა ნაკრებმა. შვიდივე სტუდენტი გამოირჩეოდა სურვილით სიღრმისეულად გაეაზრებინათ პრობლემის არსი. მათ შეძლეს საფუძვლიანად დაემუშავებინათ ქართული და უცხოური ნარატიული წყაროები, შეისწავლეს დოკუმენტები. მოიძიეს საარქივო მასალა. დაამუშავეს საკითხის გარშემო არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა და შეძლეს ეს ყველაფერი კრიტიკულად გაეაზრებინათ.

ვფიქრობ, ეს არის ნარმატებული პროექტი, რაც ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების განვითარებას და იმ სავალდებულო უნარ-ჩვევების დაუფლებას, რომელიც აუცილებელია გააჩნდეს მომავალ თაობას საზოგადოებაში დამკვიდრებისა და თვითრეალიზაციისათვის.

დაცვის მხარის („თემიდას შვიდეული“) მენტორი, პროფესორი ზურაბ კვეტენაძე:

ინტერ და მულტიფუნქციურ სასწავლო-სამეცნიერო პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ ფარგლებში მონაწილე გუნდი „თემიდას შვიდეული“ სამსჯავროსათვის მზადების სასწავლო-სამეცნიერო კვლევის პროცესში თავი გამოიჩინა მაღალი აკადემიურობით, აზროვნების სისხარტით, დებულების ნათლად და ეფექტურად გააზრებით, წყაროებსა და ლიტერატურაზე მუშაობის სათანადო უნარით.

გუნდმა „თემიდას შვიდეულმა“ დაამაუშავა სამეცნიერო ლიტერატურა არა მარტო ქართულ, არამედ არაბულ ენაზეც, მათ შორის, შარაფ ად დინ ალი იეზდის, მირხონდის, ჰაფეზე აბრუს, აბდ არ-რეზაყ სამარყანდის და სხვათა წყაროები.

14. ბრალდების მხარის მტკიცებულებები, შეკერილი საქმეები (ფოტოასლები)

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. მე-3 ტომი (ტომის რედაქტორები ზ. ანჩაძე და ვ.გუჩუა), გამომც.“საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1979.

2. ივანე ჯავახიშვილის თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი 3. [ქართველი ერის ისტორია: III და IV წიგნები. საქართველოს ისტორია XIII ს-და XVI ს-მდე] / ივანე ჯავახიშვილი; ტომის რედაქტორი მამია ღუმბაძე; მთავარი რედაქტორი: დავით ჩხილვიშვილი.

3. ნალბანდიანი ვაჩე. თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის ბოლომდე. სომხურიდან თარგმნეს 6. ჯანაშიამ და ე. ცაგარეიშვილმა. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959.

4. ევდომიშვილი თინათინ. სომხური წყაროები თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი 2006.

5. The Bondage and Travels of Johann Schiltberger, a Native of Bavaria, in Europe. Project Gutenberg. <https://www.gutenberg.org/ebooks/52569> Schiltberger, Johann. In Chisholm, Hugh (ed.). Encyclopædia Britannica. 24 (11th ed.). Cambridge University Press. p. 326.

6. ქართლის ცხოვრება. სიმონ ყაუხეჩიშვილის გამოცემა. ტომი 1 (1955), ტომი 2 (1959). თბილისი. <http://www.amsi.ge/istoria/qc/>

7. გორგიჯანიძე ფარსადან. საქართველოს ისტორია. ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები. https://wikisource.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C_%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94_-_%22%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%90%22

8. ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება. ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები. [9. ხორენაცი მოვსეს. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ; ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინტი, თბ., მეცნიერება, 1984.](https://wikisource.org/wiki/%22%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%22_(%E1%83%9E%E1%83%98_%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98)_ (1959)</p></div><div data-bbox=)

10. ტაბატაძე კარლო. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინტი. თბ., მეცნიერება, 1974. საქართველოს ისტორიის ელექტრონული ბიბლიოთეკა. <https://archive.org/details/georgiagainsttamerlan/mode/2up>

11. კაციტაძე დავით. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით). თბილისის უნ-ტის გამ-ბა, თბილისი, 1975.

12. Nagel, Tilman. Timur der Eroberer und die islamische Welt im späten Mittelalter. München, Beck, 1993.

15. დაცვის მხარის მტკიცებულებები, შეკერილი საქმეები (ფოტოასლები)

- ნებამ ად-დინ შამის „ზაფარ-ნამე“ (გამარჯვების წიგნი) - ეხება ბირთვისის ციხის აღებას და თემურ ლენგის გალაშქრებას დასავლეთ საქართველოში 1403 წელს (გვ.281).
- მოინ ად-დინ ნათანზის „მონთახაბ ათ-თავარისე მოინ“ („რჩეული ისტორიათაგანი“) - საქართველოში თემურის უკანასკნელ

შემოსევაზეა და საშუალებას გვაძლევს კრიტიკული თვალით შევხედოთ თემურის მეხოტბე ისტორიკოსების ცნობებს.

- ფასიპი ხაფი „მაჯმალე ფასიპი: („ფასიპის კონსპექტი“) - ცნობა 1387 წლის გაზაფხულზე საქართველოსკენ თემურის გალაშქრებისა და ქსნისა და არაგვის ხეობებში მუსლიმი ტყვეების ყოფნის შესახებ.
- ქამალ ად-დინ აბდ არ-რაზაყ სამარყანდი - საინტერესოა მისი ცნობა ბირთვისის ციხის შემოგარენის თემურის მიერ თიულად გაცემის შესახებ საქართველოში უკანასკნელი ლაშქრობის დროს 1403 წელს (გვ. 459 ბ).
- მნიშვნელოვან წყაროს ნარმოადგენს XV საუკუნის არაბი ისტორიკოსის აპედ იბნ არაბშაპის „აჯაიბ ალ-მაკდურ ფი-ახ-ბარ თიმურ“ (ბედის საკვირველებანი თემურის ამბებში“).
- ლარვვისელი მწიგნობრისა და მხატვრის ავგაროზ ბანდაისძის მიერ 1348-1403 წ. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“ საინტერესო ცნობებს შეიცავს თემურის ურდოების მიერ საქართველოში განხორციელებული ნგრევა-გაპარტახებისა და ხოცვის მასშტაბების შესახებ (ტექსტი გამოსცა შ. მესხიამ, ნარკ. 30. თბ. 1954; გვ. 305-374).
- საქართველოში ამ საკითხის მეცნიერულ შესწავლაში ახალი ეტაპი შექმნა ივ. ჯავახიშვილმა. მან გამოიყენა ქართული, ბერძნული, სომხური, სპარსული (შარაფ ად-დინ იეზდის „ზაფარ ნამე“) წყაროები, მაგრამ მას საგანგებოდ არ გაუმახვილებია ყურადღება თემურის ურდოების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაზე. ამის საშუალებას არ იძლეოდა მის დროს არსებული მასალა. ამ მხრივ გაცილებით მეტი შესაძლებლობა მოგვიანებით შეიქმნა, ახალი სპარსული წყაროების გამოვლენის შემდეგ. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა საჭიროებს მნიშვნელოვან შევსებას, ზოგი საკითხი კი სრულიად ახლებურ განხილვას.
- ციხეებისა და გამოქვაბულების გარდა, ქვით მკვიდრად ნაგები ეკლესია-მონასტრები ხშირად არის აღნიშნული, როგორც სპარსულ, ისე ქართული წყაროებში და მათ მიმართ განსა-

კუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებული თემურის ველური ურდოები - უორდანია თედო. ქრონიკები (II ტომი). არტანუჯი, თბ., 2018.

- გიორგი მეფის მიერ თემურის კარზე ელჩებისთვის გატარებულ ძღვენსა და ფეშქაშებში 1403 წლის საზავო მოლაპარაკებების დროს, რომელთა შორის გარდა მეტად იშვიათი 17 მისხლიანი ლალისა და დასახელებული უამრავი ბროლის, ვერცხლის და ოქროს ჭურჭელი, ასევე, 1000 ცალი იქროს ფული თემურის სატიტულო ზედნერილით. (ნეზამ ად-დინი გვ. 286; შარაფ ად-დინი ტ. II გვ.384; აბდ არ-რაზაყი ფ. 339ა.)
- თემურისა და თემურიანთა ხანის ისტორიოგრაფია, მის ლაშქრობათა მიზეზებს, განსაკუთრებით არამუსლიმურ ქვეყნებში, რჯულის განმტკიცების საჭიროებით ხსნისა. (ნეზამ ად-დინი გვ.31)
- რელიგია მისთვის მხოლოდ და მხოლოდ იარაღი იყო თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და მარჯვედაც იყენებდა მას - (ვ. ბარტოლდი -)
- I შემოსევის მიზეზებს ივ. ჯავახიშვილი საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის არსებულ კავშირ-ურთიერთობებით ხსნის. (ქართველი ერის ისტორია, III ტ. გვ. 409)
- II ლაშქრობის თავში ასე წერია: როგორც ჩანს, თემურს საქართველოს მოსახლეობის გამუსლიმანება მიაჩნდა საჭიროდ და სულაც არ არის შემთხვევითი საქართველოში მისი მძარცველური ლაშქრობების მიზეზებს თემურის ისტორიკოსები აქ ისლამის რელიგიის გავრცელების საჭიროებით რომ ხსნიდნენ (აბდ არ- რაზაყი, ფ. 268 ბ.).
- თემურსაც და სხვა დამპყრობლებსაც როგორც მანამდე, ისე მას შემდეგ, ევონათ, რომ საქართველოში ქრისტიანობის მაპ-მადიანობით შეცვლით მიაღწევდნენ თავიანთ საწადელს და ადგილობრივ სამამულო სისტემას ადვილად შეცვლიდნენ მათვის დამახასიათებელი სამხედრო-ლენური სისტემით. ქართული სამამულო სისტემა კი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქრისტიანულ რელიგიასთან.

- მოინ ად-დინ ნათანზის ცნობა გიორგი VII-ის შესახებ: „საქართველოს მეფეს დანებებისა და მორჩილების სრული მისწრაფება ჰქონდა, მაგრამ იმის შიშით, ვაი თუ მუსლიმანი გამხდარიყო, შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდა და ამ სიჯიუტეს ათეული ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა“. (არაბულ ენაზე წყაროს წაკითხვა).
- ბაგრატის გამუსლიმება - მან ისლამის მიღებით თემურის მრისხანება დააცხრო და მოიპოვა შინ დაბრუნების უფლება. ხომ უაზრო იქნებოდა ვიდრე სამშობლიში არ დაბრუნდებოდა საკუთარი და ცოლ-შვილის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება? რა გარანტია ჰქონდა მტრის ჯარის გარემოცვაში მყოფ ბაგრატს თვითონ და ცოლ-შვილი უვნებელი დარჩებოდა ბრძოლის დროს? განა ლირდა 12000 კაცისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებინა თემური, რომელთანაც უკვე გამონახული იყო საერთო ენა და საქართველოს აღარაფერს ერჩოდა? - რა თქმა უნდა არა.
- გიორგის პასული მოცემულია: შარაფ ად-დინ ალი იეზდის - და უმატებს, რომ გიორგი პასუხი იყო უხეში და კეთილგონიერებას მოკლებული“. „ახალი ქართლის ცხოვრება“ - აქაცაა შემონახული.
- ბოლო ლაშქრობა: რომ შემოიჭრა ამის შემდეგ სპარსულ წყაროებში მოცემულია თემურის მიერ ელჩების გაგზავნა გარკვეული მოთხოვნებით და მისი უკან დაბრუნება უარყოფითი პასუხით (ქართლის ცხოვრებაშიც).
- ძალიან საინტერესოა ერთი მომენტი, თემურის ისტორიკოსებს ნათქვამი აქვთ, რომ 1400 წ. შემოსევის დროს ჩაღათაელებმა საქართველოს ამ კუთხეში (ქვემო ქართლში) ყველას უმოწყალოდ ხოცავდნენ, ვინც უარს იტყოდა ისლამის მიღებაზე. მოსახლეობის უმეტესობა, ვინც ხელთ უვარდებოდა, სიკვდილს ამჯობინებდა რჯულის გამოცვლას. (აბდ არ-რაზაყი, ნეზამ ად-დინ შარმი).
- გიორგი პანიკურად კი არ გაურბოდა მრავალრიცხოვან მტერს, არამედ ბრძოლებით იხევდა უკან და სასტიკ წინააღმდეგობას

უწევდა, სადაც კი ამის ოდნავი შესაძლებლობა იყო.

- ძალის ციხეს რომ დაცა, მაინც ვერ ჩაიგდო გიორგი მეფე, რომელმაც „მაღვით ციხიდან გაეცალა და სულთან მაჰმადის შვილთან წაიყვანა“ (ფ. გორგიჯანიძე. გვ. 303).
- ციხის დაპყრობის შემდეგ აბდ არ-რაზაყ სამარყანდის ნათქვამი აქვს, რომ - „დაპყრობის შემდეგ ის ციხე მიწასთან გაასწორესო“ - არაბულ ენაზე ტექსტის წაკითხვა.
- შარაფ ად-დინი ტ. II გვ. 246 წერს: „ბევრი სისხლისაგან, რომელიც შარიათის ნათელი გადაწყვეტილებით შურისძიების მიწაზე დაანთხიეს, მიწის ზედაპირი ლალის ფერად შეიღება და გვამთა სიმრავლისგან, რომელიც ერთმანეთზე ეყარა ლეშად, ველი კიდემდე მთად გადაიქცა, კალთებზე კი სისხლის ნაკადულები მოედინებოდა“.
- ძალიან საინტერესოა გიორგის მიერ თემურთან მოლაპარაკების დროს შუამავლად გამოყენებული ვინმე ისმაილის პიროვნება. ნეზამ ად-დინის მიხედვით ეს ისმაილი გიორგის შეუპყრია ტყვედ არცოთუ დიდი ხნის წინ. ცნობებით გიორგი მეფე პანიკურად კიარ იხევდა უკან მრისხანე მტერთან უთანასწორო ბრძოლის დროს, არამედ მედგრად წიააღმდეგობას უწევდა მას და აყენებდა დიდ ზარალს.
- არაგვის ხეობაში ლაშქრობა: ფასიპი ხაფის ცნობით ამ ლაშქრობის დროს თემურის მიერ საქართველოში არსებული „მუსლიმანი ტყვების“ განთავისუფლების შესახებ.
- ალინჯის ციხის დაპყრობის შემდეგ ჩაღაელთა შეერთებული მხედრობა საქართველოს მოადგა აღმოსავლეთიდან. გიორგი მეფემ სარდლებს მოციქულები შეაგება დაზავების წინადადებით (შარაფ ად-დინი ტ. II, აბდ არ-რაზაყი).
- ნეზამ ად-დინ შამი მხოლოდ საქართველოს მეფის მრავალრიცხვანი ელჩობის მოსვლას ასახელებს შამქორში თემურის კარზე. მათ მდიდრული საჩუქრები მოართვეს, რომელთა შორის სახელდება სხვადასხვა სახის ხელოვნური ნაწარმი (არაბულად). ცხენები და სანადიროდ გაწვრთნილი ცხოველები. შარაფ ად-დინ ალი იეზდი ამბობს, რომ ელჩობას სათავეში

გიორგი მეფის ძმა - კონსტანტინე ედგა. (ახალი ქართლის ცხოვრება, I ტექსტი, გვ. 335-336. II ტექსტი გვ. 468); მან მეფის მიერ გამოტანებული სიგელი გადასცა (არაბულად) შარაფ ად-დინ ალი ჩამოთვლის მითითებულ პირობებს, რომელსაც მეფე სთავაზობდა თემურს დაზავების შემთხვევაში: საქართველო ხარკ ჩააბარებდა ყოველწლიურად ხელმწიფის ხაზინას და პირველი მოთხოვნისთანავე გამოიყვანდა დადგენილი რაოდენობის ჯარს. ამის სანაცვლოდ მოითხოვდა ისეთი პირობების შექმნას როდესაც ქართველები უშიშრად და მოსვენებით იცხოვრებდნენ მუსლიმანებთან მეზობლობაში. ნეზამ ად-დინის ცნობით, თემურმა მიიღო ეს წინადადება: უსაფრთხოებასა და პატივში უნდა ჰყოლოდათ მუსლიმები თავიანთ ქვეყანაში. ქართველებს არ უნდა ჩაეკეტათ „მოციქულებისა და მიმოსვლის კარები“. თემურმა დაარღვია ზავი და დაარბია თორთუმის ციხე.

- ბაიაზეთის დატყვევების მერე, თემური ისევ მოდის აქ. მეფემ მას ელჩები მიაგება დაზავების თხოვნით, ისევ კონსტანტინე იყო სათავეში. (ახალი ქართლის ცხოვრება; I ტექსტი; 335-336გ.).
- ფარსადან გორგიჯანიძე - გიორგი მეფის მოციქულები მისი სახელით პირდებოდნენ ხარკის გადახდას (ჯიზიასა და ხარავას), როგორც ჩანს, საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების შესრულებას მაგრამ თითქოს თემური უარს ამობობდა დაზავებაზე რელიგიური მიზეზის გამო, მაგრამ დაითანხმეს ამ ზავზე. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ზავის შემდეგ თემური მოერიდებოდა საქართველოს ტერიტორიების აოხრებას და მოსახლეობის ძარცვა-რბევას, მაგრამ ასე არ მოიქცა. მისივე ისორიკოსების ცნობით, თემურმა კიდევ ერთხელ იყარა ჯავრი ქართველებზე და თავის მეომრებს ააოხრებინა ეკლესია-მონასტრები თბილისსა და მის შემოგარენში. მისი ასეთი ქმედება ნათლად მიუთითებს, რომ ეს ზავი საბაბი იყო დასავლეთ საქართველოდან გამოსაბრუნებლად, თორემ სულ არ აპირებდა ამ პირობების შესრულებას.

- ჰელიკონის აბრუ - ზობდათ ათ-თავარის (მატიანეთა ნიღაბი) შედგება 4 ტომისგან ადამიანის შექმნიდან 1427 წლის ამბებით. მას პირადა მიუღია მონაწილეობა თემურის ლაშქრობებში და მოწმე ყოფილა მის მიერ აღწერილი ამბების. იგი თემურს საქართველოშიც ხლებია რამდენჯერმე. (არაბულენაზე).
- რუი გონსალეს დე კლავიხო თემურის კარზე ელჩად იყო გაგზავნილი კასტილიის მეფის ჰენრის III-ის მიერ 1403 წელს. ცნობები საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ თემურის შემოსევათა შემდგომდროინდელ საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნების შესახებ - (გამოქვეყნებულია ე. მამისთვალაშვილის მიერ „მნათობი“ №8, 1971 წ. 57-64 გვ).
- ბაგრატზე, თემურლენგის 7 შემოსევაზე, ბაგრატის დაპყრობაზე ორიგინალურ ცნობებს შეიცავს ბიზანტიელი ისტორიოსის მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“ — „გეორგიკა“ ტ. VII, ქართულად თარგმნა და გამოსცა სიმონ ყაუხეჩიმელმა; თბ. 1967 წ. გვ. 159-224;
- ბაგრატზე ცნობებია - თომა მენოფელი. ისტორია ლენგ-თემურისა. თარგმანი, შესავალი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქესთებეგისა, თბ. 1937.
- ფ. გორგიჯანიძის თხზულებების ე. წ. VI II დამატება, რომელიც საქართველოში თემურის შემოსევებზეა. ეს თხზულება დაწერა ისპაპანში XVII საუკუნეში.
- ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 293-294.
- ს. კაკაბაძე - ფარსადან გორგიჯანიძის ისტ. საისტორიო მოამბე. II თბ. 1925, გვ. 203.
- დ. კაციტაძე, ფ. გორგიჯანიძის თხზულებებისა და „ქართლის ცხოვრების გაგრძელების XV სა-ის სპარსული წყაროები, “აღმოსავლურუ კრებული“, I თბ. 1960, გვ. 149-168; მისივე ფ. გორგიჯანიძის ერთი სპარსულენოვანი წყაროს შესახებ, აღმოსავლურუ ფილოლოგია, II თბ. 1972 წ. 147-152 გვ. მისივე ფ. გორგიჯანიძის თხზულებების XV სა-ის წყაროების საკითხვის,

„ქართული წყაროთმცოდნეობა“ IV თბ. 1973 წ. გვ.41-55.

- ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნაშრომი ბაგრატ V-ისდა გიორგი VII-ის მეფობის პერიოდის ცნობები „გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებათაგან“ გამოუკრებიათ.
- ბატონიშვილი ვახუშტი, ალწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 301.
- I შემოსევაზე იოანე ბაგრატიონის ცნობა საქართველოს სამეფო ბიბლიოთეკის ნადავლად წალების შესახებ - იოანე. ფ. 124 პ.
- ვ. გაბაშვილი. თათართა შემოსევები საქართველოში. თბ. 1943წ. ასევე, თემურლენგი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ. 1957წ. გვ. 215-225.







16. ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) ვერდიქტი

1. ბრალდების მხარის სარჩელი იქნას/არ იქნას დაკმაყოფილებული.
2. ბრალდების მხარემ, გუნდმა „თემიდას ხევისბერი“ უკეთ შეძლო გაცხადებული პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება.
3. გუნდი „თემიდას ხევისბერი“ ცხადდება გამარჯვებულად.

17. დანართი

- 1) პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ დებულება

მულტი და ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ (შესაბამისობა ეროვნულ ინტერესებთან)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

წინათქმა

პროექტი, მისი მიზნები და ამოცანები სრულიად აპოლიტიკურია და გამორიცხავს მიმდინარე პოლიტიკურ-პარტიულ პროცესებთან პიროვნული თუ ორგანიზაციული სახით რაიმე შეხებას. იგი მოიცავს მხოლოდ წმინდა წყლის სასწავლო-სამეცნიერო კვლევით პროცესს, სტუდენტები (უფროსკლასელები) იკვლევენ თუ რამდენად შეესაბამებოდა ცნობილი პოლიტიკური პირების (პოლიტიკური პარტიების) გატარებული პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, შედეგების განსჯა კი ხდება იმიტირებულ სამსჯავროზე. იმიტირებული სასამართლო პროცესი გამოყენებულია, როგორც სტუდენტების (მოსწავლეების) მიერ შეძენილი მრავალმხრივი

ცოდნისა და უნარების საინტერესოდ და სრულყოფილად გადმო-ცემის თვალსაჩინო და ეფექტური საშუალება, რომელსაც აფასებს კვალიფიციური საგამოცდო კოლეგია (ნაფიცი მსაჯულნი).

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“ (შემდგომში - „პროექტი“) წარმოადგენს მულტი და ინტერდისციპლინურ სასწავლო-სამეცნიერო და თეორიულ-პრაქტიკულ ღონისძიებათა ციკლს, რომელიც ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მიერ.

პროექტის ხელმძღვანელია პროექტის ავტორი, უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ჰენრი კუპრაშვილი. პროექტის ხელმძღვანელი:

- ახორციელებს პროექტის სხვადასხვა ფორმატის სტუდენტებისათვის (საფაკულტეტო, უნივერსიტეტშორისი, ინგლისურნოვანი და რუსულენოვანი ფორმატი) და უფროსი კლასელებისათვის (სასკოლო ფორმატი) დაგეგმვა-კოორდინაციას და ორგანიზაციას;
- უზრუნველყოფს პროექტის მულტი და ინტერდისციპლინურ სამეცნიერო თეორიულ-პრაქტიკულ ღონისძიებათა სამუშაო პროცესის გაუმჯობესების, შინაარსის, მეთოდებისა და საშუალებების დახვენის, საკოორდინაციო, საკომუნიკაციო და თანამშრომლობის ფორმატის განვითარებას;
- ორგანიზებას უკეთებს პროექტის ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებებს და უშუალოდ მონაწილეობს ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების, პოლიტიკური პარტიების 1, მენტორების შერჩევის, სხვადასხვა საფეხურისა და სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებით, სასკოლო ფორმატში კი სხვადასხვა სკოლისა და უფროსი კლასის მოსწავლეებით გუნდების შექმნის, მათი კონსულტირების, ტრენინგების პროცესში;

1 პოლიტიკური პარტიების 1995 წლამდე საქმიანობა.

- ხელმძღვანელობს და ახორციელებს მენტორებთან და სტუ-
დენტებთან ერთად პოლიტიკური მოვლენის მყარი რაოდენო-
ბრივი მახასიათებელის, თვისობრივ ცვლილებებზე რაოდე-
ნობრივ მახასიათებელთა კავშირის დადგენის, პოლიტიკური
მოვლენის პარამეტრიზაციის, პარამეტრის მნიშვნელობის,
პოლიტიკის ხარისხის, ქვეყნის ეროვნული ინტერესების
განსაზღვრის არგუმენტირებული კრიტერიუმების და პარამე-
ტრების, მათი მნიშვნელობის, ზღვრულობის პროცენტული
გამოსახულების, წონადობის დადგენის კვლევით პროცესებს.
- ფაკულტეტზე მრავალმხრივად განვითარებული, კონკურენ-
ტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადების
ხელშეწყობის მიზნით წარმართავს პროექტით გათვალ-
ისწინებული სხვადასხვა სამეცნიერო კვლევის სპეციალობების
თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის
პროცესს, მასში სტუდენტების ჩართვასა და მათში სათანადო
პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას.
- წარმართავს სხვა ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც
დაკავშირებული იქნება პროექტით დასახული ამოცანების
შესრულებასთან.
- პროექტის თანახელმძღვანელია ფაკულტეტის დეკანი, პრო-
ფესორი ირაკლი გაბისონია:
- წარმართავს პროექტის ხელმძღვანელთან ერთად სამმართვე-
ლო-საკოორდინაციო და საორგანიზაციო სახის საქმიანობას,
რომელიც დაკავშირებულია პროექტით დასახული ამოცანების
შესრულებასთან.
- პროექტის მენეჯერ-კოორდინატორია ნინო ოდიშელიძე;
- ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ყველა ფორმატის
(ქართული, უცხოენოვანი, უნივერსიტეტშორისი, რეგიონალ-
ური, სასკოლო და სხვ.) კოორდინატორებს, მათთან ერთად
დაგეგმილი იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატ-
არების ორგანიზებას, ანარმოებს შესაბამის საკომუნიკაციო
და საკორესპონდენციო საქმიანობას;
- უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ იმიტირე-

ბული სასამართლო პროცესის ჩატარების დადგენილი შინაგანისას დაცვასა და შესრულებას, დარბაზის (ოთახის) მომზადებას და სხვ.;

- ახორციელებს კოორდინატორებთან და გუნდის კაპიტნებთან ერთად სტუდენტების (სკოლის მოსწავლეების) შეკრების, მათთან გასაუბრების, მენტორებთან შეხვედრის, კენჭისყრის მომზადება-ჩატარების ორგანიზებას.
- ახორციელებს სარეგისტრაციო გვერდის მართვას, საორგანიზაციო კომიტეტისთვის პროექტში რეგისტრირებულ მონაწილეობის მსურველთა შესახებ ინფორმაციის მიწოდებას (რამდენი სტუდენტი (ან უფროს კლასელი) დარეგისტრირდა, კურსი, სპეციალობა და სხვ.);
- პროექტის ხელმძღვანელობის დავალებით წარმართავს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებული იქნება პროექტით დასახული ამოცანების შესრულებასთან.
- პროექტის სტუდენტური ქართული, უცხოენოვანი, უნივერსიტეტორისი და რეგიონალური სასკოლო ფორმატის კურატორი:
- ხელმძღვანელობს თავის საკურაციო მიმართულებას და პასუხს აგებს მის გამართულ მუშაობაზე;
- საკურაციო ფორმატის ფარგლებში მენეჯერ-კოორდინატორთან შეთანხმებით აწყობს სტუდენტებთან (სკოლის მოსწავლეებთან) გასაუბრების, მენტორებთან შეხვედრის, კენჭისყრის მომზადება-ჩატარების ორგანიზებას.
- პროექტის ხელმძღვანელობის დავალებით წარმართავს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებული იქნება საკურაციო მიმართულებით დასახული ამოცანების შესრულებასთან.
 - 1.1. პროექტის განხორციელებისათვის იქმნება საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობასა და წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.
 - 1.2. პროექტის არსი არის სასწავლო-სამეცნიერო კვლევი-

თი პროცესის სრულყოფის მიზნით, სტუდენტების (უფროსკლასელების) მიერ ცნობილი პოლიტიკური პირების ან პოლიტიკური პარტიების მიერ განხორციელებული პოლიტიკის შესწავლა, ანალიზი ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფო ინტერესეთან მიმართებაში და იმიტირებულ სამსჯავროზე გამოტანა, სადაც იმიტირებული სასამართლო პროცესი გამოყენებულია, როგორც სტუდენტების (მოსწავლეების) მიერ შეძენილი ცოდნის გადმოცემის საშუალება.

1.3. პროექტის მიზნებია:

ა) სტუდენტებმა (უფროსკლასელებმა) გამოიკვლიონ და გაანალიზონ თუ რამდენად შეესაბამებოდა ცნობილი პოლიტიკური პირების (პოლიტიკური პარტიების) გატარებული პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ხოლო შედეგების განსჯა მოახდინონ იმიტირებულ სამსჯავროზე, რომელზედაც კვალიფიციური საგამოცდო კოლეგია (ნაფიცი მსაჯული) შეაფასებს მათ მიერ შეძენილ ცოდნასა და უნარებს;

ბ) სამართალის (042), პოლიტიკის მეცნიერების (0312.1.1), საერთაშორისო ურთიერთობების (0312.1.2), უმიშროების (0312.2.2), ისტორიის (0222.1.1), ინფორმატიკის (0613.1.1) და სხვ. სამეცნიერო კვლევის სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის შედეგად მრავალმხრივად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებაში ხელშეწყობა;

გ) სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის სამეცნიერო კვლევისა და სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის უნარჩვევების ჩამოყალიბება;

დ) სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს შორის თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;

ე) სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის თანამშრომლობისა და მეგობრული გარემოს შექმნა;

ვ) სასკოლო ფორმატში კი უფროსკლასელებისათვის სამეცნიერო კვლევისა და სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და მათ შორის თანამშ-

რომლობის და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, თანამშრომლობისა და მეგობრული გარემოს შექმნა;

ზ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

მუხლი 2. გუნდების შემადგენლობა

1.1. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით იქმნება 8 გუნდი (გამონაკლისის სახით შეიძლება შეიქმნას ნაკლები ან მეტი რაოდენობის) სტუდენტების (სასკოლო ფორმატში კი უფროსკლასელების) შემადგენლობით.

1.2. ყოველ გუნდს აქვს საკუთარი სახელი, საკუთარი ლოგო და სხვა განმასხვავებელი ნიშნები, ასევე ირჩევს გუნდის კაპიტანს. გუნდის კაპიტანი: ორგანიზებას უწევს გუნდის შეკრებას, ახდენს გუნდისა და მენტორების ურთიერთობის კორდინაციას. უზრუნველყოფს გუნდის სამუშაო პროცესის ფოტო-ვიდეო გადაღებას, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ დოკუმენტური მასალის მენეჯერ-კორდინატორისათვის გადაცემას.

1.3. თითოეული გუნდი შედგება თანაპარი რაოდენობის წევრებისან, მაგრამ არანაკლებ 5 და არაუმეტეს 11 წევრისაგან (გამონაკლისის სახით შეიძლება მეტიც).

1.4. გუნდები დაკომპლექტებული უნდა იყოს უნივერსიტეტის, ხოლო საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით ასევე სხვა უმაღლესი სასწავლებლების (მათ შორის, უცხოეთის) სტუდენტებისაგან იმგვარად, რომ თითოეული გუნდის შემადგენლობაში სასურველია იყვნენ სხვადასხვა საფეხურისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და სხვადასხვა სპეციალობის (სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, აგრეთვე შესაძლებელია ინფორმატიკის, ეკონომიკის, ურნალისტიკისა და სხვა) სტუდენტები. სასკოლო ფორმატში გუნდები დაკომპლექტებული უნდა იყოს საშუალო სკოლების უფროსკლასელებით.

1.5. თითოეულ გუნდს ჰყავს არანაკლებ 2 მენტორი: ერთი - სამართლის პროფესორი და მეორე - პოლიტიკის მეცნიერებების და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი. საჭიროების შემთხვევაში გუნდს შესაძლებელია ჰყავდეს სხვა სპეციალობის

მენტორებიც ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით. სასკოლო ფორმატში შეიძლება ჰყავდეთ ერთი სკოლის მასწავლებლი და სტუდენტი (პოლიტსამსჯავროელი), რომელსაც აქვს მიღებული პროექტ „პოლიტიკა სამსჯავროს“ სერთიფიკატი.

1.6. როგორც წესი, მენტორები არიან უნივერსიტეტის ლექტორები. ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მენტორად მოწვეული იქნეს პირი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის ლექტორი.

1.7. თითოეული გუნდისათვის მენტორები არ არიან მუდმივი და ისინი შეიძლება პერიოდულად შეიცვალონ ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.

მუხლი 3. ეროვნული ინტერესები, პოლიტიკური პირები და პოლიტიკური პარტიები

1.1. საქართველოს ეროვნული ინტერესებია: სუვერენიტეტი-სა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; ეროვნული და სახელმწიფო უძინვროების უზრუნველყოფა; სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; ეროვნული და კულტურული თვითმყოფობის უზრუნველყოფა; დემოგრაფიული უძინვროების უზრუნველყოფა; ეროვნული ერთიანობის უზრუნველყოფა

1.2. პოლიტიკური პირები და პოლიტიკური პარტიები არიან ის ადამიანები და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა მიერ გატარებული პოლიტიკის განსჯაც უნდა მოხდეს.

1.3. საორგანიზაციო კომიტეტი განსაზღვრავს პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის ვინაობას.

1.4. პოლიტიკური პირები და პოლიტიკური პარტიები უნდა იყვნენ ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები, პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა პოლიტიკამაც არსებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ისტორიაზე.

2 მაგალითად, ქართველი პოლიტიკური ფიგურებიდან: აიეტი - ფარტაზი, ბაგრატ III, ბაგრატ V, ალექსანდრე ბატონიშვილი, ლავრენტი ბერია, გიორგი I, გიორგი IV ლაშა, გიორგი VII, გიორგი VIII, გიორგი XII, ზვიად გამ-სახურდია, ლევან II დადიანი, დავით VI ნარინი, დავით VII ულუ, ერეკლე

1.5. არ არის სასურველი შეირჩეს ცოცხალი პოლიტიკური პირები და მოცემულ მომენტში ხელისუფელბაში მყოფი პოლიტიკური პარტიები.

მუხლი 4. ტურები და წილისყრები

1.1. პროექტი ხორციელდება ოლიმპიური სისტემით რამდენიმე ტურად.

1.2. პირველ ტურში გუნდები წყვილდებიან, ხოლო მათ შორის გამარჯვებული გუნდები გადადის მეორე ტურში. მეორე ტურის შედეგად გამოვლენილი გუნდები გადადიან შემდეგ ტურში და ა. შ. ბოლოს ფინალურ ტურში გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი.

1.3. საორგანიზაციო კომიტეტი განსაზღვრავს ისტორიულ პირებს ან პოლიტიკურ პარტიებს ყოველი ტურისათვის.

1.4. სეზონის წინ იმართება წილისყრები საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით.

1.5. წილისყრების შედეგად უნდა განისაზღვროს:

ა) ერთმანეთის მეტოქე გუნდები;

ბ) ამ გუნდების პოზიცია: რომელ მხარეს წარმოადგენენ ისინი

II, ვახტანგ გორგაძალი, ვახტანგ VI, თამარ მეფე, თეიმურაზ I, კირიონ I კათალიკოსი, ლუარსაბ II, გიორგი მთაწმინდელი, ვასილ მჟავანაძე, რუსულანი, სულხან-საბა თრპელიანი, ვარქესენ პიტიაშვილი, ნოე უორდანია, გიორგი სააკაძე, სოლომონ II, სტალინი, ელუარდ შევარდნაძე და სხვ.

პოლიტიკური პარტიებიდან: საქართველოს კომუნისტური პარტია, მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ), ქარტია-91, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს სახალხო ფრონტი, საქართველოს მწვანეთა პარტია, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, დემოკრატიული აღორძინების კავშირი და სხვ., ასევე, ისტორიული პარტიები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია და სხვ.

უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ერთად ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის შეიძლება შეირჩეს ლოიდ ჯორჯი, სტალინი (როგორც მსოფლიო პოლიტიკოსი) და სხვ. რუსულენოვანი სტუდენტებისათვის - პეტრე I, ეკატერინე II, ალექსანდრე I (რუსეთის იმპერატორი), სტალინი (საბჭოთა პოლიტიკოსი) და სხვ.

- დაცვას თუ ბრალდებას;

გ) რომელი კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოებული პოლიტიკის დაცვა ან ბრალდება უნდა მოახდინონ ერთმანეთის მეტოქე გუნდებმა.

1.6. წილისყრა შეძლებისდაგვარად ისე უნდა განხორციელდეს, რომ ერთ გუნდს მუდმივად ერთი და იგივე პოზიცია (დაცვა ან ბრალდება) არ შეხვდეს. ყოველ მომდევნო ტურში გადასული გუნდების პოზიციების დამთხვევის შემთხვევაში ტარდება წილისყრა.

1.7. პოლიტიკური ფიგურისადმი სტუდენტისა (უფროსკლასელისა) და მენტორის პირადი სიმპათია-ანტიპათია არ გაითვალისწინება. პოლიტიკოსის (პოლიტიკური პარტიის) მიერ წარმოებული პოლიტიკის დაცვისა თუ ბრალდების საკითხს წყვეტს კენჭისყრა.

მუხლი 5. გუნდების მზადება და მენტორების ფუნქციები

1.1. წილისყრიდან იმიტირებული პროცესის გამართვამდე უნდა გავიდეს არანაკლებ 3 კვირა, რა ვადაშიც გუნდები ემზადებიან.

1.2. გუნდებს წაეკითხებათ ლექციები თემებზე: პოლიტიკა და სისტემური მართვა, პოლიტიკა და ეროვნული უშიშროება, პოლიტიკა და სტრატეგია. მენტორების, მოქმედი პროკურორებისა და ადვოკატების მიერ ჩაუტარდებათ მასტერკლასები: თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის, სასამართლო პროცესებზე მონაწილეობის უნარ-ჩვევების შესახებ და სხვ.

1.3. მენტორების მოვალეობაა მოამზადონ გუნდები.

1.4. არაიურისტი მენტორი გუნდს აძლევს მიმართულებას, უთითებს სამეცნიერო წყაროებს და გუნდის წევრებს განუსაზღვრავს მეთოდიკას და საკვლევ მასალას.

1.5. იურისტი მენტორის ძირითადი ფუნქციაა გუნდს ასწავლოს პროცესზე გამოსვლის ხელოვნება, პროცესის თანმიმდევრობა, მტკიცებულებების წარმოდგენის სპეციფიკა, აგრეთვე არაიურისტ მენტორთან შეთანხმებით განსაზღვროს, გუნდის თუ რომელი

წევრები გამოვლენ პროცესზე სიტყვით და რა თანმიმდევრობით.

1.6. საჭიროების შემთხვევაში, მენტორები გუნდს უტარებენ ტრენინგს თავიანთი მიმართულებით.

1.7. გუნდები უნდა ეცადონ კონკრეტული პოლიტიკური ფიგურისა და პოლიტიკური პარტიის პოლიტიკას შესახებ მიიღონ მაქსიმალური ინფორმაცია.

მუხლი 6. იმიტირებული პროცესი

1.1. პროცესის დროს სხდომის თავმჯდომარე ხსნის სხდომას, აცხადებს თუ რომელი პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის წარმოებული პოლიტიკა იხილება და სიტყვას აძლევს ბრალდების მხარეს შესავალი სიტყვისთვის (რეგლამენტი 10-15 წუთი).

1.2. ბრალდების მხარის შემდეგ შესავალ სიტყვას ამბობს დაცვის მხარე.

1.3. შესავალი სიტყვის შემდეგ მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს დაუსვან კითხვები. კითხვებს ჯერ სვამს ბრალდების მხარე, რასაც პასუხს სცემს დაცვის მხარე. ბრალდების მხარის შეკითხვების ამონტურვის შემდეგ კითხვებს სვამს დაცვის მხარე, რაზეც პასუხს სცემს ბრალდების მხარე.

1.4. სხდომის თავმჯდომარეს და ნაფიც მსაჯულს (საგამოცდო კოლეგიის წევრს) შეუძლიათ დაუსვან კითხვა მხარეებს.

1.5. არსებობის შემთხვევაში მხარეები წარმოადგენენ ექსპერტ-სა და მოწმეს (2-3 წუთი)

1.6. კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ ბრალდების მხარე ამბობს დასკვნით სიტყვას (5-10 წუთი), რის შემდეგაც იგივეს აკეთებს დაცვის მხარე.

1.7. დასკვნითი სიტყვის შემდეგ მხარეებს იგივე თანმიმდევრობით აქვთ არაუმეტეს ერთწუთიანი რეპლიკის უფლება.

1.8. რეპლიკის შემდეგ მხოლოდ გუნდების დასახასიათებლად ეძლევათ სიტყვა მენტორებს (2 წ.).

1.9. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) გადაწყვეტილების გამოსატანად გადის სათათბირო ოთახში.

მუხლი 7. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია), მისი შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1.1. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 11 წევრისაგან.

1.2. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის (საგამოცდო კოლეგიის) შემადგენლობა უნდა იყოს კენტი.

1.3. ნაფიცი მსაჯულები შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის ლექტორები (გამონაკლისის სახით დასაშვებია სტუდენტებიც), ისე მოწვეული პირები, მათ შორის, სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების მქონე პირები, ასევე, საპარლამენტო ლეგიტიმაციის მქონე და სხვა კვალიფიკაციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

1.4. ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის წევრთა) და თავმჯდომარის შერჩევას ახორციელებს საორგანიზაციო კომიტეტი.

1.5. საორგანიზაციო კომიტეტი ასევე ირჩევს სათადარიგო ნაფიცი მსაჯულებს, რომელიც ჩაენაცვლება გამოუცხადებელ ნაფიც მსაჯულს.

1.6. ყოველი იმიტირებული პროცესისთვის შეიძლება განახლდეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა.

1.7. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის (საგამოცდო კოლეგიის) მთავარი დანიშნულებაა მონაწილეობა მიიღოს პროცესის მსვლელობაში და გამოიტანოს გადაწყვეტილება.

1.8. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) გადაწყვეტილებას იღებს ობიექტურად, მხოლოდ პროცესის მსვლელობის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და გუნდების მომზადების შესაბამისად. ნაფიც მსაჯულის გადაწყვეტილებაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მიმართ მისმა წინასწარმა დამოკიდებულებამ.

1.9. გადაწყვეტილების მიღებისას ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ (საგამოცდო კოლეგიამ) უნდა გაითვალისწინოს თუ გუნდმა რამ-

დენად დამაჯერებლად წარმოაჩინა კრიტერიუმები:

ა) კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობა ქვეყანაზე აისახა დადებითად თუ უარყოფითად და რაში გამოიხატა ეს?

ბ) კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობის შედეგად შეიცვალა თუ არა და როგორ ქვეყნის საზღვრები, სუვერენიტეტის ხარისხი, ეროვნული თვითმყოფადობა, დემოგრაფია, ეკონომიკა, მართვის სისტემა, პოლიტიკური რეჟიმი, ადამიანის უფლებები, კრიმინალური ვითარება, იდეოლოგია, რელიგია, განათლების სისტემა, კულტურა, ხელოვნება და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარამეტრები?

გ) კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობით გამოწვეული ცვლილება რითი იყო ნაკარნახევი (პატრიოტიზმით, სხვისი დაცვის საბაბით, რელიგიური რწმენით, პარტიული მიზნებით, მსოფლმხედველობით, პირადი ამბიციით, მომხვეჭელობით, ნეპოტიზმით, უცოდინრობით თუ სხვა)?

დ) მეტოქე გუნდებს შორის რომელმა შეძლო უკეთ შეესწავლა, გაეანალიზებინა და სათანადო მტკიცე არგუმენტაციით უკეთ დაეცვა თავისი პოზიცია?

1.10. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) გუნდების შეფასებისას ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებსაც: შესავალი სიტყვა, მხარეთა კითხვა-პასუხი, დასკვნითი სიტყვა, რეპლიკა, გუნდურობა, კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევები: ანალიზი, წყაროების მოძიება (არქივები, დოკუმენტები, ლიტერატურა...), ექსპერტის გამოყენების ეფექტურობა, მოწმეთა (არსებობის შემთხვევაში) ჩვენება, სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების მყარად არგუმენტირება, სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა. დამატებით (არა აუცილებელი), გუნდმა თუ გამოავლინა და რამდენად: პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ხედვა; ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის კრიტიკული ანალიზი; პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქცი-

ური კანონზომიერებების ცოდნა; საქართველოს სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, სტრატეგიული მარადიული ღირებულებების ფორმირების პოლიტიკური და სამართლებრივი კანონზომიერებების გაცნობიერება და სხვ.

1.11. სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) მიერ არ ფასდება პოლიტიკოსი (პოლიტიკური პარტია) და მისი პოლიტიკა.

1.12. სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) მიერ ფასდება მხოლოდ ბრალდების და დაცვის მხარეთა გუნდების (სტუდენტების, უფროსკლასელების): 1. გავლილი მასტერკლასების (ტრენინგების) ათვისების, კვლევითი მუშაობის, არქივებში, ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო კატალოგებში მოძიებული წყაროების (წერილობითი, ფოტო და ფონო დოკუმენტური...), სხვა მასალების, მტკიცებულებებისა და სანდო ინფორმაციის ანალიზისა და გამოყენების უნარი; 2. სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების, ასევე საკუთარი პოზიციის მყარად არგუმენტირების უნარი; 3. მხარეთა პაექრობის, სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა, ასევე, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება; ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა; გუნდურობა და სხვ.

1.13. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. ნაფიც მსაჯულს არ აქვს თავისი შეკავების უფლება.

1.14. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ (საგამოცდო კოლეგიამ) უნდა გამოავლინოს გამარჯვებული გუნდი, რომელმაც უკეთ შეძლო არგუმენტირებულად დაესაბუთებინა საკუთარი გაცხადებული პოზიცია (ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი), რომ კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მიერ განხორციელებული პოლიტიკა:

ა) სრულად/ნაწილობრივ არ შეესაბამებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს;

ბ) სრულად/ნაწილობრივ შეესაბამებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

1.15. გადაწყვეტილების გამოცხადებისას ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ (საგამოცდო კოლეგიამ) უნდა განმარტოს თავისი გადაწყვეტილების მიზეზი.

მუხლი 8. სერთიფიკატი, სამკერდე ნიშანი, საპრიზო ადგილები და პრიზები

1.1. იმიტირებული სამსჯავროს ყველა მონაწილე სტუდენტს (სკოლის მოსწავლეს) გადაეცემა შესატყვისი ნუმერაციით, რექტორის, დეკანისა და პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერით, შემდეგი შინაარსის სერთიფიკატი: სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სპეციალობების სტუდენტების ერთობლივი სასწავლო კურსი „პოლიტიკა სამსჯავროზე“ მოიცავს სამართლის, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკული სინთეზის საფუძველზე, უნარ-ჩვევების (წყაროების მოძიება, ანალიზი, ეროვნული ინტერესების კრიტერიუმების არგუმენტირება, სასამართლო პროცესში მონაწილეობა, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება, ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა, გუნდურობა) განვითარებასა და ცნობილი პოლიტიკური ფიგურების (პოლიტიკური პარტიების) მიერ წარმოებული პოლიტიკის ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობის სასწავლო-სამეცნიერო კვლევას და მისი შედეგების იმიტირებულ სამსჯავროზე შეჯამებას.

1.2. საპრიზო ადგილებს, პრიზების ოდენობასა და სახეობებს განსაზღვრავს საორგანიზაციო კომიტეტი.

1.3. გარდა გუნდური პრიზებისა შესაძლებელია დაწესდეს პერსონალური პრიზები ნომინაციებში: საუკეთესო ლიდერი, ორატორი, მენეჯორი და სხვ.

1.4. პერსონალურ პრიზიორებს გამოავლენს საორგანიზაციო კომიტეტი.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1.1. დებულება ძალაშია რექტორის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

2) პირველი იმიტირებული სამსჯავროს სხდომის ოქმი

საქმე № 01ქ/001 სხდომის ჩატარების დრო და ადგილი: ქ. თბილისი, სტუ, გ. ნიკოლაძის დარბაზი 13.12.2018. 13:00 სთ.

იმიტირებული სასამართლოს თავმჯდომარე ირაკლი გაბისონია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, პროექტის თანახელმძღვანელი;

მომხსენებელი ჰენრი კუპრაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი.

ნაფიცი მსაჯულები (საგამოცდო კოლეგია):

ირაკლი გაბისონია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, პროექტის თანახელმძღვანელი;

გიორგი ბარამიძე - პოლიტიკური გაერთიანება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი;

ჯემალ გახოვიძე - სტუ-ს სენატის თავმჯდომარე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მინისტრი;

იგორ კვესელავა - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ირაკლი კიკნაველიძე - პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“, პრესსპიკერი.

ჰენრი კუპრაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი;

კობა ნარჩემაშვილი - საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, ყოფილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

სხდომის მდივანი:

ნინო ოდიშელიძე - პროექტის მენეჯერ-კორდინატორი

მანდატურები: თემურ მგალობლიშვილი, ოთარ მგალობლიშვილი

მხარეები: მოსარჩელე მხარე - გუნდი „თემიდას ხევისბერი“; მოპასუხე მხარე - გუნდი „თემიდას შვიდეული“.

დავის საგანი: შეესაბამება თუ არა ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის მიერ გატარებული პოლიტიკა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

სამსჯავროს სხდომის გახსნა: თავმჯდომარე ირაკლი გაბისონია

პროექტის ავტორის სიტყვა: ჰენრი კუპრაშვილი

სხდომის მდივნის მოხსენება მხარეთა გამოცხადების შესახებ, სხდომის მდივანი: ნინო ოდიშელიძე

სხდომის დანართი:

- ბრალდების მხარის შესავალი სიტყვა. (იხ., საქმეში დანართი 1) დაცვის მხარის შესავალი სიტყვა. (იხ., საქმეში დანართი 2) ბრალდების მხარის შეკითხვები. (იხ., საქმეში დანართი 3) დაცვის მხარის შეკითხვები. (იხ., საქმეში დანართი 4) ნაფიც მსაჯულების (საგამოცდო კოლეგიის) შეკითხვები მხარეებს. ბრალდების მხარის დასკვნით სიტყვა (იხ., საქმეში დანართი 5) დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა (იხ., საქმეში დანართი 6) ბრალდების მხარის რეპლიკა (იხ., საქმეში დანართი 7) დავის მხარის რეპლიკა (იხ., საქმეში დანართი 8) ბრალდების მხარის მტკიცებულებები (იხ., საქმეში დანართი 9) დაცვის მხარის მტკიცებულებები (იხ., საქმეში

დანართი 10)

ადგილიზე თათბირით მიღებული განჩინების გამოცხადება,
თავმჯდომარე: ირაკლი გაბისონია

სამსჯავრომ განიხილა საქმის მასალები, მოუსმინა მხარეებს,
გაეცნო მტკიცებულებებს და პროექტის დებულების საფუძველზე
გამოიტანა გადაწყვეტილება.

დაადგინა:

ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) ვერდიქტი

- ბრალდების მხარის სარჩელი იქნას/არ იქნას დაკმაყოფილებული.
- ბრალდების მხარემ, გუნდმა „თემიდას ხევისბერი“ უკეთ შეძლო გაცხადებული პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება.
- გუნდი „თემიდას ხევისბერი“ ცხადდება გამარჯვებულად ხმათა 4/3 რაოდენობით.

იმიტირებული სამსჯავროს სხდომა გამოაცხადდა დახურულად 13.12.2018. 16:00

თავმჯდომარე: ირაკლი გაბისონია
სხდომის მდივანი: ნინო ოდიშელიძე

3) შეფასების კრიტერიუმები

ბრალდების მხარის შეფასების კრიტერიუმი

| | | | | | | |
|----------------------------------|---|---|---|---|---|--|
| ბრალდების მხარის შესავალი სიტყვა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
|----------------------------------|---|---|---|---|---|--|

| | | | | | | |
|--|---|---|---|---|---|--|
| ბრალდების მხარის შეკითხვები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| ბრალდების მხარის პასუხები დაცვის მხარის შეკითხვებზე | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| ბრალდების მხარის რეპლიკა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| გუნდურობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევები: ანალიზი, წყაროების მოძიება (არქივები, დოკუმენტები, ლიტერატურა...) | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| ექსპერტის გამოყენების ეფექტურობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| მოწმეთა (არსებობის შემთხვევაში) ჩვენება | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების კრიტიკიუმებისა და პარამეტრების მყარად არგუმენტირება | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| დამატებით (არა აუცილებელი), გუნდმა თუ გამოავლინა და რამდენად: <ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ხედა; • ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის კრიტიკული ანალიზი; • პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების ცოდნა; • საქართველოს სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, სტრატეგიული დარღვევების ფორმირების პოლიტიკური და სამართლებრივი კანონზომიერებების გაცნობირება. | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |

დაცვის მხარის შეფასების კრიტერიუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|--|
| დაცვის მხარის შესავალი სიტყვა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| დაცვის მხარის შეკითხვები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| დაცვის მხარის პასუხები ბრალდების მხარის შეკითხვებზე | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| დაცვის მხარის რეპლიკა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| გუნდურობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევები: ანალიზი, წყაროების მოძიება (არქივები, დოკუმენტები, ლიტერატურა...) | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| ექსპერტის გამოყენების ეფექტურობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| მოწმეთა (არსებობის შემთხვევაში) ჩვენება | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების მყარად არგუმენტირება | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ- ჩვევა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| საჯარო გამოსვლისა და დეპატების ხელოვნება | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| <p>დამატებით (არა აუცილებელი), გუნდმა თუ გამოავლინა და რამდენად:</p> <p>პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ხედვა; ემპირიული პოლიტიკური სიტუაციის კრიტიკული ანალიზი;</p> <p>პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციური კანონზომიერებების ცოდნა;</p> <p>საქართველოს სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, სტრატეგიულად მარადიული ღირებულებების ფორმირების პოლიტიკური და სამართლებრივი კანონზომიერებების გაცნობიერება.</p> | <table border="1"> <tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td></tr> <tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td></tr> <tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td></tr> <tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td></tr> </table> | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | |

4) ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია), მისი შემადგენლობა და მუშაობის წესი

- ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 11 წევრისაგან. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის (საგამოცდო კოლეგიის) შემადგენლობა უნდა იყოს კენტი.
- ნაფიცი მსაჯულები შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები (გამონაკლისის სახით დასაშვებია პოლიტსამსჯავროელი სტუდენტიც), ისე მოწვეული პირები (მათ შორის, უცხოელები): ცნობილი მეცნიერები, პოლიტიკის ექსპერტები, საზოგადო მოღვაწენი (გამონაკლისის სახით დასაშვებია სკოლის პედაგოგიც) და სხვ. ასევე, სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების მქონე პირები, საპარლამენტო ლეგიტიმაციის მქონე და სხვა კვალი-ფიკაციური პოლიტიკური პარტიების წარტიების წარმომადგენლები.
- ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის წევრთა) და თავმჯდომარის შერჩევას ახორციელებს საორგანიზაციო კომიტეტი.
- საორგანიზაციო კომიტეტი ასევე ირჩევს სათადარიგო ნაფიცი მსაჯულებს, რომელიც ჩაენაცვლება გამოუცხადებელ ნაფიც

მსაჯულს.

- ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის (საგამოცდო კოლეგიის) მთავარი დანიშნულებაა მონაწილეობა მიიღოს პროცესის მსვლელობაში და გამოიტანოს გადაწყვეტილება.
- ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) გადაწყვეტილებას იღებს ობიექტურად, მხოლოდ პროცესის მსვლელობის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და გუნდების მოზადების შესაბამისად. ნაფიც მსაჯულის გადაწყვეტილებაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მიმართ მისმა წინასწარმა დამოკიდებულებამ.
- სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) მიერ არ ფასდება პოლიტიკოსი (პოლიტიკური პარტია) და მისი პოლიტიკა.
- სამსჯავროს ნაფიც მსაჯულთა (საგამოცდო კოლეგიის) მიერ ფასდება მხოლოდ ბრალდების და დაცვის მხარეთა გუნდების (სტუდენტების, უფროსების და მასთან ერთად მასტერალასების): 1. გავლილი მასტერალასების (ტრენინგების) ათვისების, კვლევითი მუშაობის, არქივებში, ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო კატალოგებში მოძიებული წყაროების (წერილობითი, ფოტო და ფონო დოკუმენტური...), სხვა მასალების, მტკიცებულებებისა და სანდო ინფორმაციის ანალიზისა და გამოყენების უნარი; 2. სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესების კრიტერიუმებისა და პარამეტრების, ასევე საკუთარი პოზიციის მყარად არგუმენტირების უნარი; 3. მხარეთა პაექრობის, სასამართლო პროცესზე მონაწილეობის უნარ-ჩვევა, ასევე, საჯარო გამოსვლისა და დებატების ხელოვნება; ქცევისა და ურთიერთობის ეთიკა; გუნდურობა და სხვ.
- ნაფიც მსაჯულთა კოლეგია (საგამოცდო კოლეგია) გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. ნაფიც მსაჯულს არ აქვს თავის შეკავების უფლება.
- ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ (საგამოცდო კოლეგიამ) უნდა გამოავლინოს გამარჯვებული გუნდი, რომელმაც უკეთ შეძლო

არგუმენტირებულად დაესაბუთებინა საკუთარი გაცხადებული პოზიცია (ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი), რომ კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ან პოლიტიკური პარტიის მიერ განხორციელებული პოლიტიკა:

ა) სრულად/ნაწილობრივ არ შეესაბამებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს;

ბ) სრულად/ნაწილობრივ შეესაბამებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

გადაწყვეტილების გამოცხადებისას ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ (საგამოცდო კოლეგიამ) უნდა განმარტოს თავისი გადაწყვეტილების მიზეზი.

5) პროექტის შესახებ საუბრობენ მეცნიერები და პოლიტიკოსები (ამონარიდები):

• დოქტორი ელენა ესკრიფ-კოსმაჩი - ფრენსის მარიონის უნივერსიტეტის პროფესორი (ქ. ფლორენსი, სამხრეთ კაროლინის შტატი, აშშ), საგამოცდო კოლეგიის წევრი:

დოქტორ კუპრაშვილის პროექტი, ჩემი აზრით, არის უნიკალური, ეს პროექტი იძლევა სტუდენტებში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარების შესაძლებლობას. ეს პროექტი არის დემოკრატიის შესანიშნავი სკოლა, რამდენადაც ამ პროექტში სტუდენტები მშვიდად გამოითქვამენ სხვადასხვა თვალსაზრისს, ისმენენ სრულიად განსხვავებულ მოსაზრებებს და ამრიგად იქმნება პრობლემის გადაჭრის ერთიანი სურათი. ბავშვები სწავლობენ კონსენსუსის კულტურას, რაც წარმოადგენს დემოკრატიის ძირითად ელემენტს. დოქტორ კუპრაშვილის პროექტმა დამაინტერესა იმითაც, რომ სტუდენტები სერიოზულად იკვლევენ პოლიტიკური ცხოვრების რთულ პერიოდებს, მათ შორის, საბჭოთა კავშირისას, სწავლობენ მის ნიუანსებს და ეს პროექტი იძლევა სტუდენტებში დემოკრატიული უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას. სიამოვნებით ვითანამშრომლებ ამ პროექტთან, მაღლობელი ვარ

მოწვევისათვის, გაცნობილი ადამიანებით. ამ პროექტმა საშუალება მომცა გამეცნო ქართველი სტუდენტები და ის ტოლერანტული ატმოსფერო, რომელიც სუფევდა აქ.

• დოქტორი ელიკო წიკლაური-ლამიხი — ფრაიბურგის მაქს პლანკის სახელობის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, კრიმინოლოგიური კვლევების სექტორის კოორდინატორი დათ-ის ქვეყნებსა და საქართველოში, საგამოცდო კოლეგიის წევრი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორის პენ-რი კუპრაშვილის ინიციატივითა და დეკანის, პროფესორ ირაკლი გაბისონისას მხარდაჭერით საუძველი ჩაეყარა ძალიან მნიშვნელოვან პედაგოგიურ/აღმზრდელობითი და სოციოპოლიტიკურ პროექტს. მიხარია რომ აქტიურად ვარ ჩართული და მივესალმები მის გაფართოებასა და გაგრძელებას. პროექტს მრავალ ასპექტიანი საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს და გამიზნულია ბავშვებსა და მოზარდებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის. გარდა ამისა, ახალგაზრდა თაობა დაიწყებს უფრო შინაარსიანად და დოკუმენტალურად ქვეყნის წარსულის პოლიტიკური და სოციოეკონომიური პროცესების მთლიანობაში შესხავლას და დაკვირდება საქართველოში ქვეყნის აღმშენებლობის კომპლექსური განვითარების სირთულეებს. მჯერა რომ ეს პროექტი ძალიან სასარგებლო იქნება ახალი თაობის პოლიტიკოსების, იურისტების და საერთოდ ახლებურად მოაზროვნე თაობის აღზრდისათვის. პირადად მე, როგორც მაქს/პლანკის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან პარტნიორული ურთიერთობის ხელმძღვანელს და მოწვეულ პროფესორს, მაქვს პატივი აქტიურად ჩავება ამ პროექტში. რამეთუ ჩვენ ინსტიტუტში გვაქვს ამგვარი სამეცნიერო/პოლიტიკური კვლევების დიდი გამოცდილება. გერმანიაში მაქს პლანკის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტში 15 წლის წინათ დავიწყეთ კვლევები რომელიც 25 ქვეყანას მოიცავს და მთელ მსოფლიოში, ევროპა, სამხრეთი ამერიკა,

აფრიკა აზია და აშ. სადაც ვიკელევდით დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის და დემიკრატიის განვითარების პრობლემებს გასულ მეოცე საუკუნეში. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც წარსულის შეცდომები არ იქნა შესწავლილი და გაანალიზებული/სამართლებრივადაც. ადამიანის უფლებებისა და სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურული დანაშაულებს კვლავ აქვს ადგილი.

პროექტი უდავოდ დაეხმარება პოლიტიკური პროცესების როგორც წარსულში ასევე თანამედროვე პირობებში ანალიტიკურ გააზრებას.

• თეონა აქუბარდია — საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი; ლონდონის სამეცნ კოლეჯის (კინგ's ჩოლლეგე გონდონ) საერთაშორისო უშიშროებისა და სტრატეგიის მაგისტრი; ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე 2014-2018 წლებში:

ვფიქრობ, რომ უნიკალური პროექტია, იმ კუთხით, რომ ხდება განხილვა კონკრეტული პოლიტიკოსების, სახელმწიფო მოღვაწეების არა ისტორიული კონტექსტში, არამედ მათი ქმედებები, რამდებად იყო შესაბამისი ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებთან, ეროვნულ ინტერესებთან და რამდენად გამართლებული იყო მათი მოქმედებები სტრატეგიის კუთხით. ამიტომ, ამ ტიპის განხილვები ხელს უწყობს როგორც სტატეგიული აზრის და კრიტიკული აზრის ჩამოყალიბებას მსმენელებში, ასევე, როგორც ასეთი, უყალიბებს სწორ შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ქვეყნის ინტერესი, რა არის ქვეყნის ღირებულება და შესაბამისად მიმაჩნია, რომ ამ ტიპის პროექტი დადებით გავლენას იქონიებს მომავალში იმ კრიტიკული მასის ჩამოყალიბებაზე, რომელიც აუცილებელია ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის.

ერთის მხრივ, აღნიშულ პროექტში სკოლის მოსწავლეების ჩართვა არის მნიშვნელოვანი იმ კუთხით, რომ ისინი ეცნობიან საქართველოს ისტორიას, სილრმისეულად ახდენენ არა მხოლოდ ფაქტების შესწავლას, არამედ ანალიზის გზით გამოდიან და აფასებენ კონკრეტულ პოლიტიკური პიროვნებებს, ამიტომ როგორც

სკოლის ასაკის, ასევე სტუდენტების ჩართვა ამ პროექტში კიდევ ერთხელ უზრუნველყოფს ქვეყანაში ახალი პოლიტიკური კულტურის გაჩენას, რაც მდომარეობს იმაში, რომ კრიტიკული ანალიზის მეშვეობით შევაფასოთ ესეა თუ ის პიროვნება და სწორედ ამ ადამიანებს შემდგომში უკვე შეეძლებათ მომავალში ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში უკვე გააზრებულად ჩართვა იმისთვის, რომ რეალურად მოხდეს ქმედებების და ინტერესების ერთმანეთთან დაკავშირება და რეალურად მოხდეს ანალიზი იმისა, თუ როგორ უნდა განავითაროს საქართველომ თავისი ინტერესები გრძევადიან კონტექსტში.

ვფიქრობ, რომ იმ პროცესში რომლის მონაწილეობით საკმაოდ მაღალი სტანდარტი იყო, როგორც მასალებთან მუშაობის, ასევე წყაროების გამოყენების. დებატების კულტურა, რასაც მე ვუყურებ საკმაოდ იხვენება და მთავარი აქ არ არის ვინ გაიმარჯვებს, არამედ პროცესში მონაწილეობაა მთავარი და ამ პროექტის მეშვეობით ძალიან ბევრს სწავლობენ მონაწილეები და საბოლოო ჯამში ის კონსესუსი, რაც არის აუცილებელი ქვეყანაში იყოს, სწორედ აქ ეყრება საფუძველი და ამიტომ მნიშვნელოვანი პროექტია მიმართია და ვფიქრობ, რომ ამ პროექტის მეტად გაფართოება და მეტი საჯაროება იქნებოდა უპრიანი იმისთვის, რომ რეალურად პროექტის მიზნები შესრულდეს.

- თათია პაჭკორია - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალისტი, საგამოცდო კოლეგიის წევრი.

„პოლიტიკა სამსჯავროზე“ არის უპრეცედენტო პროექტი ქართულ საუნივერსიტეტო ველში. დღეს, როდესაც პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი შტო განციდის პროფესიონალი კადრების დეფიციტს, ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ინიციატივით მიმდინარე ეს პროექტი განსაკუთრებით ფასეული და მნიშვნელოვანია. აღასანიშნავია სტუდენტთა მოტივაცია და მომზადების დონე, ქარიზმა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და დებატების კულტურა, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარი და არგუმენტაციით მსჯელობის ხელოვნება. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ ინფორმირებულ და განათლე-

ბულ ადამიანს შეუძლია... მე მჯერა რომ ამ პროექტში მონაწილე ახალგაზრედების უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას მიღებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და გააჯანსაღებს ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას. დამერნმუნებით, რომ მხოლოდ წარსული ისტორიული და პოლიტიკური პროცესების კარგად მცოდნე ადამიანებს შეუძლიათ მოვლენებს დაარქვან საკუთარი სახელი, მხოლოდ მათ აქვთ უნარი არ დაუშვან პოლიტიკურ აზროვნებაში რადიკალიზმი, ემოციური ეგზალტაცია, კორუფცია, დემაგოგია, ტოტალური პარტიკულარიზმი და დაუტოვონ საკუთარ ქვეყანას სივრცე მანევრირებისათვის.

პროექტში „პოლიტიკა სამსჯავროზე“ მონაწილე ყველა სტუდენტი ფასდაუდებელ სკოლას გადის ზემოთ ჩამოთვლილი უნარების დაუფლებაში. მე საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ის პოლიტიკური ლიტერატურა, რომელსაც სტუდენტები ამუშავებენ თითოეული პოლიტიკური ფიგურის და ეპოქის შეფასებისას, იქნება ეს დაცვის თუ ბრალდების მხარე, მოსმენილი მაქვს იმ რუტინული სამუშაოს შესახებ, რასაც ეს სტუდენტები საკუთარ ლექტორებთან ერთად წარმოუდგენელი ნებისყოფით ეწევიან. აღბათ ამიტომ არის რომ მენტორებს და უიურის ყოველთვის უჭირთ გამარჯვებული გუნდის გამოვლენა.

მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ჰენრი კუპრაშვილს, რომელმაც ჩვენს სინამდვილეში კიდევ ერთხელ გაუგზავნა მესიჯი საზოგადოებას და თუნდაც პოლიტიკურ სპექტრს, რომ პოლიტიკაში ინტელექტზე, ცოდნაზე, არგუმენტაციით მსჯელობაზე, ანალიზის უნარზე, წარსულის ცოდნაზე და პატიოსნებაზე ისევ არის მოთხოვნა, რომ ღირებულება ღირებულებად რჩება...

• გიორგი ბარამიძე – პოლიტიკური გაერთიანება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოს ვიცე-პრემიერი 2006-2012 წლებში; საქართველოს პარლამენტის ხუთგზის (1992, 1995, 1999, 2003, 2012) წევრი; საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში (2004-2012); შინაგან საქმეთა მინისტრი (2003-2004); თავდაცვის მინისტრი (2004).

მე მინდა მივულოცო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს, ყველა პედაგოგსა და სტუდენტს ასეთი ლამაზი, ძალიან ჭკვი-ანური, კარგი ინიციატივა, იმისათვის, რომ, ერთი, გავიხსენოთ ჩვენი ისტორია, კრიტიკულად გავაანალიზოთ და ასევე, რაც მთა-ვარია, რაღაც ახალი მეთოდი მოვაძენოთ, როგორ შეიძლება სხ-ვადასხვა მიღებულ მოსაზრებებთან მიმართებაში კვლავ დავსვათ საინტერესო კითხვები და კრიტიკულად შევხედოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიასაც, ამა თუ იმ პოლიტიკურ მოღვაწესაც და შევეცადოთ, მეტნაკლებად აი ამ ყველაფერმა, ამ ცოდნამ და ასეთმა კრიტი-კულმა მიდგომამ დახმარება გაგვინიოს ჩვენი დღევანდელი სახ-ელმწიფოს მშენებლობაშიც. ფართო გაგებით თუ ვიტყვით, ჩვენ ყველანი ამისთვის ვართ მოწოდებულნი და ეს განათლებაც, ჩვე-ნი განათლებაც მათ შორის, ამ სფეროში არის მნიშვნელოვანი და ძალიან კარგი ინიციატივაა და რომელშიც სიამოვნებით ვი-ღებ მონაწილეობას და რაც შედგა, ეს პროცესი. პირადად ძალიან ბევრი ახალი ცოდნა მივიღე და ჩემთვის ძალიან სახალისოც იყო და ძალიან შინაარსიანიც. საინტერესო იყო ამდენ კარგ ადამი-ანთან ურთიერთობა. ვუსურვებ უნივერსიტეტსაც, ფაკულტეტსაც შემდგომ წარმატებებს და იმედია ეს პროექტი გაგრძელდება და სულ უფრო და უფრო მეტ სტუდენტს დააინტერესებს არა მარტო საკუთრივ ეს პროექტი, არამედ ასეთი მიდგომა, რაც ჩვენ დღეს ძალიან გვაკლია საქართველოში, ასე ვთქვათ, გამოცლილი კატე-გორიულობისაგან და უფრო კრიტიკული და მიმართული იმისაკენ, რომ მაქსიმალურად შევეცადოთ დადგინდეს ჭეშმარიტება.

ეს არის ძალიან საინტერესო, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი დარწმუნებული ვარ ეს გამოადგება არამარტო ამ ახალგაზრდებს ვინც უშუალოდ ჩართული არიან პროექტში, არამედ ესეთი მიდ-გომა და საერთოდ ესეთი მეთოდოლოგია და ასეთი ტიპის განხ-ილვის დანერგვა მთელ საგანმანათლებლო სისტემაში იქნება ძა-ლიან სასარგებლო მთელი ქვეყნის მასშტაბით იმიტომ, რომ ეს გვასწავლის, რომ არ არსებობს ტაბუდადებული თემები, რომ არ არსებობს ხელშეუხებელი პიროვნებები, რომ არ არსებობს ადამი-

ანი, მითუმეტეს პოლიტიკოსი, რომელმაც შეიძლება შეცდომა არ დაუშვას და რომ წებისმიერ სახელმწიფო მოღვაწეს აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნაბიჯები გადადგმული თავის მოღვაწეობაში და ამან შესაბამისად შედეგი მოიტანა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და აქედან გამომდინარე ეს კრიტიკული აზროვნება და კრიტიკული დამოკიდებულება და იმის მცდელობა, რომ ობიექტურად შევაფასოთ ამა თუ იმ მოღვაწის საქმიანობა ფაქტებზე დაყრდნობით და არა რა წარმოდგენები არის დამკვიდრებული ზოგადად საზოგადოებაში არის ძალიან მნიშველოვანია და ამიტომ მიმართია, რომ ეს ძალიან კარგი ინიციატივაა. დღევანდელი განხილვა იყო შესანიშნავი. ბევრად უკეთესი ვიდრე წინა ორი განხილვა რასაც მე დავესწარი და ეს მეტყველებს იმას, რომ ეს პროექტი წინ მიდის და ყველა ის შესაძლებლობა რომელიც აქვთ ახალგაზრდებს მაქსიმალურად იყო გამოყენებული.

• წინო ბურჯანაძე - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (2001-2008); საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი (2003-2004; 2007-2008); ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი ვიცე პრეზიდენტი; შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტი; თავმჯდომარე პოლიტიკური პარტიისა „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“, საგამოცდო კოლეგიის წევრი:

ძალიან მადლობელი ვარ ამ პროექტის ორგანიზატორების, რომ მომიწვიეს და მომცეს შესაძლებლობა ამ არაჩვეულებრივ პროექტში მონაწილეობის. მართლაც არა ინტერვიუსთვის და არა მხლოდ იმიტომ, რომ სტუმარი ვარ, ამ შემთხვევაში ძალიან გულწრფელად ვამბობ, აბსოლუტურად აღფრთოვანებული ვარ ამ პროექტით, ახალგაზრდებით, რომლებიც გამოდიოდნენ, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მომზადების დონით, კულტურით. სხვათაშორის, როგორი კულტურა აქვთ ახალგაზრდებს პოლემიკის, განსხვავებული არგუმენტების წარმოჩენის, რაც ქართულ პოლიტიკაში სამწუხაოდ ძალიან გამონაკლისია ხოლმე და მე მიხარია რომ ახალგაზრდა თაობა მოდის, რომელიც ერთმანეთს ეპაექრება

არგუმენტებით, რომელიც ერთმანეთს ეპაექრება ძალიან კონკრეტული პასუხებით იმ კითხვებზე და ბრალდებული რომელიც არსებობს. ძალიან გაგვიჭირდა გადაწყვეტილების მიღება ამას აჩვენებს თავად ჟიურის კენჭისყრის შედეგები... მაგრამ გულწრფელად მინდა ორივე მხარეს ვუსურვო ძალიან დიდი წარმატება და მე დარწმუნებული ვარ რომ ეს ახალგზარდები წამდვილად ღირსებულ ადგილს დაიმკვიდრებენ ჩვენს ცხოვრებაში. ერთსაც ვიტყვი რომ ორივე გუნდს ჰყავდა გამოკვეთილი ვარსკვლავები. განსკაუთრებით ორ ახალგაზრდას გამოყოფ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხრიდან. წამდვილი ვარსკვლავები არიან და მიხარია რომ ასეთ ახალგაზრდებს პროფესორ კუპრაშვილის პროექტში მონაწილეობის საშუალება აქვთ.

- კონსტანტინე გამსახურდია - პოლიტიკური მოძრაობა «თავისუფლება - ზოიად გამსახურდიას გზის» ლიდერი; პრეზიდენტ ზოიად გამსახურდიას შვილი:

ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. ეს ეხლა როგორც არასდროს ისე გვჭირდება ობიექტური მიუკერძოებელი სურათი ჩვენი უახლესი წარსულისა, ჩვენი სახელმწიფოებრივი ისტორიისა. გუნდები საკმაოდ სოლიდურად არიან წარმოდგენილნი, როგორც ერთი ისე მეორე მხარე და ჟიურიც საკმაოდ სოლიდურ შთაბეჭდილებას ახდენს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი საბოლოო ჯამში შეაჯერებენ ისტორიულ არგუმენტებს და მივლენ სწორ დასკვნამდე, ისეთ დასკვნამდე როგორიც შეეფერება ჩვენს უახლეს ისტორიას.

- ირაკლი კიკნაველიძე - პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო — მოძრაობა თავისუფლებისთვის“, პრესსპიკერი, საგამოცდო კოლეგიის წევრი:

ძალიან სასიამოვნო იყო ის რაც ჩვენ ვნახეთ, იმიტომ რომ ერთის მხრივ, ვნახეთ თავად სტუდენტების დიდი სურვილი, მათი მონდომება და შემართება, როგორც მოემზადნენ დღევანდელი შეხვედრისათვის, ისე თავად ინტერესიც უნივერსიტეტში, რაც ამ თემამ გამოიწვია, ეს არის ძალიან საინტერესო პროექტი, რომელიც არა მარტო ვიწროდ, კონკრეტულად ამ უნივერსიტეტის აქტიურობას

შეუწყობს ხელს, არამედ შეიძლება გახდეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ზოგადად საქართველოს ისტორიის გადააზრების, ხელახლა შეხვედრის, ხელახალი კვლევისათვის, იმიტომ, რომ სწორედ ამ შეჯიბრებაში, ერთმანეთს შორის შეჯიბრებაში შეიძლება ახალი ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნები გავაკეთოდ.

- კახა კუკავა - პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე, საგამოცდო კოლეგიის წევრი:

არაჩვეულებრივი პროექტია საერთოდ. მე პირველრიგში ძალიან მინდა ეს მედიაპროექტიც გახდეს და ფართო საზოგადოებამ მიიღოს ამაში მონაწილეობა იმიტომ, რომ ჩვენ რასაც ვსწავლობთ ძალიან კარგია სკოლებში, მაგრამ ეს არის უფრო ჰეროიკა და ესეთ კრიტიკულ ჭრილში დანახული ჩვენი ისტორია, სად დავუშვით შეცდომა, სად მივაღწით წარმატებას, პრაქტიკულად შეიძლება მეცნიერთა ძალიან ვიზრო წრისთვის იყოს აი ამაზე დისკუსიები ხელმისაწვდომი და არაჩვეულებრივი ამბავი არის აქ და ბევრ რაღაცას შეიძლება დაეთანხმო, შეიძლება არ დაეთანხმო რაც აქ დღეს მოვისმინეთ, მაგრამ სადისკუსიოდ გამოდის და სწორედ კამათში იბადება ის რაც შემდგომ მომავალში გათვალისწინებული უნდა იქნას საგარეო პოლიტიკის ფორმირების დროს.

- პაატა მხეიძეს - „ქართული ოცნება - ძლიერი ეკონომიკა“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, საგამოცდო კოლეგიის წევრი:

პირველ რიგში მინდა მადლობა ვუთხრა ამ პროექტის იდეის ავტორებს, რათა საშუალება მოგვცეს კიდევ ერთხელ გაგვეანალიზებინა ისტორიული გმირებისა თუ მათ მიერ გატარებული პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ვიზიქრობ ამ ველაფრის ანალიზისათვის იმიტირებული სამსჯავროს ფორმატი იდეალური ვარიანტი იყო. პროექტმა ხელი შეუწყო ახალგაზრდების ჩართულობასა და მათი უნარ-ჩვევების გამომუშავებას როგორც წიგნებთან, ისტორიულ წყაროებთან თუ არქივებთან მუშაობის თვალსაზრისით, ასევე მათი პოზიციების არგუმენტირებულად და მყარად დაცვის კუთხითაც. გააუმჯობესა მათი ორატორული უნარები და შესძინა ცოდნა ისტორიისა თუ სამართლის განხრით. მადლობა

ყველა იმ სტუდენტსა თუ მოსწავლეს, მასწავლებლებს, მენტორებ-სა და ჟიურის წევრებს რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები ამ პროცესში. პროექტმა კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ისტორიული გმირებისა და მოვლენების ცოდნა/ანალიზი, რათა მათ მიერ განვლილი პოლიტიკური გზა მაგალითი იყოს დღევანდელობისათვის. ასევე მნიშვნელოვანია ახ-ალგაზრდა თაობას წარსულისადმი პატივისცემა გავუმძაფროთ, რადგან გმირული ქმედება ჩვენი ერთ-ერთი ეროვნული ლირებ-ულებაა და მათი მოღვაწეობა მრავალი თაობის შეგნებაში უნდა ცოცხლობდეს.

• კობა ნარჩემაშვილი – საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 2001 - 2003 წლებში:

ეს არის იმიტაცია სასამართლო პროცესისა, რომელიც დატვირთულია პოლიტიკური შემადგენელით. აქ არ ეხებიან ვინმეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ან სხვა რაიმე პასუხისმგებლობას, აქ არის საუბარი პოლიტიკოსების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეზე, თუ შეიძლება ასე ითქვას და მის ანალიზზე. თვითონ პროექტი არის ძალიან მნიშვნელოვანი. ძალიან უწყობს ხელს სტუდენტებში გარკვეული პროფესიული უნარჩვევების ჩამოყალიბებას და არა მარტო პროფესიული არ-ამედ გლობალურად პოლიტიკურ ასპექტებში აზროვნებას. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, რომ სტუდენტებმა მაღალი დონე გამოავლინეს, როგორც ისტორიის ასევე სამართლის, როგორც პროცედურული ისე შინაარსობრივი ცოდნის და საბოლოო ჯამში მიმართია, რომ არის ძალიან პერსპექტიული პროექტი და ამ პროექტს აუცილებლად ექნება გაგრძელება.

• სერგო რატიანი - პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“, საგამოცდო კოლეგიის წევრი:

დიდი მადლობა უნდა გადავუხადო პროექტის ხელმძღვანებელს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს,

დეკანატს, პროექტის ხელმძღვანელებს. მართლაც საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტი არის და ეს არის სწორედ სამეცნიერო შრომა, კვლევა, რისი შედეგიც უნდა იყოს მითებისგან განჯადოება და თავის დახსნა და მართლაც გარკვეული ჭეშმარიტებების ძიება.

- დაგით უსუფაშვილი — საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე (2012-2016); პოლიტიკური მოძრაობის „შენების მოძრაობა“ ლიდერი:

ყოველთვის ძალიან მიხარია, თუ რამეში გამოვადგები ახალგაზრდებს, სტუდენტებს და ასეთი ტიპის ღონისძიებები, როდესაც სტუდენტები უყრიან თავს თავიანთ არა მხოლოდ ცოდნას, არამედ ღირებულებით სისტემას, რათა ისტორიული მოვლენები, ისტორიული ფაქტები, ისტორიული პიროვნებები შეაფასონ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სავარჯოშო იმისთვის, რომ ჩამოგვიყალიბდეს მყარი ღირებულებათა სისტემა, მყარი კრიტერიუმები იმის შესახებ, თუ რა არის ეროვნული ინტერესები და როგორ უნდა ემსახუროს საჯარო პირი ეროვნულ ინტერესებს.

- გიორგი ღონიძაძე - 133-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე:

პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“ მეტად აღსანიშნავია და გამორჩეულია. სხვათაგან განსხვავებით იგი კონკრეტულად ემსახურება მოსწავლეთა სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. სახელმწიფოს მმართველთა მიერ გატარებული პოლიტიკის შეფასებისა და განსჯის შემდეგ მოსწავლე შეიმეცნებს მოცემული ეპოქის პოლიტიკური ცხოვრების დადებით და უარყოფით მხარეებს.

- ანა-მარია კულამოვი - 105-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე:

პროფესორ კუპრაშვილის პროექტი „პოლიტიკა სამსჯავროზე“ არის უნიკალური პროექტი, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე ჩვენთვის, მოსწავლეებისათვის, ვინაიდან ის იძლევა საშუალებას მივიღოთ თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება კონკრეტული საკითხების გადაჭრაში. ამ პროექტმა მომცა შესაძლებლობა გამომემუშავებინა ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიც არის საჯარო

გამოსვლის ხელოვნება, პრობლემის ანალიზისა და კვლევის მეთოდები, ასევე ეს არის დიდი შესაძლებლობა ურთიერთობა გვქონდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პოლიტოლოგებთან, სამართალმცოდნებთან, ისტორიკოსებთან და მივიღოთ მათგან კომპეტენტური რეკომენდაციები ჩვენი სამომავლო განვითარებისა და წარმატებისათვის.

• ირინე მიქავა - სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, ბაკალავრიატის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის, IV კურსის სტუდენტი:

„პოლიტიკა სამსჯავროზე“ მართლაც, რომ აუცილებელი და საჭირო პროექტია ქართულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში. ჩემთვის, როგორც, რიგითი მონაწილისთვის მნიშვნელოვანი არის შედეგი. თუ რა მომცა ამ პროექტმა. მინდა გითხრათ, რომ თეორიულ ცოდნასა და წყაროებთან მუშაობის გარდა, გაიზარდე როგორც სპიკერი, რომელსაც შეუძლია კომუნიკაცია აუდიტორიასთან, რათა პრაქტიკულ ნაწილში შესძლოს, როგორც გუნდის ისე საკუთარი თავის ეფექტურად წარმოჩენა. 1 წლიანი პრაქტიკის შემდგომ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მე ვიყავი გამოცდილი და უფრო მეტად „გაზრდილი“, რომელსაც შეუძლია ემოციის მართვა და არგუმენტირებული მსჯელობა, სათქმელის მკაფიოდ გადმოცემა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. პროექტი პასუხობს თავის მიზნებს, ამოძირკვლის ამა თუ იმ საკითხის მიმართ ზერელ მიდგომა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ლიდერი ფასდება შედეგებიდან გამომდინარე, რამდენად სწორი და ზუსტი პოლიტკური კურსი იქნა გატარებული ამა თუ იმ ისტორიულ მონაკვეთში, რამდენად პასუხობდა სახელმწიფო ნაციონალურ ინტერესებს.

და ბოლოს, ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო, გუნდის პოზიციის დაცვა გამოცდილი პოლიტიკოსების, პროფესორებისა თუ მეცნიერების პირისპირ, მაგრამ ვფიქრობ პროექტი შედგა და ვისურვებ ამ პროექტით, უფრო მეტ, „გაზრდილ“ სტუდენტს, მოსწავლეს, რომელიც მომავალში იქნება საჯარო მოხელე თუ სხვა პროფესიის წარმომადგენელი, ვინც ყველგან იტყვის თამამად, რომ ის „პოლიტიკასამსჯავროელია“.

- გოდერძი შარაშია - ტელეკომპანია „იმედის“ რეჟისორი და უურნალისტი:

ჩემთვის ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც პოლიტიკური საკითხები განიხილება უბრა-ოდ იმიტომ, რომ სტუდენტები მსჯელობენ ბევრს. ჩემთვის მსჯ-ელობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე რაღაც კონკრეტული აღე-ბული თემა, თუმცა რატომაც არა პოლიტიკა. მე არ ვარ დიდად პოლიტიკის თემების მოტრფიალე. ჩემი ინტერესის სფერო არ არის, მაგრამ რაც უფრო მეტს მსჯელობენ, რაც უფრო მეტს კა-მათობენ, რაც უფრო მეტი ლოგიკური აზროვნებაა, მით უფრო საინტერესოა მათვის და მნიშვნელოვანია გაზრდისთვის, საინ-ტერესოა იმისთვის, რომ მოუსმინონ ერთმანეთს, პატივი სცენ განსხვავებულ აზრს, პატივი სცენ განსხვავებული პოლიტიკური, ასე ვთქვათ, ინტერესების მქონე ადამიანებს. გარდა ამისა, დას-ვან სწორი აქცენტები, სწორი შეკითხვები დასვან, უპასუხონ არა პროლიტიკოსებისამებრ, არამედ პირდაპირ უპასუხონ შეკითხვას და ამის მცდელობები ამ პროექტში არის. მე პირველად არ ვარ და კარგია რომ მათ ეს თემები აინტერესებთ. ისინი ამაზე საუბრობენ, ფიქრობენ, იწერენ, თუმცა აქ მარტო პოლიტიკა არ არის, აქ არის უამრავი თემა. მაგალითად, წინაზე როდესაც ორ პოლიტიკურ ფიგურას ადარებდნენ ერთმანეთს მოყვანილი ჰქონდათ იმ პერიო-დოს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, სოციალურ-ეკონომი-კური მდგომარეობა, კულტურული მდგომარეობა და როდესაც ამ თემაზე მსჯელობენ მათ რა თქმა უნდა ამახსოვდებათ ეს თემები და ეს ჩემთვის ბევრად უფრო მნიშველოვანია ვიდრე, რაღაც ერთი კონკრეტული პოლიტიკური ამბავი.

ხაშურის მერვე საჯარო სკოლის პედაგოგი ლელა ხვედელიძე (გუნდი „იბერიონი“)

პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა პროექტის ორგანიზა-ტორებს გადავუხადო იმისათვის, რომ რაიონიდან ჩვენი გუნდი ჩაგვრთეს ამ პროექტში, რამაც დიდი გამოცდილება მოგვცა ნამდ-ვილად. ურთიერთბა გვქონდა ჩვენს მენტორებთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებთან. ძალიან საინტერესო

და ნაყოფიერი იყო ეს შეხვედრები. რაც შეეხება ეხლა ჩემი გუნდის წევრებს, ბოლო რამდენიმე დღეა მართლაც ლამეები არ გვძინავს, ერთად ვმუშაობთ, ერთ გუნდად ჩამოვყალიბდით. ესენი სხვადასხვა კლასის ბავშვები არიან. დავალებები დანაწილებული ჰქონდათ და ჩემი დახმარებით, რაც იმუშავეს სახეზეა ჩვენი ნამუშევარი და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და იმედს ვიტოვებთ, რომ კვლავაც და მომვალშიც ამ პროექტში მივიღებთ მონაწილეობას თუ თქვენი ნებაც იქნება. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ მივიღოთ მონაწილეობა.

6) მასმელის მასალები



- პოლიტიკა 27 ნოემბერი 2018, 14:42
„პოლიტიკა სამსჯავროზე” — ახალგაზრდებს სურთ სიმართლის გაგება



(მსოფლიოში პირველი სტუდენტური მულტიდისციპლინური სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებათა ციკლი)

საქართველოში მაღე დაიწყება ცნობილი ქართველი პოლიტიკური ფიგურების მიერ წარმოებული პოლიტიკის იმიტირებული სასამართლო პროცესები და, ამ შემთხვევაში, პიროვნება კი არა, არამედ პოლიტიკა წარდგება სამსჯავროზე. სტუდენტებისა და ექსპერტ პროფესიონალ-მენტორების მიერ წინასწარი პოლიტოლოგიური და სამართლებრივი შესწავლისა და ანალიზის შემდეგ, სტუდენტების მიერ განაწილებული იქნება მოსამართლის, მპრალმდებელისა და ადვოკატის ფუნქციები. იმიტირებული სასამართლო პროცესის შემდეგ კი უიური (სასამართლო კოლეგია) გამოიტანს განაჩენს, რამდენად შეესაბამებოდა პოლიტიკოსის (ხელისუფლების) პოლიტიკური საქმიანობა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

ამჯერად, სამსჯავროზე პირველი წარდგება ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის მიერ წარმოებული პოლიტიკა. მათი მეფობის პერიოდში განხორციელდა ჩვენთვის აუნაზღაურებელი დანაკარგების მომტანი თემურლენგის შემოსევები, რაც საბოლოოდ საქართველოსათვის კატასტროფული შედეგით დასრულდა, განადგურდა ქართული გენოფონდი, დაიწყო ისეთი დაღმასვლა, რომ შედეგებს დღემდეც იმკის ქვეყანა. რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმოებული პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, შეიძლებოდა თუ არა კატასტროფის თავი-

დან აცილება. განხილული იქნება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკა პოლიტოლოგიურ და სამართლებრივ ასპექტში და არა როგორც წარსული ცხოვრება ისტორიული კუთხით.

რიგს ელოდება: ნოე ჟორდანიას, ლავრენტი ბერიას, ერეკლე მეორეს, ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის და სხვათა პოლიტიკა. ინტერესით მოელის საქართველო თუ სამსჯავროზე სტუდენტების მიერ როგორ შეფასდება მათი პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით.

პროექტის თანახელმძღვანელი სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია: სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის პროცესში ჩართულია სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები). დარწმუნებული ვარ ეს პროექტი ხელს შეუწყობს სტუდენტებში სათანადო პროფესიული უნარ-ჩვეულების განვითარებას, მრავალმხრივად განვითარებული, კონკურრენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებას. ინვაცია მოიცავს პოლიტიკის მეცნიერებების, სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო ურთიერთობების, ინფორმატიკისა და სხვ. სამეცნიერო კვლევის სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკულ სინთეზს.

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ჰენრი კუპრაშვილი:

დამოკუდებლობის გამოცხადების შემდეგ, თითქმის სამი ათეული წელია ჩვენი სახელმწიფო წელში სათანადოდ ვერ გაიმართა, ხშირად პოლიტიკოსები სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა პირად და პარტიულ ინტერესებს აყენებენ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანა პარტიული ინტრიგების ტალახსა და ლაფშია ჩავარდნილი და ერთგვარად „ბუქსაობს“. ახალგაზრდები მიზეზების ძიებაში არიან. შესაბამისად მათ აინტერესებთ არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ განვითარების ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ მონაკვეთში საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკა.

სურთ გაანალიზონ დადებითი და უარყოფითი სვლები, გაარკვიონ, რომელი სჭარბობდა სახელმწიფო ინტერესები თუ პირადი, უნდათ შეეჩიონ სახელმწიფოებრივ აზროვნებას, ისწავლონ შეცდომებზე, რათა თვითონ აღარ გაიმეორონ.

პროექტი გულისხმობს აგრეთვე, მენტორებთან და სტუდენტებთან ერთად პოლიტიკური მოვლენის მყარი რაოდენობრივი მახასიათებელის, თვისობრივ ცვლილებებზე რაოდენობრივ მახასიათებელთა კავშირის დადგენის, პოლიტიკური მოვლენის პარამეტრიზაციის, პარამეტრის მნიშვნელობის, პოლიტიკის ხარისხის, საქართველოს ეროვნული ინტერესების განსაზღვრის არგუმენტირებული კრიტერიუმების და პარამეტრების, მათი მნიშვნელობის, ზღვრულობის პროცენტული გამოსახულების, წონადობის დადგენის კვლევით პროცესებს.

პირველი სამსჯავრო გაიმართება 2018 წლის 13 დეკემბერს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის მულტიდისციპლინურ სამეცნიერო-პრაქტიკულ პროექტში მონაწილეობის მისაღებად, ამჟამადაც მიმდინარეობს სტუდენტების (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები) რეგისტრაცია სხვა იმიტირებული სასამართლო პროცესების მოსამზადებლად.



საზოგადოება 15 დეკემბერი 2018, 14:51

პოლიტიკის იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართა
499



საოცარად საინტერესო მოვლენის მომსწრე გახდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მცირე სააქტო დარბაზი. ამ დღეს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მულტიდისციპლინური სამეცნიერო თეორიულ-პრაქტიკულ ღონისძიებათა პროექტის „პოლიტიკა სამსჯავროზე“ ფარგლებში პირველად გაიმართა პოლიტიკის გასამართლება. ამჯერად, იმიტირებულ სასამართლო პროცესზე გაიტანეს ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის მიერ წარმოებული პოლიტიკა. ცნობილია, რომ მათი მეფობის პერიოდში განხორციელდა ჩვენთვის აუნაზღაურებელი დანაკარგების მომტანი თემურლენგის შემოსევები, რაც საბოლოოდ საქართველოსათვის კატასტროფული შედეგით დასრულდა. რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმოებული პოლიტიკა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, შეიძლებოდა თუ არა კატასტროფის თავიდან აცილება. განხილული იქნა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკა პოლიტოლოგიურ და სამართ-

ლებრივ ასპექტში და არა როგორც წარსული ცხოვრება ისტორიული მოვლენა.

ამას წინ უსწრებდა დიდი მუშაობა — სტუდენტებისა და ექსპერტ პროფესორ-მენტორების მიერ წინასწარი პოლიტოლოგიური და სამართლებრივი შესწავლისა და ანალიზის შემდეგ, სტუდენტების მიერ განაწილებულ იქნა მოსამართლის, მბრალმდებელისა და ადვოკატის ფუნქციები. სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკული სინთეზისა და უნივერსალიზაციის პროცესში ჩართული იყო სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები).

როგორც ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა • ირაკლი გაბი-სონიამ • აღნიშნა: პროექტი, რომლის ავტორიც გახლავთ პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი • პენრი კუპრაშვილი, მონოდებულია სტუდენტებში განავითაროს სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს მრავალმხრივად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებას. ინვაცია მოიცავს პოლიტიკის მეცნიერებების, სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო ურთიერთობების, ინფორმატიკისა და სხვ. სამეცნიერო კვლევის სპეციალობების თეორიულ-პრაქტიკულ სინთეზს. ეს არის პოლიტიკის ერთგვარი გაკეთილები, რათა სტუდენტებმა, მომავალმა სპეციალისტებმა შეცდომებზე ისწავლონ, რათა ისინი აღარ გაიმეორონ.

პოლიტიკის გასამართლებაში, როგორც უიურის წევრებმა, პოლიტიკოსებმაც მიიღეს მონაწილეობა. მოწვეულ უიურიში სტუ-ს პროფესორების გარდა მონაწილეობდნენ საპარლამენტო ლეგიტიმაციის მქონე პარტიების წარმომადგენლებიც. მათ აღნიშნეს:

კობა ნარჩემაშვილი, პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“:

ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. ეს არის იმიტაცია სა-სამართლო პროცესისა, რომელიც დატვირთულია პოლიტიკური შემადგენელით. აქ არ ეხებიან ვინმეს სისხლის სამართლებრივ

პასუხისმგებლობას ან სხვა რაიმე პასუხისმგებლობას, აქ არის საუბარი პოლიტიკოსების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეზე, თუ შეიძლება ასე ითქვას და მის ანალიზზე. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, რომ სტუდენტებმა მაღალი დონე გამოავლინეს, როგორც ისტორიის ასევე სამართლის, როგორც პროცედურული ისე შინაარსობრივი ცოდნის და საბოლოო ჯამში მიმართავით, რომ არის ძალიან პერსპექტიული პროექტი და ამ პროექტს აუცილებლად ექნება გაგრძელება.

გიორგი ბარამიძე, პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:

მე მინდა მივულოცო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს, ყველა პედაგოგსა და სტუდენტს ასეთი ლამაზი, ძალიან ჭკვიანური, კარგი ინიციატივა, იმისათვის, რომ, ერთი, გავიხსენოთ ჩვენი ისტორია, კრიტიკულად გავაანალიზოთ და ასევე, რაც მთავარია, რაღაც ახალი მეთოდი მოვძებნოთ, როგორ შეიძლება სხვადასხვა მიღებულ მოსაზრებებთან მიმართებაში კვლავ დავსვათ საინტერესო კითხვები და კრიტიკულად შევხედოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიასაც, ამა თუ იმ პოლიტიკურ მოღვაწესაც და შევეცადოთ, მეტნაკლებად აი ამ ყველაფერმა, ამ ცოდნამ და ასეთმა კრიტიკულმა მიდგომამ დახმარება გაგვინიოს ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოს მშენებლობაშიც. ფართო გაგებით თუ ვიტყვით, ჩვენ ყველანი ამისთვის ვართ მოწოდებულნი და ეს განათლებაც, ჩვენი განათლებაც მათ შორის, ამ სფეროში არის მნიშვნელოვანი და ძალიან კარგი ინიციატივაა და რომელშიც სიამოვნებით ვიღებ მონაწილეობას და რაც შედგა, ეს პროცესი. პირადად ძალიან ბევრი ახალი ცოდნა მივიღე და ჩემთვის ძალიან სახალისოც იყო და ძალიან შინაარსიანიც. საინტერესო იყო ამდენ კარგ ადამიანთან ურთიერთობა. ვუსურვებ უნივერსიტეტსაც, ფაკულტეტსაც შემდგომ წარმატებებს და იმედია ეს პროექტი გაგრძელდება და სულ უფრო და უფრო მეტ სტუდენტს დააინტერესებს არა მარტო საკუთრივ ეს პროექტი, არამედ ასეთი მიდგომა, რაც ჩვენ დღეს ძალიან გვაკლია საქართველოში, ასე ვთქვათ, გამოცლილი კატე-

გორიულობისაგან და უფრო კრიტიკული და მიმართული იმისაკენ, რომ მაქსიმალურად შევეცადოთ დადგინდეს ჭეშმარიტება.

ირაკლი კიკნაველიძე, პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“, პრესსპიკერი:

ძალიან სასიამოვნო იყო ის რაც ჩვენ ვნახეთ, იმიტომ რომ ერთის მხრივ, ვნახეთ თავად სტუდენტების დიდი სურვილი, მათი მონდომება და შემართება, როგორც მოემზადნენ დღევანდელი შეხვედრისათვის, ისე თავად ინტერესიც უნივერსიტეტში, რაც ამ თემამ გამოიწვია, ეს არის ძალიან საინტერესო პროექტი, რომელიც არა მარტო ვიწროდ, კონკრეტულად ამ უნივერსიტეტის აქტიურობას შეუწყობს ხელს, არამედ შეიძლება გახდეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ზოგადად საქართველოს ისტორიის გადააზრების, ხელახლა შეხვედრის, ხელახალი კვლევისათვის, იმიტომ, რომ სწორედ ამ შეჯიბრებაში, ერთმანეთს შორის შეჯიბრებაში შეიძლება ახალი ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნები გავაკეთოდ.

სტუდენტთა სამსჯავროზე მალე წარდგება: ნოე ჟორდანიას, ერეკლე მეორეს, ლაშა გიორგის, ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის და სხვათა პოლიტიკა. ინტერესით მოელის საქართველო ოუ როგორ შეფასდება სამსჯავროზე სტუდენტების მიერ არა პიროვნებები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მათი პოლიტიკა პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით.

7) ვიდეოკოლაჟი (ფოტოებში)

სრული ფორმატი იხ., იუთუბზე: პოლიტიკა სამსჯავროზე
<https://www.youtube.com/watch?v=umB3LpOCDXo&t=10s>





პირველი იმპირატული სამსახუროს ნაციო მსახულია შემადგენლობა:

- 1.ირაკლი გაბისონია – სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესიონალი, პროფექტის თანახულმძღვანელი – თავმჯდომარე
2. გიორგი ბარამიძე – პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მომრაო
3. აკადმ გახოვაძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტუ-ს
სწავლის თავმჯდომარე;
4. იგორ კვესელავა – სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
5. ირაკლი კიკნაველიძე – პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო-მორიობა თავისუფლებისავის“;
6. პემრი კუპრაშვილი – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
პროექტის ხელმძღვანელი;
7. კობენარჩემავილი – საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“;



სამსჯავროს ნაფიცი მსაჯულნი



- ბრძანების მსახურუნველობის „თამაშას ხელისხმები“
1. ირინა მიქაელია, კაპიტანი – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
 2. თამარ დვალიშვილი – ქართულა-ამერიკული უნივერსიტეტის საურთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
 3. ნინო დემიტრიშვილი – ქართულა-ამერიკული უნივერსიტეტის საურთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
 4. გურამ კალანდია – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
 5. ნაზარ ნაბიკვა – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
 6. თამარ ტაკაშვილი – სტუ-ს სსუფ-ის სამართლის სპეციალობის სტუდენტი;
 7. მახო გარეაშვილი – სტუ-ს სსუფ-ის სამართლის სპეციალობის სტუდენტი.

მეტობები:
პოლიტიკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების - პროფ. ავთანდილ
სოლიურაშვილი;
სამართალის მიმართულების - პროფ. მარიამ ჯიქა.



დაცვის მხარე გუნდი „თემიდას შვიდეული“

1. ანა ტაკაშვილი, კაპიტანი – სტუ-ს სსუფ-ის სამართლის სპეციალის სტუდენტი;
2. ნათა ბლაგიძე – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორის ურთიერთობების სპეციალის სტუდენტი;
3. სოფია ედიშელშვილი – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორის ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტი;
4. დანა მურდულია – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორის ურთიერთობების სპეციალის სტუდენტი;
5. გორგა წერელაძე – სტუ-ს სსუფ-ის სამართლის სპეციალის სტუდენტი;
6. ანა სისაური – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორის ურთიერთობების სპეციალის სტუდენტი;
7. ილა ჩიხელი – სტუ-ს სსუფ-ის საერთაშორის ურთიერთობების სპეციალის სტუდენტი.

მენტორები:
ჰელიოტეპისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებების - პროფ. ზურაბ კვეტენაძე
სამართლის მიმართულების - პროფ. გიორგი გორაძე.


































18. საკუთარ სახელთა საძიებელი

1. აბდ არ-რეზაყ სამარყანდი
2. აიეტი 70
3. ალექსანდრე I დიდი 18, 21
4. ალექსანდრე I რუსეთის იმპერატორი 71
5. ანჩაბაძე ზურაბ
6. აქუბარდია თეონა
7. აჰმედ იბნ მუჰამედ იბნ არაბშაჰი
8. ბაგრატ II რეგვენი
9. ბაგრატ III 70
10. ბაგრატ V 10, 13, 21, 26-30, 32-34, 40, 41, 44, 47, 48, 51, 55, 56, 61, 70, 97, 100
11. ბაგრატიონი იოანე
12. ბაიაზეთი სულთანი
13. ბანდაისძე ავგაროზ
14. ბარამიძე გიორგი 10, 60, 88, 102
15. ბარტოლდი ვასილ
16. ბატონიშვილი ალექსანდრე
17. ბატონიშვილი ვახუშტი
18. ბერია ლავრენტი 70, 97
19. ბლაგიძე ნათა 17
20. ბურჯანაძე ნინო
21. გაბაშვილი ვალერიან
22. გაბისონია ირაკლი 2, 5, 11, 72, 89-92, 65, 85, 99, 115, 119
23. გამსახურდია ზვიად 70, 97, 103
24. გამსახურდია კონსტანტინე 91
25. გახოვიძე ჯემალი 10, 60
26. გიორგი ავ, ავ-გიორგი 18
27. გიორგი I 70
28. გიორგი IV ლაშა 70
29. გიორგი V ბრწყინვალე 18, 19
30. გიორგი VII 10, 13, 20, 21, 24-27, 29, 30, 34-36, 38, 40, 41, 43, 47, 48, 50-54, 56, 61, 70, 100
31. გიორგი VIII 70
32. გიორგი XII 70

33. გორაძე გიორგი 18
34. გორგიჯანიძე ფარსადან
35. გუჩუა ვიქტორ
36. დავით IV ალმაშენებელი
37. დავით VI ნარინი
38. დავით VII ულუ
39. დემეტრაშვილი ნინო
40. დემეტრე II თავდადებული
41. დვალიშვილი თამარ
42. ეგნატაშვილი ბერი
43. ედიმერაშვილი სოფო
44. ევდოიშვილი თინათინ
45. ეკატერინე II რუსეთის იმპერატორი
46. ერეკლე II
47. ესკრიჯ-კოსმაჩი ელენა
48. ვარქსენ პიტიახში
49. ვახტანგ გორგასალი
50. ვახტანგ VI
51. თამარ მეფე
52. თაპერი (ჯალაირიანთა დინასტიის უფლისწული)
53. თეიმურაზ I
54. თემურლენგი
55. თოხთამიში
56. კაკაბაძე სარგის
57. კალნდია გურამ
58. კანდელაკი გიორგი 94
59. კაციტაძე დავით
60. კვესელავა იგორ 10, 60
61. კვეტენაძე ზურაბ
62. კიკნაველიძე ირაკლი 11, 21, 103
63. კირიონ I კათალიკოსი
64. კონსტანტინე I (საქართველოს მეფე)
65. კოსტავა მერაბ
66. კუკავა კახა
67. კულამოვი ანა-მარია
68. კუპრაშვილი ჰენრი

69. ლევან || დადიანი
70. ლუარსაბ ||
71. მალიქ შაჰი სელჩუკთა იმპერიის სულთანი
72. მამისთვალაშვილი ელდარ
73. მაჰმადი სულთან
74. მგალობლიშვილი თემურ
75. მგალობლიშვილი ოთარ
76. მელიქსეთ-ბეგი ლეონ
77. მესხია შოთა
78. მეწოფელი თომა
79. მთაწმინდელი გიორგი
80. მირხონდი მირ ალი შერ ნავოი
81. მიქაელი ირინა
82. მოინ ალდ-დინ ნათანზი (სპარსი ისტორიკოსი)
83. მუავანაძე ვასილ
84. მურლულია დინა
85. მხეიძე პაატა
86. ნაბიევა ნაზან
87. ნაგელი ტილმან
88. ნალბანდიანი ვაჩე
89. ნარჩემაშვილი კობა
90. ნებამ-ად დინ შამი (სპარსი ისტორიკოსი)
91. ნუსხელაძე გიორგი 17
92. ოდიშელიძე ნინო
93. ორბელიანი სულხან-საბა
94. პანარეტოსი მიქაელ
95. პაჭუორია თათია
96. პეტრე I რუსეთის იმპერატორი
97. ჟორდანია თედო
98. ჟორდანია ნოე
99. რატიანი სერგო
100. რობაქიძე გრიგოლ
101. როსტომ ხანი
102. რუი გონსალეს დე კლავიხო
103. რუსუდანი (საქართველოს მეფე)
104. სააკაძე გიორგი 70

105. სიმონ I
106. სისაური ანა
107. სოლომონ II
108. სონღულაშვილი ავთანდილ
109. სტალინი
110. ტაბატაძე კარლო
111. ტაკაშვილი ანა
112. ტაკაშვილი თამარ
113. ტარყაშვილი მალხაზ
114. უსუფაშვილი დავით
115. ფარგაზი
116. ფასიპი ხაფი (ფასიპ აპმედ ბენ ჯალალ ად-დინ მოჰამედ ხაფი)
117. ლონდაძე გიორგი
118. ყაუხჩიშვილი სიმონ
119. შარაფ ად-დინ ალი იეზდი
120. შევარდნაძე ედუარდ
121. შეის იბრაჟიმ დერბენდი შარვანშაჟი
122. შილბერგერი იოჰან
123. ჩინგიზ-ყაენი (ჩინგის ყაენი, ჩინგისხანი)
124. ჩოხელი ილია
125. წიკლაური-ლამიხი ელიკო
126. ჭავჭავაძე ილია
127. ხვედელიძე ლელა
128. ხორენაცი მოვსეს
129. ჯავახიშვილი ივანე
130. ჯიქია მარიამ
131. ჯორჯი ლოიდ
132. ჰაფეზ აბრუ (შეჰაბ ად-დინ აბდალაჰ ბენ ლოთფალაჰ ბენ აბდ არ-რაშიდ ჰაფეზ აბრუ)
133. ჰენრი III (კასტილიის მეფე)

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტეფაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22